WWW.SAERTOGAZETI.ORG

# საერთო გაზეთი

№12 (246) ● 10-16.IV.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.org; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## 2013 წ. 9 აპრილი



## ვინ დანიშნა „საია“ საქართველოს უფროსად?

„საია“ — არასამთავრობო ორგანიზაცია თუ უსუფაშვილ-ხიდაშელის საოჯახო ბიზნესი?

## კოაბიტაცია — სადამსჯელო ოპერაცია საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ



## ქართული პოლიცია ახალი რაკურსით

ნაციონალების პროგნოზი არ გამართლდა — დანაშაულმა კი არ იმატა, იკლო, რაც უდაოდ შსს-ს ახალი ხელმძღვანელობის დამსახურებაა

## ზაქარეიშვილი

შეშფოთებული რომ კითხულობს, ვინ მოკლა ბუთბაო, გადაეცით: მე მოვკალი!

## ელიზბარ ჯაველიძე:



## ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილი „რესპუბლიკელების“ ალყიდან უნდა დაიხსნას!

„ამ სიტუაციას რომ ვუყურებ, გამოდის, რომ ქართველ ხალხს და ივანიშვილს კი არა, 1%-იან „რესპუბლიკელებს“ გაუმარჯვიათ“

# ✝ 1989 წ. 9 აპრილი ✝













## უხმლო ლაშქარი

ვაიმე, ჩემო უხმლო ლაშქარო,
სად მიხვალ, საით მიეხეტები.
ანგელოზებო, ფრთები გაშალეთ,
რომ დაიფაროთ უხმლო მხედრები.

ვის თხოვ შველას და
ვის თხოვ სამართალს,
როცა მგლებივით ირგვლივ გივლიან.
ჰაი, დედასა, ხმალი წაგართვეს,
უხმლოსთან ბრძოლა კი ადვილია.

ო, უფარშუბო ჩემო გმირებო,
ბედთან შებმულო
შიშველ ბრჭყალებით.
დალეწილებო, დაჩეხილებო,
სად მიხვალთ, საით მიეჩქარებით.

უხმლო ლაშქარის
მიკვირს ლაშქრული,
უხმლო მხედრების
გრგვინავს მხედრული,
არა ძაბუნი, არა ლაჩრული,
არამედ ხაფი და გაბედული.

უხმლო ხმლიანსაც
დასცემს, დაჯაბნის,
თუკი სამშობლოს იცავს ღირსებას.
გულო ნაღვაწო, მკლავო ნაჯაფო,
რა დიადია ეს განრისხება.

ვიგლოვოთ, მაგრამ ისე ვიგლოვოთ,
არ ჰგავდეს იგი სულით დაცემას.
დიახ, ეს იყო ჩვენი დიდგორი,
არვის ეგონოს ეს დამარცხება.

მოვა, მოგვენახავს კვლავაც დიდება
და მოგვიშუშებს უმძაფრეს ტკივილს.
ქაშუეთს ზემოთ ტბა დგას ტიტების,
მე ტბის ნაპირას ვზივარ და ვტირი:
— ჰაი, დედასა, უხმლო ლაშქარო...

**ვახტანგ ხარჩილავა**
**1989 წ. აპრილი**



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# 2013 წ. 9 აპრილი

საქართველოს მთავრობა
The Government of Georgia

9 აპრილთან დაკავშირებით

24 წელი გავიდა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიიდან. 24 წლის წინ, აპრილის დღეებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველის პროსპექტი ხალხით გადაიჭედა. ეს იყო მშვიდობიანი, მაგრამ თავგანწირული ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ყველა თაობა გააერთიანა. ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, შიშველი ხელებითა და სიმღერით დაუხვდა კბილებამდე შეიარაღებულ ოკუპანტს. საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული საპროტესტო აქცია უსასტიკესი დარბევითა და აუნაზღაურებელი მსხვერპლით დასრულდა.

ეს დღე თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლისა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა. ხალხის თავდადებულმა ბრძოლამ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეალებისათვის უდიდესი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში - ზუსტად 2 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა.

ჩვენი თანამემამულეების თავდადებას, სამშობლოსათვის დაღვრილ სისხლს უკვალოდ არ ჩაუვლია. დღეს საქართველო დამოუკიდებელი, თავისუფალი სახელმწიფოა. ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ ჩვენს გმირებს, ყოველთვის პატივს მივაგებთ მათ ხსოვნას და იმ იდეალების ერთგული დავრჩებით, რომლებსაც მათ შესწირეს თავი.



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი**
**ბიძინა ივანიშვილი:**

„ჩვენ მოვახერხეთ, რომ 24 წლის წინ, 9 აპრილს გვეჩვენებინა ქართული ხასიათი, რომ ჩვენ ვართ თავისუფლებისკენ მიმსწრაფველი ხალხი და ვერაფერი შეგვაჩერებს. შემთხვევითი არ იყო, რომ ჩვენ ვიყავით პირველები, ვინც თავისუფლებისთვის სისხლი დავღვარეთ და თავი გავწირეთ, აქედან ორი წლის შემდეგ მოვახერხეთ თავისუფლების აღდგენა, მაგრამ მოვახერხეთ ისიც, რომ ჩვენი პირველი პრეზიდენტი ცოცხალი არ არის და თქვენ იცით, როგორც განვითარდა ჩვენი ისტორიის ბედისწერა, ამის შემდეგ მეორე პრეზიდენტს როგორ მოვექეცით, ახლა მესამის ჯერია და უნდა მოვახერხოთ, რომ კულტურულად მოვიქცეთ. თავისუფლებისკენ სწრაფვის გარდა, მოვახერხოთ, ვაჩვენოთ ჩვენი დიდი კულტურა და შევძლოთ ჭეშმარიტად გაერთიანება.“





## ელიზბარ ჯაველიძე:

# რადაც არ უნდა დაჯდეს, ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილი „რესპუბლიკელების“ ალყიდან უნდა დაიხსნას!



## ამ სიტუაციას რომ ვუყურებ, გამოდის, რომ ქართველ ხალხს და ივანიშვილს კი არა, 1%-იან „რესპუბლიკელებს“ გაუმარჯვიათ

**გვესაუბრება მწერალი ელიზბარ ჯაველიძე**

— საუბარს ძალზე მტკივნეული საკითხით დავიწყებ, რასაც ტელესივრცე ყურადღებას საერთოდ არ აქცევს. არადა, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ოღლუმ ჩვენთან ვიზიტისას კადნიერი განცხადება გააკეთა — ჩვენ ახალი ოსმალეთის იმპერიას ვქმნით. მართალია, ჩვენ ამ ქვეყნების იარაღით, ძალით დაპყრობას არ ვაპირებთ, საზღვრებსაც პატივს ვცემთ, მაგრამ შევქმნით რეალობას, როდესაც დამასკო და ბათუმი ერთ ჯაჭვში მოექცევაო. ეს უკვე ნიშნავს, რომ თურქეთს თავისი ინტერესი გაცხადებული აქვს — აჭარა უკან დაიბრუნოს. მოგეხსენებათ, თურქოლოგი, საკმაოდ დიდი მონოგრაფიების ავტორი ვარ, მაგრამ რადგან თურქეთის კულტურას, ლიტერატურას პატივს მივაგებ, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ დავდუმდე და იმაზე, რაც დღეს საქართველოში ხდება, ხმა არ ამოვიღო. ჯერ ერთი, ბათუმში უკვე 27 ათასი თურქია ჩაწერილი. საგარეო საქმეთა მინისტრი კი გვპირდება, თურქი-მესხების ჩამოსახლებაზე დაგეხმარებითო. სამწუხაროდ, კარგად ვიცნობ მათ ხასიათს, ისტორიას. ვერც ერთი თურქი პოლიტიკოსის ტვინიდან ვერ ამოიღებ იმას, რომ აჭარა მათი კუთვნილება არაა. ამბობენ, 107 წლის წინ ეს ადგილი თურქეთს ეკუთვნოდა და ვის შეუძლია გვისაყვედუროსო? აი, ამაზეა განგაში ასატეხი და არა იმაზე — რაბათის ციხე-კოშკზე რა ფერის ქონგური უნდა იყოს. საერთოდ, უნდა იყოს რაბათის ციხესიმაგრე? — აი, რა არის საინტერესო. თუ ვინმეს ჰგონია, ქართველები ბრიყვნი ვართ და ისტორიას არ ვიცნობთ, ძალიან სცდება. 1578 წელს სინარ-ფაშამ ჩილდირის ველზე სპარსეთის ლაშქარი დაამარცხა. ამის შემდეგ სამჯერ გამოილაშქრა საქართველოზე და თბილისი დაიპყრო, აუჯანყდა ქართველებს. ამ დროს ოსმალეთის სულთანი მიხვდა, რომ ქართველების გამოჭერა ასე იოლი არ იყო და საფაშო უნდა დაეფუძნებინა. ახალციხეს მაშინ ლომისი ერქვა და იქ ჯაყელების ციხე მდებარეობდა. ეს ციხე მიანგრიეს, ჩილდირის საფაშო დააფუძნეს, ბეგლართ-ბეგად გამუსულმანებული მანუჩარი აირჩიეს და ეს ადგილი თურქეთის ტერიტორიად გამოაცხადეს. ახლა იმ სიმბოლოს რესტავრაცია ხდება, რაც თურქეთის აზრით, მისი იმპერიის წინ წამოწევის, საგარეო და დაპყრობითი ომების სიმბოლო იყო. ახლა პოლიტიკა ასეთია — დღეს ქვეყნებს იარაღით არავინ იპყრობს, არამედ ეკონომიკით. გამოდის ვანო მერაბიშვილი და რაბათთან დაკავშირებით აღშფოთებას გამოთქვამს. რაბათი, იცით, რა არის? — ფარვან-სარაი — სასტუმროს ტიპის დასასვენებელი სახლი. მაგრამ ამათ რაბათის ნაცვლად ციხე-სიმაგრე ააშენეს, რეზიდენციად გამოაცხადეს, რომელსაც თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართველებისთვის შიშის ზარი უნდა დაეცა. ეს ყველაფერი სააკაშვილმა დაიწყო. ეს ადამიანები, დღეს საქართველოს ჰყიდიან, ანგრევენ, მერე გამოდის მერაბიშვილი და ზნეობაზე მელაპარაკება, რომელმაც თავისი ცოლის გამო გირგვლიანი და სხვა ბიჭები ჩახოცა. ვინ არიან ესენი?!

**— ახალი ხელისუფლება კი მათთან კოაბიტაციაშია, რადგან დასავლეთმა ასე მიგვითითა...**

— მათთან კოაბიტაციაზე ლაპარაკი როგორ შეიძლება? მე პატიოსანი ვიყო, შენ — ჯიბგირი, ქურდი და მკვლელი — როგორ ვიცხოვრებთ ერთად, როგორ გამოგვივა თანაცხოვრება?!

**ჩვენი ახალი ხელისუფლების მთელი უბედურება ისაა, რომ ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ, რას იტყვის დასავლეთი. აშშ-ს ელჩი პატარა სხდომებსაც კი ესწრება და ყველა პრობლემას იგი წყვეტს. არც ერთი რუსი მეფისნაცვალი ვერ ბედავდა იმას, რასაც ესენი ბედავენ. ვინ არის ეს ელჩი? — მიხედოს თავის საქმეს. ვინ ეკითხება კოაბიტაციაში ვიცხოვრებ თუ არა?**

იცით, ეს რატომ ხდება? — 4 მილიარდი ჩადო აშშ-მ საქართველოში. ქართველს ერთი თეთრი მაინც თუ ახსოვს ამ 4 მილიარდიდან. სად გაქრა ეს თანხა, რა გათეთრდა, რა გაშავდა, ფანტანები და ანბანის კოშკები ააშენეს, რაც, საერთოდ, არაფრისმომტანი იყო. ქართველი ხალხი შიმშილით იხოცებოდა, რა დროს ეს იყო?! იცით, რატომ ხდება ასე?! — თქვენმა რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგმა ქართულად თარგმნა პერკინსის „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“. იგი დიდი ადამიანი იყო — მან თავი გაწირა. იცით, რას ამბობს? — აშშ-ს საგარეო პოლიტიკა კორუფციაზეა აგებულიო. აშშ-ს ვერ წარმოუდგენია, ამა თუ იმ ხელისუფლების სათავეში წესიერი კაცი იყოს, ამიტომ მიდის და მას ეუბნება — გაძლევ ფულს და რაც გინდა, ის უყავი — გინდა მოიპარე, გინდა ჯიბეში ჩაიდე, გინდა, დაწვი და ა.შ., მაგრამ ჩემი პოლიტიკა უნდა გაატაროო. რას ნიშნავს ეს? — ის, რომ საქართველო, ჩვენი შვილები, შთამომავლები დაკაბალებულები ვართ. პრეტენზია აღარ უნდა გვქონდეს სოც.დაცვაზე და განათლებაზე. აი, აქეთკენ მივდივართ და ამ დროს რაზე ვლაპარაკობთ — რაბათის გუმბათი ვარდისფერი იქნება თუ ცისფერი.

**— ბატონო ელიზბარ, ივანიშვილს ქართველმა ერმა ნდობა სწორედ იმიტომ გამოუცხადა, რომ იგი თავისიანად მიიღეს და იფიქრეს, გაჭირვებიდან ამოგვიყვანსო, მაგრამ ქვეყანას სულ სხვა ძალა ხომ არ დაეპატრონა?**



— სამწუხარო ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილმა ირგვლივ „რესპუბლიკელების“ ხელით დიდი ბადე შემოიქსოვა. ვფიქრობ, ეს შეცდომაა! გველი სამოსს რომ გამოიცვლის, ვინმეს ჰგონია, რომ მისი ბუნებაც იცვლება?! — არ იცვლება. ამ ხალხის ამარა არ შეიძლება ქვეყნის ბედის დატოვება. სხვათა შორის, ეს ბევრს დაემართა. იგივე დაემართა ზვიად გამსახურდიასაც. იგი ბრძენი კაცი იყო, მაგრამ მაშინ მას ვუთხარი — ბატონო ზვიად, საზოგადოებას ყური მიაპყარით-მეთქი. შევთავაზე, საბჭოს შევკრებ და მოუსმინეთ-მეთქი. იგი თანახმა იყო, მაგრამ აღარ დასცალდა. ახლაც მივმართავ ბატონ ბიძინას — ყური მიაპყროს ქართველი ხალხის წუხილს, გულის ფეთქვას, სხვაგვარად არ გამოვა.

ახლახან დიმიტრი ლოთქიფანიძის ინტერვიუ წავიკითხე, იგი ძალიან ნიჭიერი კაცი, 7 შვილის მამაა, მერვეს ელოდება. იმდენად თავდაჭერილი კაცია, აქამდე არ უთქვამს, „რესპუბლიკელებმა“ რაც გაუკეთეს. სხვათა შორის, თამარ კორძაია „რესპუბლიკელების“ კანდიდატურაა. ეს არის არასამთავრობო ორგანიზაცია „საია“-ს ყოფილი წარმომადგენელი.

**როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია გამოდის და ამბობს, სააპატრიარქოზე კონტროლი უნდა დაწესდესო. ქართველი ხალხი სვამს კითხვას — თავად საიდან აქვთ მათ ამდენი ფული და რაში ხარჯავენ, მათ ვინ აფინანსებს. ეს უნდა გაცხადდეს.**

კორძაიას ერთ-ერთ გადაცემაში ჰკითხეს, შენი უპირატესობა რა არისო? ჯერ ერთი, ვინც პარლამენტშია, ყველა ივანიშვილის შეყვანილია. ვერც ერთი „რესპუბლიკელი“, თავს დავდებ, თავისით პარლამენტში ვერ შევიდოდა. ეს გამორიცხულია.

**კორძაიამ თქვა, ჩემი უპირატესობა ისაა, რომ მე ქალი ვარო. ერთი გამაგებინეთ, ეს რატომ არის უპირატესობა?! — ბუნებამ ზოგი ქალად გააჩინა, ზოგი კაცად, ბოდიში მომითხოვია — ზოგს ასო**

8 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ვახტანგ ხარჩილავა

# კოაბიტაცია — სადამსჯელო ოპერაცია საქართველოს და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

ბევრს ჰგონია, რომ კოაბიტაციის თემა საერთაშორისო თანამეგობრობისგან „მიხეილ სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ დასაცავად და დასახსნელად არის შემოგდებული.

ეს მოსაზრება მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი.

უფრო ზუსტად, ეს არის ის სურათი, რაც მედლის წინა მხარეს ჩანს, მედლის უკანა მხარეს კი სულ სხვა მოხაზულობის სქემა იკვეთება.

როგორც ჩანს, კოაბიტაციური მარაზმის ავტორებს სამუდამოდ სახელშერცხვენილი და სახედაკარგული სააკაშვილის სახის შენარჩუნება კი არა, ბიძინა ივანიშვილის სახის შელახვა, მისი ავტორიტეტის და იმიჯის შებღალვა აინტერესებთ.

ეტყობა, მათთვის მიუღებელია საქართველოს ჰყავდეს ისეთი პოლიტიკური ლიდერი, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, რომელიც ლამის ეროვნულ გმირად არის შერაცხული საქართველოს მოსახლეობის მიერ.

დიდი ავტორიტეტის, მაღალი რეიტინგის პოლიტიკური ფიგურის გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე, როგორც ჩანს, საერთაშორისო ძალების გარკვეული წრეებისთვის რისკების შემცველი ფაქტორია — ხომ შეიძლება ასეთმა ფიგურამ დამოუკიდებელი პოლიტიკური თამაშები წამოიწყოს და არ დაემორჩილოს „ცენტრის“ მითითებებს?



ამიტომაც აუცილებელია მისი „პროკრუსტეს საწოლში“ ჩაწვენა და „ზედმეტი“ რაღაცეების ამპუტირება.

ეს ზედმეტი რაღაცეები კი სხვა არაფერია, თუ არა ავტორიტეტი, მაღალი რეიტინგი, ხალხის ნდობა და სიყვარული.

**„ნაცმოძრაობასთან“ კოაბიტაცია სპეციალურად ბიძინა ივანიშვილისთვის გამოჩორკნილი „პროკრუსტეს საწოლია“, თუმცა მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ არ არის მიმართული ეს ქირურგიულ-პროფილაქტიკური ღონისძიება.**

**ივანიშვილთან ერთად ამ მზაკვრული ღონისძიების სამიზნე, რა თქმა უნდა, საქართველოცაა, რომელიც ოცწლიანი მუდმივი წნეხის მიუხედავად, მაინც არ გატყდა და — მამული, ენა, სარწმუნოებაო, — იმეორებს დღესაც.**

ახლა კი ამ კოაბიტაციით უნდათ ხერხემალში გადაგვამტვრიონ, სულში ჩაგვაფურთხონ, აბუჩად აგვიგდონ და ცინიკური ღიმილით გვითხრან: — **თქვენი მხსნელი, თქვენი გადამრჩენელი, თქვენ რომ ეროვნული გმირი გეგონათ, ნახეთ, როგორ კოაბიტაციობს თქვენს შეურაცხმყოფელებთან? თქვე გულუბრყვილო და მიამიტო ქართველებო, თქვენ ვერ ხვდებოდით, თორემ შეკრულები და გარიგებულები არიან ეგენი... აქამდეც ასე იყო, მაგრამ თქვენ ვერ ხვდებოდით, თქვე უბედურებოო...**

**აი, ეს უნდათ, რომ დავიჯეროთ! აი, ეს უნდათ, რომ ვირწმუნოთ, რომ მერე გაბრაზებულები და გამწარებულები ბიძინა ივანიშვილს მივადგეთ კარზე და ჩვენი მოტყუებისთვის პასუხი მოვთხოვოთ.**

რაც უფრო დიდი იქნება დაწოლა ხალხისგან, მით უფრო იძულებული გახდება ახალი ხელისუფლება, კიდევ უფრო დაჰყვეს კოაბიტაციის ავტორების ნებას და კიდევ უფრო ახლოს მივიდეს წინა ხელისუფლებასთან, რაც დროთა განმავლობაში მათ შორის განსხვავებას და წინააღმდეგობრივ შტრიხებს თანდათან მოშლის.

„ქართული ოცნების“ ეტაპობრივი „ნაციონალიზაცია“ ანუ განაციონალება — აი, სპექტაკლ „კოაბიტაციის“ დრამატურგთა და რეჟისორთა მთავარი ამოცანა.

**როგორც კი ქართველი ხალხი ირწმუნებს, რომ ბიძინა ივანიშვილმა, ადამიანმა, რომელსაც უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული ქართველი ხალხისთვის, ზურგი შეაქცია საქართველოს და ქართველ ხალხს, აი, იმ დღეს დაიწყება საქართველოს რღვევა და უფსკრულში vარდნა, საიდანაც მისი ამოყვანა შეუძლებელი იქნება.**

ჩვენ, უბრალოდ, ამის ძალა არ გვეყოფა. ჩვენ სისხლისგან დავიცალეთ და დავიღალეთ ამ ოცწლიანი ომით, რომელიც 1991-92 წლებში დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა.

მაშინაც, იმ ოცი წლის წინათ, საქართველოს მტრებმა დემოკრატიული მსოფლიო დაარწმუნეს, რომ ის, რაც საქართველოში დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში ხდებოდა, პროვინციული ფაშიზმი იყო, ხოლო ზვიად გამსახურდია — დიქტატორი და უზურპატორი.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვებით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გააკეთა განაცხადი იმისა, რომ ის არ დათმობს თავისუფლებას და არ შეეგუება მარიონეტული ხელისუფლების თვითნებობას.

სწორედ ამ ურჩობისა და გაუტეხლობის გამო ისჯება დღეს საქართველო იძულებითი კოაბიტაციით, რაც სხვა არაფერია, თუ არა ქართველი ხალხის აბუჩად აგდება და დაცინვა.

არარეალური მეჩვენება მოსაზრება, თითქოს კოაბიტაციის ავტორებს კეთილშობილური მიზნები ამოძრავებთ, როცა სააკაშვილის რეჟიმთან თანაცხოვრებისკენ მოგვიწოდებენ, რითაც სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის განეიტრალებას ცდილობენ.

მე მგონი, პირიქითაა ყველაფერი — კოაბიტაციის დროში გაწელილი პროცესი ისეთ უკიდურესად ნერვიულ ატმოსფეროს ქმნის, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს.

**საქართველო დღეს ჰგავს ხომალდს, რომელიც მეკობრეებმა ჩაიგდეს ხელში და მგზავრებს ხომალდის აფეთქებით ემუქრებიან, თუ მგზავრები მათთან მშვიდობიან თანაარსებობაზე არ დათანხმდებიან.**

* * *

კოაბიტაცია ჩიხია, სადაც იძულების წესით შეგვრეკეს.

არსებობს თუ არა გამოსავალი ამ ჩიხიდან?

რა თქმა უნდა, არსებობს და ეს გამოსავალი ქართველი ხალხისა და ბიძინა ივანიშვილის მჭიდრო თანამშრომლობასა და პარტნიორულ ურთიერთობაშია.

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: — **ქართველ ხალხს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია, არ ჰყავს, ისე, როგორც ბიძინა ივანიშვილს არ ჰყავს უფრო დიდი მოკავშირე, ვიდრე ქართველი ხალხია.**

ქვეყნის გადარჩენის ფორმულა ამ ორი ძალის ერთობაში და მათ ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებაშია...

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ვინ დანიშნა „საია“ საქართველოს უფროსად?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია („საია“) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ პროკურატურაში საჩივრის შეტანას აპირებდა, უკვე შეიტანა, დღეს შეაქვს, ხვალ შეიტანს თუ სულაც, გადაიფიქრებს საჩივრის შეტანას, სრულებით აღარაა საინტერესო, რადგან დიდი ქვა უკვე წინასწარგანზრახვით და შესაბამისად, რა თქმა უნდა, დამიზნებით, ნასროლია.

## „საია“ — არასამთავრობო ორგანიზაცია თუ უსუფაშვილ-ხიდაშელის საოჯახო ბიზნესი?





შეგახსენებთ, რომ საქმე ეხება ინციდენტს, რომელიც 27 მარტს ბათუმში, გრიბოედოვის ქუჩაზე მოხდა „საია-ს“ სამ თანამშრომელსა და აჭარის შს მთავარი სამართველოს უფროს ვალერი თელიას შორის მოხდა. „საია-ს“ იურისტ გიორგი ხიმშიაშვილის განცხადებით, ქუჩაში გადაადგილებისას თელიამ მათ შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა და ანთებული სიგარეტი ისროლა მათი მიმართულებით (ეს ბრალდება ბოლოს „გაკეთილშობილდა“, თორემ ტელევიზიით გაკეთებულ ანონსში ითქვა, რომ „შუბლზე მიაწვა“).

**იურისტ ხიმშიაშვილს პირში წყალჩაგუბებულები რომ ისხდნენ თბილად და მათი ხმა არავის გაუგია, ახლა კი, დროშებით ხელში „პიკეტობანას“ თამაშში და პრესკონფერენციები ველარ მოითავეს?**

რა მოხდა ასეთი განსაკუთრებული, რატომ ატეხა განგაში „საიამ“? განა ვისი „ზურგი“ აქვს ასეთის, რომ „საია-ს“ ნასვამი მძღოლი, (ჯერ როგორც მოქალაქე და

**ლი არ მოაწერეს მემორანდუმს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან და ევროსაბჭოს ეგიდით სპეციალური კომისიის შექმნას ითხოვდნენ** — „საია-ს“ მოტივი ასეთი იყო, არ გვაქვს შესწავლილი მათი საქმეებიო. საპასუხოდ საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში მყოფმა პოლიტპატიმრებმა გაავრცელეს განცხადება, სადაც გამოთქვამდნენ გაკვირვებას „საია-ს“ მისამართით, რომელმაც ბოლო წლებში 3,5 მილიონამდე გრანტი მიიღო და ამ ხნის განმავლობაში არ შეისწავლა 200-მდე პატიმრის საქმე; რომ წინა ხელისუფლების დროს „საია“ მაქსიმალურად ცდილობდა თავი აერიდებინა პოლიტპატიმრების პრობლემისთვის, რომ იმჟამადაც სააკაშვილის ბნელი საქმეების გამთეთრებლად წარმოჩინდა — განცხადებას ხელს აწერდა 32 პოლიტპატიმარი.

გინდა—არ გინდა, ეჭვი გაგიჩნდება. მოდი და ნუ დაუკავშირებ მომხდარს და „საია-ს“ ახლანდელი

კი, დაადასტურა, რომ ინფორმაცია ნამდვილია, მაგრამ ეს არაფერს ცვლის. მარტივია, დაადასტურა, რადგან ვერ უარჰყოფდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი „სვიდანიის“ შესახებ ინფორმაცია „ჭორიკანა ჟურნალისტებს“ არ გაუვრცელებიათ, თურმე ორი ცნობილი პიროვნება შეესწრო „უწყინარი გვრიტების ღუღუნს“, ერთ-ერთი, ყოფილი პარლამენტარი და მათგან გავრცელდა. უცნაურ მეგობრობაში გამოჭერილ კოჟორიძეს არ განუმარტავს, რა „გულითადი მეგობრობა“ აკავშირებს ისეთი სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის პარლამენტის თავმჯდომარესა და „რუხ კარდინალად“ შერაცხულ პირთან, რომ ოჯახებში არ მიესვლებათ ერთმანეთთან და სასტუმრო-სასტუმრო დაიარებიან. რა თქმა უნდა, არც კოჟორიძის „მეგობრებს“ უთქვამთ რა-



„საია“ 1994 წელს დაფუძნდა და მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი და ასევე პირველი თავმჯდომარე 1997 წლამდე იურისტი, საჯარო პოლიტიკის მაგისტრი, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე 2005 წლიდან და 2012 წლის 21 ოქტომბრიდან საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილია...

დიახ, ის ბატონი უსუფაშვილი, რომელმაც ბრძანა, ნურავის ეწყინება, მაგრამ „საია-ს“ წევრობის მოწმობა უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობაო...

„საია-ს“ პირველი თავმჯდომარე, ბატონი უსუფაშვილი 1997-1999 და 2002-2004 წლებში მისმა მეუღლემ, დღეს საპარლამენტო უმრავლესობისა და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ქალბატონმა თინა ხიდაშელმა (2004-2005 წწ ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მმართველი საბჭოს წევრი) შეცვალა, ხსენებული საზოგადოება კი, ვისი ფრთის ქვეშ იყო შეყუჟული და ვინ კვებავდა პირდაფჩენილს, ჯორჯ სოროსისა და ქალბატონი თინა ხიდაშელის გარდა ბევრმა სხვამაც იცის.

თამარ ჩუგოშვილი 2009 წლიდან გახლდათ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მდივანი, 2010 წლის 23 ნოემბრიდან კი „საია-ს“ გამგეობამ აირჩია „საია-ს“ თავმჯდომარედ. დღეს იგი პრემიერ ივანიშვილის მრჩეველია.

ვინ ურჩია და ვის, უცნობია, მაგრამ ფაქტია, შუალედურ არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ მაჟორიტარ კანდიდატად „საია-ს“ პრო-

## „რესპუბლიკელები“ მათ კონტროლს დაქვემდებარებული „საიას“ დესანტის მეშვეობით ბიძინა ივანიშვილს უტევენ?



**რადგან ხიმშიაშვილს სახე არ დაუმახინჯდა (გადარჩა ძვირადღირებული პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას), უპირველესად ის ვიკითხოთ, სად ბრძანდებოდა ხსენებული ორგანიზაცია და კონკრეტულად იურისტი ხიმშიაშვილი, რატომ დუმდა, როდესაც საქართველოს შსს, ანუ იგივე უწყება თავ-პირს ალეწავდა საქართველოს მოქალაქეებს და სასიკვდილოდ დებდა? რაც შეეხება სიგარეტის სროლას — ყველა პატიმრის თუ არა, სულხან მოლაშვილის სიგარეტებით ამომწვარი ზურგის ფოტოებისთვის მაინც არ მოუკრავს თვალი „საიას“ და კონკრეტულად**

შემდეგ როგორც ნასვამი, ანუ კანონის დამრღვევი) პოლიციელს არ ეპუება?

**სხვათაშორის, „საია“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის იყო 1 ოქტომბრამდე (თავმჯდომარე — თ. ჩუგოშვილი), რომლებმაც ხე-**

„დირექტორის“ კახა კოჟორიძის შეხვედრას სასტუმრო „მერიოტის“ მე-2 სართულზე გიგა ბოკერიასთან და „რედისონის“ ბარში დავით ბაქრაძესთან, დაახლოებით 13-იდან 15 საათამდე, 29 მარტს, პარასკევს, შს მინისტრის მოადგილე ლევან იზორიასთან შეხვედრამდე. კოჟორიძემ

ტომ დაცუნცულებენ „საია-ს“ ახალგაზრდა შეფთან შესახვედრად სასტუმროებში...

ვნახოთ ვინ არის „საია-ს“ სამიზნე — კონკრეტულად თელია, მაგრამ ერთი პირი ვის აინტერესებს, სინამდვილეში სამიზნე შინაგან საქმეთა სამინისტროა, ანუ ამ უწყების ხელმძღვანელი მინისტრი ბატონი ირაკლი ღარიბაშვილია, პრემიერ ბიძინა ივანიშვილის ზენდობით აღჭურვილი პირი, ანუ ცოტაც რომ წავიწიოთ, ზეწოლა ხდება პრემიერ ბიძინა ივანიშვილზე და ეს სპექტაკლი იდგმება „ნაციონალების“ მიერ დიდიხნით ადრე გამოცხადებულ 19 აპრილამდე ცოტა ხნით ადრე.

ახლა ვნახოთ ვინ წარმოადგენს „საია-ს“, საიდან და როდის გაჩნდა საქართველოში.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# თინა ხიდაშელი: „მე აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავ...“



ექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და „საია-ს“ გამგეობის წევრი თამარ კორძაია წარმოადგინა

(თამარ კორძაია კანდიდატურის წამოყენებას „პრაიმტაიმის“ პრეს-კლუბში ყოფილი პოლიტპატიმრის, გიორგი გაბედავას უცნაური ინფორმაცია დაერთო, კორძაია „ეჭვმიტანილია“ ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოსურნეობაშიო. გაბედავას ინფორმაციით, ამ საკითხთან დაკავშირებით კორძაია საზოგადოებაში კვლევებს ატარებდა და მისი პარლამენტში შესვლა დაუშვებლად მიაჩნია)

(თამარ გურჩიანის კანდიდატურა ვერ გაიყვანა „საია-მ“, თორემ სახალხო დამცველადაც „საია-ს“ გამგეობის წევრი გვეყოლებოდა).

**თვალსა და ხელსშუა ძალზე უცნაური და არასასურველი სურათი იკვეთება, „საია“, შესაბამისად „რესპუბლიკური პარტია“, ვიღაცას საქართველოს უფროსად დაუნიშნავს...**

მაშასადამე, 1 ოქტომბერს საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი მათი, ნულოვანი რეიტინგის მქონე პარტიის ოცნებების ახდენაზე ოცნებობდა და „ქართული ოცნება“ მხოლოდ კოდური სახელი იყო?

საინტერესოა, რომელი „მნიშვნელოვანი“ ადგილების „გამონთავისუფლებას“ ელიან „საია-ს“ გამგეობის დანარჩენი წევრები: ბესარიონ აბაშიძე, ნინო ბაქაქური, ბესარიონ ბოხაშვილი, ეკატერინე გასიტაშვილი, თამარ გურჩიანი, გიორგი ზედელაშვილი, ნინო




თვალთვაძე, ნინო ლომჯარია (ნეტავ, ეს ის ნინო ლომჯარია ხომ არ არის, ადამიანის უფლებათა დაცვა რომ აბარია არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ სახელით და საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობას არ სცნობდა?) გიორგი მშვენიერაძე, დიანა ჟღენტი, ალექსანდრე რუხაძე, ვენერა სუქნიძე, ლელა ტალიური, გიორგი ჩხეიძე, ხათუნა ჭითანავა, თამარ ხიდაშელი და პარმენ ჯალაღონია?

„საია-ს“ გამგეობის წევრები დღემდე არიან თინა ხიდაშელი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი თამარ ჩუგოშვილი და „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატი ნაძალადევის რაიონში თამარ კორძაია.

მოკლედ რომ ვთქვათ, გამოდის, რომ „საია“ ხიდაშელ-უსუფაშვილის ჭკვიანურად (სათავისოდ) დაგეგმილი კერძო, ოჯახური ბიზნესია, „საია-ს“ დანარჩენი წევრები კი მათი რაზმი, თუმცა თამარ კორძაიას გარდა „მე გამოძიებას დაველოდები და დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას ამ თემის ირგვლივ კითხვები არ დარჩება“ – არც ერთს დაუსველებია სიტყვა ბათუმში მომხდარ ინციდენტზე...

ქალბატონი ხიდაშელი, ისევე როგორც სხვა „გადიდკაცებული“ პარლამენტარები, სატელეფონო ზარებს რომ არ პასუხობს და ჟურნალისტებსაც შერჩევით „აფასებს“, უკვე აღარავისთვისაა უცხო, თუმცა უფრო დიდ უცნაურობას წავაწყდით „ვინ გაფინანსებთ, მომწერეთ და ამის შემდეგ გადმომირეკეთ,“ – პასუხად მიუწერია ხიდაშელს ჟურნალისტის მიერ მობილური ტელეფონით გაგზავნილ შეტყობინებაზე.

**საინტერესო შეტყობინებაა, ნეტავ სადმე და ვინმეს თუ სმენია მსგავსი რამ პოლიტიკოსისგან? პირიქით რომ ვიკითხოთ, რა თანხები ირიცხებოდა და ირიცხება „საია-ს“ ანგარიშებზე, საიდან, რატომ და რისთვის, სად მიდიოდა ეს თანხები და რას ხმარდებოდა, ვინმემ იცის?**

(ამაოდ ვცადეთ ორი დღის განმავლობაში ინფორმაციის მოპოვება, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ „საია“-ს) ტელეფონის ნომრებზე მუდმივი დაკავება ფიქსირდებოდა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა კი დაგვაკვალიანეს, მსგავსი ინფორმაცია მხოლოდ ორგანიზაციის კეთილი ნება უნდა იყოს, თუმცა დამალვაში რა ლოგიკაა, გაუგებარიაო... ასე რომ, თავი დავანებეთ, წყლის ნაყვას და დროის ფლანგვას.)

# დავით ბერძენიშვილი: „მე ვფიქრობ, აფხაზებს აქვთ უფლება შექმნან ცალკე სახელმწიფო...“

ისევ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებას მივუბრუნდეთ და ზაზა პაპუაშვილის განცხადებულს შევუდაროთ „მირჩევნია მაყურებელი დავკარგო, ვიდრე დავკარგო სამშობლო“ – პარლამენტის თამჯდომარისთვის კი, „საია-ს“ წევრობის მოწმობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამშობლოს სამსახურში ყოფნა...

ბატონი დავითი ის კაცი არ არის, სიტყვები პირიდან შემთხვევით უცვიოდეს...

აქედან გამომდინარე, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ახალქალაქის რაიონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ერთობლივად მიმართავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და თავიანთი პარტიის ლიდერს დავით უსუფაშვილს (2013 წლის 14 მარტი), რომ კონსიტუციაში შეიტანონ ცვლილება და სომხურმა ენამ რეგიონალური ენის სტატუსი მიიღოს. სამკითხაო არაფერია, წერილში აბსოლუტურად გასაგებადაა მითითებული, რომ „აღნიშნული საკითხი შესწავლილი და საკრებულოს სხდომაზე განხილულია ახალქალაქის მინიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება – რესპუბლიკელების“ ფრაქციის ინიციატივით.

საინტერესოა, „საია“-ს მშობლებმა“ და ამავდროულად „რესპუბლიკელებმა“ თუ იციან რომ ქართველი ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ?

რა თქმა უნდა, იციან!

მაშინ რატომ ეტმასნებიან ასე მჭიდროდ ბიძინა ივანიშვილს?

იმიტომ ხომ არა რომ მათი გამოჩენა ვინმეს გვერდით ავტომატურად ნიშნავს მისი რეიტინგის დაცემას?

**თამარ მჟავია**




## xa l xis az r iT

მე ერთი რამ მიკვირს, ნუთუ პარლამენტარები და მინისტრები რომლებიც უმოქმედოდ სხედან კაბინეტებში და ხალხს დაშორდნენ, ვერ ხვდებიან რომ მათ ეს თანამდებობები ბიძინა ივანიშვილმა უბოძა და რომ არა ბიძინა ივანიშვილი ბევრი მათგანი არათუ მინისტრი და პარლამენტარი, არამედ სერიოზულ პოლიტიკასთან და თანამდებობასთან ახლოსაც ვერ მივიდოდა,ხოლო თავიანთი უმოქმედობით ბიძინა ივანიშვილს აყენებენ ძალიან უხერხულ მდგომარეობაში.

ამ მინისტრებს და მათ მოადგილეებს, განსაკუთრებით რესპუბლიკელების მხრიდან მაგარი მათრახი სჭირდებათ. მაგალითად, ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში ერთადერთი რექტორი შეიცვალა ახალციხეში. დავით ზურაბიშვილის რეკომენდაციით მოიყვანეს კორუფციისთვის ნასამართლევი ძველი რექტორი, რომელსაც 90-იან წლებში იქ ცეხი ჰქონდა გახსნილი

მერაბიშვილს კულტურის სამინისტროში იწვევენ კულტურაზე სასაუბროდ, ამ ლოგიკით, თუთბერიძე წმინდა სინოდშია მისაწვევი სულიერებაზე სასაუბროდ, წერეთელს კიდევ ფენი და ბრიოლინი სჭირდება))))

ისეთი ქვეყანა ააშენეს, მაპი ვერ გვაკადრეს და მაპზე უკეთესი მოგვცეს.

რაც ააშენეს, ბუტაფორიას ჰგავს. თეატრის ბუტაფორიას. კუსტარულის იერი აქვს თან. პლეხანოვი კოშმარია. მოტიტვლებული, ხეს ვერ ნახავ, გული რომ წაგივიდეს კაცს... პეკინზე ისევ აყრილია ტროტუარი. 2 წყვილი ფეხსაცმელი გავცვითე 1 თვეში. მოუვლელია ქალაქი. თავიანთი ჭკუით “სვეტსკები” ფეხით სიარულს არ კადრულობენ, გული აგერევა იქაურობაზე. მარტო სტუდენტები და მოხუცები დადიან ქუჩაში. არადა, თბილისი ფეხით მოსარბენი ქალაქია, ასე არ არის?!

ერთხელაც არ მოსულან დამოუკიდებლად პარლამენტში... სულ სხვას იყვნენ ზურგსუკან ამოფარებულები... ზუსტად იცოდნენ, მაყუთი როგორ და სად მოეხსნათ... ზუსტად იცოდნენ დემაგოგიით რას მოიგებდნენ... გადაგვატანეს თან განათლება... ჰარიქა, განათლებული ხალხია თავმოყრილი ერთადო... წიგნის წაკითხვა და დიპლომი რომ იყოს განათლება, ეგრე ჩიორა თაქთაქიშვილზე არც სკოლაში და არც შემდეგ არავის უთქვამს უნიჭო და გაუნათლებელიაო... რატომ არ მოგწონთ, ნეტავ, ა? ჩიორაა და იმიტომ? რითი განსხვავდებიან რესპები და ნაცები ერთმანეთისაგან? “დედებით”?

ოქროს გუმბათის იდეა იერუსალიმიდან კი არ მოგივიდათ, არამედ დაჩოჩებული კრამიტიდან! ეგრე ხდება ხოლმე, ცარიელი თავის პატრონი ძვირფასი ქუდით ცდილობს გადაფაროს ნაკლი. შე მამაცხონებულო, ახალციხეში რომ არ ააშენო ხელოვნური ”იერუსალიმი”, სადაც მეჩეთი, სინაგოგა და ეკლესია იქნება ერთად, აგერ, ჩაიარე ლესელიძეზე და მაგ ყველაფერს ნახავ, პლიუს კიდე გრიგორიანულსაც!

რამდენი განსხვავებულ აზრს ვხედავ ამ ფეისბუკზე :) ერთი წუხს – მაღალი გადასახადები გვახრჩობსო, მეორე წუხს – პენსიები ცოტათი გაიზარდაო (პენსიების გადახდა ხდება გადასახადების ამოღების ხარჯზე). ერთი წუხს – სამსახურიდან უმიზეზოდ გვიშვებენო, მეორე ბრაზობს – ძველები დატოვეს, ჩვენ ისევ ისე ვართო (საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა რაოდენობა გარკვეული ციფრია, ვინც არ უნდა მუშაობდეს, უმუშევართა რაოდენობა არ შეიცვლება). ერთი წუხს – ლიბერალები გვლუპავენო, მეორე – რადიკალების საფრთხეაო (დემოკრატია ყველას თანაარსებობას გულისხმობს). ერთი ამბობს – რუსეთთან ბაზარი უნდა გაიხსნასო, მეორე – რუსეთთან არანაირი კავშირიო! ერთი ამბობს – დასავლეთის მხარდაჭერის გარეშე წინ ვერ წავალთო, მეორე – დასავლეთის ჭკუაზე სიარულს აკრიტიკებს....

# ღია წერილი
## თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს ზაალიკო სამადაშვილს!



ბატონო ვირთხა! თქვენ, ალბათ, წინა ცხოვრებაშიც ვირთხა იყავით; სხვანაირად ყოვლად შეუძლებელია ასეთი თითქმის ფოტოგრაფიული მსგავსება, მაგრამ ვირთხები მშიშრები და აფერისტები რომ არ არიან, თქვენ რა ჭირი გეტაკათ, ვირთხა ბატონო? როგორი გულისამაჩუყებელი იყავით, როგორი სენტიმენტალური, ოდეს თქვენივე მეგობრებმა ჯერ გადაგაყენეს, მერე აგაყენეს, ჩვენო საბავშვო მწერალო და კიდევ სამი თვე უნდა ვუყუროთ მაგ თვალების დამფრთხალ ცეცებას და ულვაშების ცმაცუნს.

ეტყობა, ეს სავარძელი მღრღნელებისთვის არის დადგმული (ყველასათვის საყვარელი ლადო კახაძის გამოკლებით). მაგ სკამზე იჯდა საერთაშორისო მღრღნელი Mûøü (Misha), ის, გეიკლუბებში ნაწრუწუნები კრისა ახვლედიანი და კარგა ხანს ბუღრაობდით და იქექებოდით ნაგავში... იმიტომაც დაგისივდათ ასე კისრები.

მახსოვს ინგა გრიგოლიასთან რომ განაცხადეთ: მე ასეთ პოეტს არ ვიცნობ, ვინ არის ამაშუკელიო?!

მე რა მოსატანი ვარ, ზოგ-ზოგიერთი ილიას არ იცნობს, ჭავჭავაძეს.

მერე „ახალგაზრდა ვოლტერმაც" კვერი დაუკრა — ლაშა ბუღაძემ, არც მე ვიციო. ეს იმ ბუღაძის შვილია, სტუდენტებს აქლემებად რომ ზრდიდა და ცხვირ-პირში აფურთხებინებდა ერთმანეთს. ჰოდა, ამანაც: მამაჩემ ბუღაძის შვილი ვარო და, აფურთხა და აფურთხა ქართველთა სათაყვანო წმინდანს თამარ მეფეს. კაცმა ფურთხებაში ფული იშოვნა. ამასაც ხომ ნიჭი უნდა?!

ვირთხა ბატონო, თავი მინდა გაგაცნოთ და თან ისიც მინდა გაგახსენოთ, რამდენი გდიეთ, პასუხი რომ გაგეცათ იმ მშენებლობის გამო ჩემს აივანს რომ მოადგეს ძმებმა თარგამაძეებმა — პედოფილმა „ჩე გევარამ" და მშენებელმა „ჯოი ზაზამ". ახლა გივია თარგამაძე სად დაპაკუნობს ყვარყვარესავით ქალის კაბაში გადაცმული, საკითხავია, მაგრამ მაგათ ისეთი ნიჭი დასდევთ, რომ, არა მგონია, დიდხანს გაუძლოს მაღალქუსლიანმა ფეხსაცმელებმა და ჩასვამენ მაგასაც რკინის კასრში შენთან და შენნაირ მღრღნელებთან ერთად. მერე იქნებით ასე, კაი ხანს, სანამ კისრებს არ გამოღადრავთ ერთმანეთს. მაგრამ მანამდე ველოსიპედით ხომ არ გაისეირნებდით, ვირთხა-ბატონო, ქალაქში?..

აბა კარგად იყავი, ბატონო ვირთხა, მომავალ შეხვედრამდე!

**ნამეტანი დიდი პატივისცემით,**
**უცნობი პოეტი რეზო ამაშუკელი**

## xa l xis az r iT

ნაცხრამეტაპრილევს მეხი დამეცა, უკაცრავად მეხი გავარდა, ვანო მოძრაობას აკეთებსო :))))) ჯერ "შემეშინდა" :))) მერე კი ვიფიქრე, ვანო დიდი ხანია ერთ ადგილს ამოძრავებს და ნეტა, ეხლა, რაღა მოძრაობა უნდა გააკეთოს-თქო :))) ეეეეეჰ, არჩილ, არჩილ )))) შენ კბილაშვილი კი არა ენაჩლიქაშვილი უნდა იყო :))))) რას ელოლიავები ამ ჩმორს? წაავლე ქეჩოში ხელი და მიუსვი მეორე ხიხოს, სანამ ეგეც გამოუშვიათ :))))))

გუშინ, პოლიტმეტრში ვნახე ფირი, ბათუმში მომხდარი ფაქტის...შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საია-ს ზოგიერთ მოხელეს თავს გაუვიდა და კანში ვერ ეტევიან, მათი ხელმძღვანელი კი ცდილობს აქედან პოლიტიკური დივიდენდი მიიღოს და მარიაჟობს "პატრონების" დასანახად, არ ვარგა ასე, იმედია, ასე არ გააგრძელებთ, აშკარად ჩანდა, როგორ ჩაითრია პროვოკაციაში ნასვამმა მძღოლმა და კიდევ მისმა რამდენიმე თანამეინახემ ეს ბატონი თელია...

აშკარაა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში აქტიურად და მიზანმიმართულად არის ჩართული მეოთხე ხელისუფლების საკმაოდ სერიოზული ნაწილი, რაც ნაცების იმ გეგმის ნაწილია, რომლის მიხედვით საქართველოში სტაბილური, მართვადი ქაოსის მდგომარეობა შეიქმნას.

4 gv.

**აქვს, ზოგს — საშო და ამის გამო აქვს უპირატესობა?!**

რას ნიშნავს უპირატესობა?! კიდევ ბრძანა, ხალხს არ ვუღალატებო. ჩვენ რა ვიცით, უღალატებს თუ არა. ჩვენ ვიცით მისი წარსული, ვიცით, როგორ შეაფასა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ", რომლის წევრიც იგი იყო, 26 მაისი — მორალურად დამნაშავეა ხელისუფლებაც და ორგანიზატორებიო. არც ერთხელ არ უთქვამთ, რომ ამით ხალხი, ჩვენ — ორგანიზატორებიც დაგვსაჯეს. ეს როდიონოვსაც არ გაუკეთებია — გზები შეკრეს და ხალხი ჩახოცეს. ამათ უნდა ვენდოთ?! საერთოდ მოშორდნენ აქედან. 4-5 ორგანიზაციაა, რომლებიც მეზიზღებიან იმიტომ, რომ გამყიდველები, სულით და ხორცით ფულზე გაყიდული მეძავები არიან.

**ახლა „საიამ" ღარიბაშვილს აუტეხა ერთი ამბავი. იცით, რატომ? — ღარიბაშვილს „რესპუბლიკელები" ვერ იტანენ. თუ რატომ ვერ იტანენ, ეს ცნობილია — ღარიბაშვილმა ერთი ქალბატონი ძალიან ტიპიურად დაახასიათა. ამიტომ ახლა „რესპუბლიკელები" უტევენ, პირდაპირ ვერ აკეთებენ ამას და ხან ერთი მხრიდან უვლიან, ხან მეორედან.**

თუ ქართველი კაცი იტყვის, რომ საქართველო უყვარს, ე. ი. ქსენოფობი ყოფილა. ეგენი ქართველოფობები არიან, ამ გათახსირებულებს საქართველო ეზიზღებათ, იმიტომ, რომ ფულზე არიან გაყიდულნი. საერთოდ, 2 ათასამდე არასამთავრობოა. თითზე ჩამოსათვლელები — კახი კახიშვილი, ნანა კაკაბაძე ემსახურებიან ქართულ საქმეს, დანარჩენები ფინიები არიან — გადაუხდიან — აყეფდებიან, მერე გაჩერდებიან, გადაუხდიან ისევ ფულს და ისევ აყეფდებიან. ესენი ასე ქართველობას, ეროვნულობას უყეფენ. დაიკარგონ აქედან თავიანთი ვრცელი განცხადებებით. ძალიან გულშეძრული ვარ. რა თქმა უნდა, დასავლეთიდან საშიშროება არის, მაგრამ უფრო მეტად საშიში შინაური მტერია, ვიდრე გარეული.

**— წელან თურქი-მესხების პრობლემაზე ისაუბრეთ. ახალი ხელისუფლების პერიოდში წამოიჭრა ასევე რეგიონული ენის სტატუსის მინიჭების საკითხი. რა გამოდის, რომ რისი გაკეთებაც „ნაცებმა" ვერ მოასწრეს, „ქართულმა ოცნებამ" უნდა დაასრულოს?**

— დიახ, ახლა ამათ აიძულებენ, დაასრულონ. ჯერ ერთი დემოკრატიაზე ფუჭი სიტყვა არ მეგულება. აშშ, რომელიც დემოკრატიის სიმბოლოდაა აღიარებული, როდესაც სააკაშვილს დემოკრატიის შუქურად აცხადებდა, მან ჩვენზე კარგად იცის, რომ იგი ტირანი, სისხლის მსმელი იყო. ციხის კადრების შემდგომ კიდევ რომ იცავენ, ეს დემოკრატია კი არა თავსმოხვეული დემოსო — დემონების მმართველობაა. რომელი რეგიონული სტატუსის აღდგენაზეა საუბარი?! ჩვენ უნდა ვეცადოთ, იმ სომხებმა ქართული ისწავლონ, თუ უნდათ, რომ ქართულ ცხოვრებაში, პროცესში ჩაერთონ და არა სომხური სკოლები, უნივერსიტეტები გავუხსნათ და სომხური დროშა ვაფრიალებინოთ, რასაც ისედაც აკეთებენ.

**უსუფაშვილმა თქვა — ჩემს შვილს ისე გავზრდი, მისი სამშობლო იქ იქნება, სადაც კარგად იცხოვრებსო. ეს რას ნიშნავს? — თავის საკუთარ შვილს რომ ასე ზრდის, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს და სამშობლოს დაიცავს? მათ ეზიზღებათ სამშობლო.**

თინა ხიდაშელი წერს — რა დღეში ვართ, აზერბაიჯანელი თავის სამშობლოში განათლებას ვერ იღებს და ამიტომ სასწავლებლად აზერბაიჯანში მიდისო. ხიდაშელმა მშვენივრად იცის,



რომ ადამიანს ერთი სამშობლო აქვს და აზერბაიჯანელისთვის საქართველო არასოდეს იქნება სამშობლო. მისი სამშობლო აზერბაიჯანია, ხოლო საქართველო საცხოვრისია. საცხოვრისი სხვა რამეა, იგი შემოკედლებულია ჩვენთან და პატივი უნდა მივაგოთ, როგორც უცხო ტომელს და არასოდეს უნდა ვთქვათ, რომ ეს მისი სამშობლოა. აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეა, მაგრამ ეს მისი სამშობლო არასოდეს იქნება. ესენი მოქალაქეობას და ეროვნებას შეგნებულად უგულვებელყოფენ. საქართველოს მოქალაქეები არ აკლია, ჩვენ ერის შვილები უნდა ვიყოთ. სწორედ ეს ერის შვილები უნდა იყვნენ პარლამენტში. კანონი, ქართველმა კაცმა ქართული გულით უნდა მიიღოს, ეს საქართველოს უნდა წაადგეს და არა მსოფლიო ინტერესების კარუსელზე ვიტრიალოთ. ესაა მთელი უბედურება. კი, ბიძინა ივანიშვილი ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს დასავლეთს და ამერიკას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ქართველმა ხალხმა მათ დაკრულ დუდუკზე ვიცეკვოთ. სომხები და აზერბაიჯანელები არ ცეკვავენ მაგათ დაკრულზე. თუ ამას ვაგრძნობინებთ, ჩვენს წინაშე ქედს ყველა მოიხრის.

ასე საქმე არ გამოვა, ან ასე, ან — ისე. თუ მთლიანად იმ ლიანდაგებზე უნდა დადგნენ, რასაც სააკაშვილი აკეთებდა, მაშინ ჩათვალეთ, რომ ახალი ხელისუფლება გაემიჯნება ქართველ ხალხს. ქართველი ხალხის ნება-სურვილი უპირველესი გამოხატულება უნდა იყოს. წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ ქართველი ხალხის გარეშე არაფერს გააკეთებდნენ. ჯერ გვკითხონ — ქართველ ხალხს გვინდა თუ არა მეჩეთის აშენება, რაბათის კომპლექსის მოფერება და ა.შ.

**— ასევე გვინდა თუ არა ქვეყნის ბატონ-პატრონად „რესპუბლიკელები"?**

— დიახ, პოლიტიკა დღეს „რესპუბლიკელებს" მიჰყავთ. ქვეყანას ეგენი მართავენ იმიტომ, რომ აშშ-ში კუდები აქვთ გამობმული. გვითხრეს, „ლაზარემ" ბოდიში მოიხადოს, თინა ხიდაშელი იეღოველების ორგანიზატორად რომ გამოაცხადაო. 2003 წელში ჰილარი კლინტონმა მოგვწერა, ჩუღურეთის სასამართლომ არასამართლიანი განაჩენი გამოიტანა იეღოველების წინააღმდეგო. ვინ იჩივლა ამ საკითხზე, თუ იცით? ჰილარი კლინტონმა რა იცის, ზოგმა ქართველმა კაცმა არ იცის, ჩუღურეთი სად არის — ხიდაშელი მაშინ იურისტებში იყო და მან დაწერა სტატია. ესენი საქართველოს კი არა, თავის თავზე ფიქრობენ. მე ჯერ კიდევ გაჩერებული ვარ. ივანიშვილის ხათრით კიდევ ბოლომდე არ ვამბობ ყველაფერს იმიტომ, რომ ამათზე შეტევა ნიშნავს „ნაციონალების" დაცვას. მაგრამ

**კატეგორიულად ვსვამ კითხვას — რით განსხვავდება „რესპუბლიკური პარტია" და „ნაციონალები" ერთმანეთისგან? — საქართველო ორივეს ეჯავრება. სხვათა შორის, ერთმანეთში მშვენივრად ჭუკჭუკებენ. მათ აწყობთ კოაბიტაცია, ერთმანეთთან ჭლურტული, ერთ სულ, ერთ ხორც არიან.**

არ გამოიყვანონ მოთმინებიდან ქართველი ხალხი! ხომ იცით, ცხვარი ცხვარია, თუ გაცხარდა... თუ ქართველმა ხალხმა ხელი აიღო, შევარდებიან პარლამენტში და ქვას ქვაზე აღარ დატოვებენ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



# კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა ახალი ხელისუფლების შეცდომა იყო — ამით მათ „ნაც.მოძრაობის“ პოლიტიკური რეაბილიტაცია დაიწყეს

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №011

გვესაუბრება ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე:**

**— ეს 9 წლიანი რეჟიმი რომ არ გვინდოდა, იმიტომაც მოახდინა ერმა 1 ოქტომბერს უსისხლო რევოლუცია, თუმცა კვლავ ერთ ადგილს ვტკეპნით. ისევ ახალი რევოლუციისთვის უნდა ვემზადოთ?**

— ძველი ხელისუფლება ქართველი ხალხის მიერ უკუგდებულია. ეს ბატონი ბიძინას უდიდესი მიღწევაა, რომელმაც ადამიანების ნდობა პიროვნულად მოიპოვა. თუმცა არ მესმის, როცა გვეუბნებიან სამი წლის მერე ყველაფერი კარგად იქნებაო. 2 წელი მსგავსი არაფერი იქნება და მესამე წელს უცებ გაბრწყინდება იბერია? — არ იქნება ასე, რეალურად ასე არ ხდება. თუ ადამიანები მატერიალურად, დასაქმების თვალსაზრისით ასეთ რეჟიმში დარჩნენ, ცხადია, ადრე თუ გვიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. 22 წელია ვხედავ პოლიტიკას, რომელიც „პრიდურკობის“ დონეზე ტარდება, ეს სიტუაცია უნდა შეიცვალოს.

**— როგორ უნდა მოხდეს ეს, თუნდაც სამართლიანობის მიღწევა. სააკაშვილის მთავრობამ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე შევარდნაძის მაღალჩინოსნებს ციხეებში უკრა თავი და ბლომად თანხებიც დააყრევინა. ახალი მთავრობა კი დამნაშავეების დაჭერის ნაცვლად კოაბიტაციას გაიძახის. ამ რეჟიმთან თანაცხოვრებით მოხდება ცვლილებები თუ რის იმედზე ვართ?**

— ჩვენ სამართლის ფარგლებში უნდა ვიმოქმედოთ. დამნაშავეს, განურჩევლად იმისა, თუ რა თანამდებობა ეკავა, ან უნდა მოეხსნას ბრალდებები ან ბრალი წაეყენოს. ბოლო კონსტიტუციური ცვლილებები უმრავლესობის დიდი შეცდომა იყო — ფაქტობრივად, მათ „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეაბილიტაციის პროცესი დაიწყეს. აქ უკვე თავად უშვებ მთავარ შეცდომას, როცა სამართლის ნაცვლად თვითონ წყვეტ, რომ დამნაშავეს დანაშაული აპატიო. მაშინ გამოდის, რომ როცა ახალი ხელისუფლება მოვა, იმედი გაქვს, ვიღაცა შენც რაღაცას გაპატიებს, იმას კიდევ ვიღაც აპატიებს და ა.შ. ეს ხომ სახელმწიფო არ არის?! დღეს საქართველო ყველა პარამეტრით არშემდგარი სახელმწიფოა. ახალმა მთავრობამ ეს სახელმწიფო ადამიანებისთვის საცხოვრებლად, საარსებოდ შესაძლებელი უნდა გახადოს. მივდივართ მთავარ პრობლემამდე — ძალიან სისტემურ კრიზისში მყოფ ქვეყანაში რამდენად სწორადაა სტრატეგიულ თანამდებობებზე ადამიანები შერჩეული. მე გეტყვით, რომ კადრები არასწორადაა შერჩეული. აქ პოლიტიკური სიმპატიები, მოწონება — არ მოწონება, არ მუშაობს. სისტემურ კრიზისს ერთადერთი ტრაექტორია აქვს — ქვეყანა აქედან უნდა გამოიყვანო ანდა გარკვეულ დრომდე ილუზიაში ვიქნებით, თითქოს ქვეყანა უკეთესობისკენ მიდის. სისტემური კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას პოლიტიკური ნება, ერთობა სჭირდება.

**— ქვეყნის ნგრევას, რამაც ამ დრომდე მოგვიყვანა, უფრო ღრმა ფესვები აქვს. ზვიადის პერიოდში, როცა ქვეყანას გაუჭირდა სავალუტო ფონდი 4 მილიარდიან სესხს გვაძლევდა, თუმცა გამსახურდიამ უარი განაცხადა. მერე შევარდნაძემ საქართველოში სავალუტო ფონდი არალეგალურად შემოაპარა, ეს გაგრძელდა სააკაშვილის დროსაც. ქვეყანას დღემდე ეს კლანი ღიად ძარცვავს, მთავარი ბანდის მეთაური კი ხელშეუხებელია.**

— სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკს ქვეყანა, ნამდვილად არ დაუქცევია. საქართველო უმძიმეს მდგომარეობამდე პოლიტიკურმა უპასუხისმგებლობამ მიიყვანა და იმ ადამიანების არასაკმარისმა კვალიფიკაციამ, რომლებიც უაღრესად კრიტიკულ სიტუციაში, როდესაც ფორმაციები ინგრეოდა და სახელმწიფო ჩაგვივარდა, ტრანსფორმაციისთვის, პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის განხორციელებისთვის მზად არ აღმოჩნდნენ. ამის ნაცვლად, თითქმის 22 წელია, ერთმანეთის განადგურებასა და ქვეყნის დაქცევაში ვართ ჩართული. საქმე ისაა, რომ ქვეყანა განვითარებული მაშინაა, ნდობა მაშინ გაქვს, როცა იქ სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი არ მოქმედებს. გეტყვით ასეთ რამეს — საქართველოსთვის შესანიშნავი იქნება თუ მსოფლიო ბანკი აქედან წავა. სავალუტო ფონდი, ფაქტობრივად წავიდა, მისი მისია ამოწურულია. ქვეყანას ეს ორგანიზაციები არანაირად არ სჭირდება. მას სჭირდება კვალიფიცირებული მთავრობა, საკუთარი განვითარების, სტრატეგიის ცოდნა და შემუშავება. როგორ შეიძლება შენი სახელმწიფოს, ხალხის, კულტურის, ენის მომავალი არ გესმოდეს და ამაში უცხოელის დახმარება გვჭირდებოდეს? ამას უპასუხისმგებლობა ჰქვია და დამნაშავე ჩვენი ხალხიცაა. რა გვინდა? — ჩვენმა მინისტრებმა მსოფლიო ბანკი იძახონ, ხოტბა ასხან, მათზე დამოკიდებულნი იყვნენ, ოღონდ მსოფლიო ბანკისგან ფულები, გრანტი მიიღონ და ამისათვის მზად არიან ქვეყნისთვის შეგნებულად ცუდი გადაწყვეტილებები მიიღონ, რისი ფაქტებიც ამ მთავრობაში უკვე არის.

**— ახლახან ახსენეთ, განვითარებულ ქვეყანას სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი არ სჭირდებაო. ეს ორგანიზაციები განვითარებად ქვეყნებს ეხმარებიან, მაგრამ ჩვენ ასეთი არ აღმოვჩნდით, გვქონდა უნივერსიტეტები, მეცნიერება, რაც შემდეგ ყველაფერი გაჩანაგდა. ეს ხომ არ მოხდა იმიტომ, რომ განვითარებადი ქვეყნის ჩარჩოში მოვექციეთ და დახმარების მისაღებად სტატუსი შეგვენარჩუნებინა?**

## დღეს საქართველო ყველა პარამეტრით არშემდგარი სახელმწიფოა




— აბსოლუტურად სწორად სვამთ საკითხს, მაგრამ როცა სავალუტო ფონდი პირველად შემოვიდა ვალავით და ა.შ. მათ ხელისუფლებაში უპასუხისმგებლო ადამიანები დაინახეს, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ინტერესების ლობირებას ცდილობდნენ, — საკუთარი ბიზნესებისთვის გადასახადებში შეღავათები მიეღოთ და ა.შ. რაკი აქ სახელმწიფოს მოწყობაზე და ეფექტურ მართვაზე არავინ ფიქრობდა, სავლუტო ფონდმა გააკეთა ის, რაც საჭიროდ ჩათვალა — ადამიანებს საკუთარი შეხედულებები მოახვია თავს. ახლა დროა ესენი აქედან წავიდნენ, საქართველოში მსოფლიო ბანკს არაფერი ესაქმება, მის აქ საქმიანობას აბსოლუტურად არანაირი ეფექტი არ აქვს. ისინი ხომ მხოლოდ შეზღუდულ, ჩაკეტილ წრეში მოქმედებენ და არა გახსნილად, პროგრესულ წრეებთან. ისინი თავიანთი შეხედულებების ფარგლებში მათზე დამორჩილებულ მინისტრებს და სამსახურებს იმას აკეთებინებენ, რაც სწორად მიაჩნიათ. ამიტომაცაა ნულოვანი ეფექტი.

**— ბოლოს იქნებ გვითხრათ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ, რომ ამ ჩიხიდან გამოვიდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მიწის საკითხი. დღეს ჩვენი მიწა გლეხების კი არა — უცხოელების ხელშია, ქართველები გარბიან, ჩვენს მიწას კი ზანგები ეპატრონებიან, საწარმოები კი სრულიად გაჩანაგებულია. თუმცა, ამ საკითხებზე არავინ მსჯელობს.**

— ვფიქრობ, ეს მიმართულება რაც ახლა თქვენ ახსენეთ, ძალიან საშიშია, განსაკუთრებით მიწის ასე განუკითხავად გაყიდვა. როდესაც სპეციალური ტექნოლოგიებით საქართველოს მოქალაქე გააღარიბეს, ამ დროს კი გვეუბნებიან ეს ლიბერალური საბაზრო ეკონომიკააო, სინამდვილეში ასე არაა. ეს არის საქართველოს მკვიდრი მოსახლეობისთვის ფუნდამენტური საკუთრების წართმევა. ამიტომ მიწის ასეთი გაყიდვა შეგნებულად განხორციელებული დანაშაულია. ახალ მთავრობას ვთხოვ, დროებით შეაჩეროს ეს ყველაფერი, სანამ სტრატეგია ჩამოყალიბდება. უამრავი ეგვიპტელი, არაბი, ირანელი ჩვენს მიწას თავიანთ საკუთრებაში აფორმებს. ეს დანაშაულია, მაგრამ ამას ქართველი ხალხი მშვიდად უყურებს. **21-Ე საუკუნეში მუდმივი კუთვნილობები არ არსებობს. რაკი ჩვენ ასეთი ქვეყანა გვაქვს, თუ არ მოვუვლით წაგვართმევენ. არ არსებობს გარანტად ის, რომ ეთნოგენეზის და სპეციფიური ისტორიული პროცესების გამო აქ დავმკვიდრდით. მერე რა რომ დავმკვიდრდით? — ვერ უვლი ამ ქვეყანას და ნელ-ნელა აქედან გაგიშვებენ ან უმცირესობაში დაგტოვებენ** და მერე ვიძახოთ ისტორიულად აქ დავმკვიდრდითო. ვინც გინდა ის იყავი — ვერ უვლი ქვეყანას? — ე.ი. წაგართმევენ. ასეთია კონკურენციით გაჟღენთილი დღევანდელი სამყარო და ამას წინ ვერაფერი დაუდგება თუ გონს დროზე არ მოვალთ. საწარმოები რომ არ გახსნილა, შემთხვევითი არც ესაა. რაკი საწარმოები არ იხსნება ე.ი. იმპორტიორებს არ უნდათ დიდი ფული დაკარგონ. აქ არავინ დაუშვებს საწარმოების გახსნას — სწორი მიმართულებით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ასევე, არავინ დაუშვებს კერძო, თავისუფალი ადამიანის ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერას, სანამ ხელისუფლების პოლიტიკური ნება არ იქნება ის მონოპოლისტები დათრგუნოს, რომელთაც მთელი ქვეყანა იმპორტზე დაკიდეს და რომლებიც ახლა მაშანტაჟებენ, რომ შეიძლება ბიუჯეტი ჩავარდეს. დიახ, ბიუჯეტი უნდა ჩავარდეს, რათა სიტუაცია გასწორდეს. თუ ამ სიტუაციას სწორად არ გავითვალისწინებთ, მაშინ იმ სიყალბეს გავაგრძელებთ, რაც 9 წელი კეთდებოდა და ეს ადრე თუ გვიან გასკდება. ისეთი სიტუაცია გვაქვს ვერ ჩამოთვლი თანმიმდევრობას, თუ რა უნდა გაკეთდეს პირველ რიგში. ყველაფერი პარალელურადაა გასაკეთებელი. მონოპოლიები ცივილიზებულად, კონკურენციამ, სწორმა სახელმწიფო პოლიტიკამ უნდა დაანგრიოს. ამ მახინჯი საბანკო სისტემის პირობებში ვერანაირი ახალი ჯგუფი ვერ გაჩნდება. მთავრობას შანტაჟის რატომ უნდა ეშინოდეს, ისე დაინგრევა ეს სისტემა, როგორც 2 გავამრავლოთ 2 ოთხია, ოღონდ ახლის აშენება უნდა გინდოდეს.

**— სად არის თქვენი კვლევები, რა დასკვნები გქონდათ გაკეთებული და რატომ ვერ იხილა ამან დღის სინათლე? თქვენ საუბრობდით, რომ ეს პროგრამა თაროზე შემოდეს.**

— ეს ყველაფერი კიდევ იხვეწება. იყო პოლიტიკური მოსაზრებები და მცდელობები დაეკნინებინათ საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართულ ოცნებაში“ თემატური ჯგუფების საქმიანობა. მოხდა გაკეთებული საქმის ბლოკირება, არადა თანამდებობებს არავინ ითხოვდა, შეიძლება ვინმეს ჩემი ნათქვამი ეწყინოს, მაგრამ ხაზგასმით ვამბობთ, ალტერნატივები არ არსებობს. ყველაფერს საჯაროდ ვიხილავდით, რამაც კოალიციის არაერთი პოლიტიკური ლიდერი დააფრთხო, რადგან მიხვდნენ, რომ მათი ინტერესები საღ, კონკურენტულ გარემოში დაცული ვერ იქნებოდა. დღეს ისინი კარგად გრძნობენ თავს ისეთ თანამდებობებზე, რომელიც მათ, უბრალოდ არ ეკუთვნით, მაგრამ ასეთია რეალობა. ჩვენ ამ კონცეფციით ამ სისტემას ვანგრევდით. ვიღაცას შეიძლება ურჩევნია რომ ეს სისტემა შენარჩუნდეს ყალბი ფასეულობების დეკლარირების ხარჯზე. მთავარია პროფესიულ წრეებში სწორად იქნეს განსაზღვრული ქვეყნის განვითარების სტრატეგია, მაგრამ კულუარებში გატანა, ყალბი ინსტიტუტების შექმნა იმის გამო, რომ უფროსთან ძალიან ახლოს ხარ და ამის ხარჯზე მინისტრების დანიშვნა თანამდებობაზე, გამოსავალი არაა.

**— ბატონი ბიძინა იცნობს თქვენს პროექტს?**

— ცხადია, იგი განხილვებს ესწრებოდა. მასთან ურთიერთობის დიდი საშუალება თემატურ ჯგუფს და პირადად მეც, არ გვქონია. ესეც გარემოებების ბრალია. მისი გარემოცვა ცდილობდა, ეს შეხვედრები არ შემდგარიყო. შემდგომ ეს განხილვები დახურეს, საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ კი კარები დაუხურეს, ხალხი გარეთ გაყარეს, რაც არანაირ ნორმაში არ წერია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

სააკაშვილი და მისი რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

# სახალხო მოძრაობა სამართლიანობისათვის!



სამართლიანობა უნდა აღდგეს – სააკაშვილი და მისი რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2013 წლის 20 იანვარს დაასრულა საპრეზიდენტო ვადა, ის ახლა მოქალაქე მიხეილ სააკაშვილია, ისევე, როგორც საფრანგეთის რიგითი მოქალაქეა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი და სააკაშვილის ყოფილი მეგობარი ნიკოლა სარკოზი, რომელიც ეჭვმიტანილია და ჟამიდან ჟამამდე სასამართლოში დაიარება ე.წ „ბეტანკურის საქმეზე“ და სრულებით არ უკვირს არც „დასავლეთს“ და არც „აღმოსავლეთს“. სხვათაშორის, არც აშშ-ის პრეზიდენტის, ბილ კლინტონის სასამართლოს წინაშე წარდგენა გაკვირვებია „დასავლეთსა“ და „აღმოსავლეთს“ ე.წ მონიკა ლევინსკის საქმეზე; არც ბრაზილიის პრეზიდენტის სასამართლოს წინაშე (2005 წელს კონგრესის წევრების ხმების მოსყიდვა ედება ბრალად)... ამგვარ საქმეებზე, მოქალაქე სააკაშვილს იმდენჯერ მოუწევდა დაკითხვაზე მისვლა, პირადი შეზლონგით უნდა ევლო, მაგრამ ამგვარ „მსუბუქ“ დანაშაულთა კრებულზე ხომ არ არის საუბარი, ადამიანების სიცოხლეზეა, ომის პროვოცირებაზეა, რასაც მსხვერპლი და ტერიტორიების დაკარგვა მოჰყვა, ბოლო-ბოლო, პრემიერ ზურაბ ჟვანიას ბურუსით მოცულ გარდაცვალებაშია ეჭვმიტანილი...

**ვიღაც ქალაქის მერია, ვიღაც პარლამენტის იმუნიტეტსაა ამოფარებული, ვიღაც ვიღაცის ნათლიაა, ვიღაც ვიღაცის მევალეა, ვიღაც ვიღაცის დაშანტაჟებულია, ვიღაც ინტელექტუალია, ვიღაც სულაც ვიღაცის ვიღაცაა — კი, მაგრამ ხალხი, რომელმაც მანდატი მისცა ახალ ხელისუფლებას, ვისი ვინაა?**

ავადმყოფი ფსიქიკის ადოლფ ჰიტლერის ნაცისტური გერმანია, რომელმაც ლამის მთელი ევროპა გადაყლაპა და მსოფლიო შეაზანზარა, „ნაცისტურ კასტაში“ ოთხიათასამდე ხელმძღვანელს ითვლიდა, რომელთაგან 1050 მეცნიერებათა დოქტორი იყო, 225 საპატიო დოქტორი, 21 ორგზის დოქტორი, 350 პროფესორი, 116 საიდუმლო მრჩეველი, 150 დიპლომიანი სპეციალისტი, 2 ნობელის პრემიის ლაურეატი. მათგან 670 დიდგვაროვანი არისტოკრატი იყო, 850 წიგნების ავტორები, დანარჩენები სხვადასხვა კუთხით მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ავტორიტეტები;

მათ გვერდზე სისტემის შემოქმედნი იყვნენ აკადემიკოსებიც, პროფესორებიც, ფილოსოფოსებიც, ბანკირებიც, მკვლელი ექიმებიც, დიპლომატებიც და თავისთავად მაღალი თუ დაბალი რანგის სამხედრო პირებიც, მაგრამ „ნიურნბერგის პროცესის“ ჩატარებისთვის, მათ ჩინ-მედლებს ხელი არ შეუშლია.

მკვლელებთან კოჰაბიტაციაში არ შესულა გერმანელი ხალხი!

**არა კოაბიტაციას! მკვლელებთან კოჰაბიტაცია მკვლელებისა და მკვლელობის გამართლებაა!** – ასეთია საქართველოს იმ მოქალაქეების განწყობა, რომლებმაც 1 ოქტომბერს ხმა მისცეს „ქართულ ოცნებას“...

**ზაურ მაკარაძე, ყოფილი პოლიტპატიმარი:** – „2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის მიერ ატაცებული არჩევანი რომ არ გაუფასურდეს, სააკაშვილის რეჟიმის ცალკეული მაღალჩინოსნის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენების გარდა აუცილებელია მოხდეს საკუთრივ რეჟიმის პოლიტიკური გასამართლება. საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ მის ძალისხმევას ფუჭად არ ჩაუვლია.

რომის სტატუსით განსაზღვრული, ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის 11 შესაძლო ფორმიდან 8 აქტიურად იყო გამოყენებული ყოფილი ხელისუფლების მიერ. ეს იყო: მკვლელობა, დამონება, საერთაშორისო ნორმების დარღვევით დაპატიმრება ან თავისუფლების უკანონო და სასტიკი შეზღუდვების სხვადასხვა ფორმის გამოყენება, წამება, გაუპატიურება, სექსუალური ძალადობა, პოლიტიკური ოპონენტების დევნა, ადამიანების იძულებით გაუჩინარება, სხვადასხვა არაადამიანური ქმედებები, მათ შორის სხეულის ან ფსიქიკის სერიოზული დაზიანება.

მოძრაობაში გაწევრიანების პროცესი, ჩვენი თანამემამულეები ერთხელ და სამუდამოდ დააფიქსირებენ თავიანთ აზრს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო ძალადობრივი ორგანიზაცია და როგორც პოლიტიკურ სპექტრს, ამ ქვეყანაში არ დაედგომება!“

**ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:** – „სპეციალური საპარლამენტო კომისიის ლობირება უნდა ითავოს ხალხმა.

ასევე, ჩვენ გვექნება საკანონმდებლო ინიციატივები, რომელიც იქნება საზოგადოების ინტერესებში და საზოგადოების მოთხოვნით პარლამენტი იძულებული უნდა გახდეს, რომ ამ საკითხებს მიაქციოს ყურადღება – ეს იქნება ძირითადი მომენტი.

რატომ გახდა აქტუალური, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა გასამართლდეს – დიდი იყო საზოგადოების მოლოდინი, რომ სამართლიანობა უნდა აღდგენილიყო, რასაც ხმა მისცა ხალხმა 1 ოქტომბერს. უნდა ვაღიაროთ, რომ საზოგადოებაში გაჩნდა სერიოზული იმედგაცრუება ამ პრობლემასთან დაკავშირებით. ვამბობთ, რომ სამართლიანობა უნდა აღსგეს, მაგრამ აბსოლუტურად საწინააღმდეგოა ის სასამართლო გადაწყვეტილებები, რასაც საზოგადოება ხედავს. ამიტომ,



**სახალხო მოძრაობის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ტერორის მსხვერპლთა საქმეების ფართო ფენებისთვის, მათ შორის საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობა.**

სახელმწიფო ტერორის პროგრამის შემუშავება, პროგრამის მთავარი მიზანი – სახელმწიფო ტერორით დაზარალებულთა სრული რეაბილიტაცია, სამართლებრივი, პოლიტიკური, ქონებრივი, ფსიქოლოგიური დახმარება. ასევე, სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულის პოლიტიკური შეფასების მიზნით სპეციალური საპარლამენტო კომისიის შექმნა.

საინიციატივო ჯგუფს დაწყებული აქვს აქტიური საქმიანობა საქართველოს ყველა რეგიონში, დაწყებულია

**საზოგადოებამ უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ის პირველი ნაბიჯი რომელიც გადაიდგა 1 ოქტომბერს გაგრძელდეს და დასრულდეს იმით, რომ ამ ქვეყანაში მართლაც აღსდგეს სამართლიანობა.**

მე იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება გახდება ვალდებული და იძულებული აასრულოს საკუთარი დანაპირები, ხალხს დაუბრუნოს წართმეული ღირსება და აუნაზღაუროს ყოველგვარი ზიანი რაც 9 წლის განმავლობაში მიაყენა ყოფილმა ხელისუფლებამ.

თქვენ იცით, რომ ამ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების



# „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს

# არა კოაბიტაციას! მკვლელებთან კოჰაბიტაცია მკვლელებისა და მკვლელობის გამართლებაა!

# სააკაშვილი და მისი რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

ქვეშ აღმოჩნდა სასჯელაღსრულების სისტემა. არის ინფორმაციები, რომ დღეს იქ პატიმრები შიმშილობენ; რომ გაუგებარი ქმედებები ხდება პენიტენციურ სისტემაში. იკვეთება, რომ ამის მთავარი მიზეზი არის პა-



ტიმრების დაუმორჩილებლობა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ სერიოზულად დგას საკადრო პოლიტიკის საკითხი, რომელიც არ მიესადაგება იმ რეალობას რომელშიც ვართ. ერთის მხრივ შეიცვალა ხელისულება, ხალხმა ხმა მისცა ცვლილებებს, მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ თანამდებობებზე კვლავ ძველი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომლებთაც ამ 9 წლის მანძილზე ჩადენილი ჰქონდათ არაერთი კრიმინალური დანაშაული, ან იყო პოლიტიკური პასუხისმგებელი იმ დანაშაულებებზე რომელიც ქვეყანაში ხდებოდა. კრიმინალი, რომელიც მათ ჩაიდინეს, თავის დროზე არ დასჯილა და დღესაც დაუსჯელები არიან. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც მცირედი გადაცდომისთვისაც კი, ხშირ შემთხვერვაში ძალიან სერიოზულად ისჯებიან მოქალაქეები – ორმაგი სტანდარტები სახეზეა. რაც მთავარია, 1 ოქტომბერს ხალხმა ხმა მისცა სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ამას პირი არ უჩანს.

**ჩვენი მიზანია, პარლამენტმა პოლიტიკური, იურიდიული, მორალური და საერთოდ ყველანაირი შეფასება მისცეს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდს. კოჰაბიტაცია მათი პოზიციაა, ჩვენ კი ვაჩვენებთ საზოგადოების პოზიციას, მოთხოვნას დაურთავთ ხელმოწერებსაც – ხელისუფლება ვალდებულია შეასრულოს საზოგადოების დაკვეთა.**

პროცესი უნდა დაიწყოს, უნდა აღდგეს სამართლიანობა და გასამართლდეს რეჟიმი!

კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, კარგად გადახედონ საკადრო პოლიტიკას, რადგან არის საშიშროება იმისა, რომ თუ ეს პროცესი ასე გაგრძელდა და არ მოხდა ხელისუფლების ბოლომდე გადაბარება, შეიძლება, სხვაგვარი პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ როგორც ჩვენ, ისე საქართველოს ახალი ხელისუფლება.“

**ტრისტან წითელაშვილი, ყოფილი პოლიტპატიმარი:** – „ყველას კარგად მოგვეხსენება სააკაშვილის მიერ შექმნილი რეჟიმის მოქმედება და ის, თუ როგორ ინტენსიურად ახორციელებდა ქართველი ხალხის წინააღმდეგ გეგმაზომიერ ქმედებებს, რომელმაც ლამის დაღუპვამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა. სააკაშვილმა 2004 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ქვეყნის ნგრევა. პირველი დარტყმები დაიწყო ეკლესიებზე და მართლმადიდებლობაზე, რასაც მოაყოლა მასიური რეპრესიები, რისი მსხვერპლნიც აღმოვჩნდით ყველანი.

**ჩვენ, ყოფილმა პოლიტპატიმრებმა დავიწყეთ ორგანიზებული მოქმედება, რათა საქართველოში არც ერთი ხელისუფლების დროს აღარ იყოს რეპრესიები და უსამართლობა. ჩვენ უნდა დავუბრუნოთ ხალხს სამართლიანობა და ვაგრძნობინოთ, რომ დღეს ისინი აკონტროლებენ ხელისუფლებას და არა პირიქით.**

ჩვენ მივმართეთ პროკურატურასა თუ სასამართლო უწყობას, რომ გადაისინჯოს შეთითხნილი საქმეები, მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ ძალოვან უწყებებში, ყველგან, კვლავ ის ადამიანები არიან იმავე თანამდებობებზე, რომლებმაც შეგვიკერეს საქმეები და გაგვიშვეს ციხეში. არავინ თქვას, რომ სააკააშვილმა არ იცოდა რა ხდებოდა ციხეებში! არაადამიანური მოპყრობის გარდა იმასაც გვეუბნებოდნენ, რომ მუდმივად იქნებოდნენ „ისინი“ და „ჩვენ“ დაგვალპობდნენ ციხეში, ვერასდროს დავტოვებდით იქაურობას.

**მე მინდა მოვუწოდო ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ 9 წლის მანძილზე იგრძნო სააკაშვილის ხელი, გაანადგურეს ფიზიკურად, მორალურად, დაუნგრიეს ოჯახები, დაუხოცეს შვილები და თავს დაატეხეს ყოველგვარი უბედურება, ერთად დავდგეთ სააკაშვილისა და მისი რეჟიმის გასასამართლებლად.**

„ნაციონალური მოძრაობა“ როგორც პოლიტიკური ორგანო, უნდა ჩამოცილდეს პოლიტიკას და აგოს პასუხი საკუთარ ქმედებებზე საქართველოს და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. საქართველო უნდა აშენოს და მართოს ქართველმა ხალხმა და არა რომელიღაც ქვეყნის სპეცსამსახურებმა, სააკაშვილმა და მისმა ხროვამ!

უპირველესად უნდა გასამართლდეს სადისტური რეჟიმის შემოქმედი, ბანდის ხელმძღვანელი მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, მურთაზ ზოდელავა, კუბლაშვილები, კეზერაშვილი, გია ბარამიძე, მეგის ქარდავა, ახალაიები, ხათუნა კალმახელიძე, დიმიტრი შაშკინი, ზონდერების „დამსაქმებელი“ გიგი უგულავა, ერეკლე კოდუა, ლევან ტაბიძე, შალვა ჟღენტი, სოსო თოფურიძე – ყველას რა ჩამოთვლის, დიდი სიაა ჩამოსაწერი... დავით საყვარელიძე – მის პერიოდში მიმდინარეობდა



პოლიტიკური რეპრესიები და მაგის ხელში გაიარა ამ საქმეებმა.

წინააღმდეგობის გამწევი დიდი ძალა რომ არ გადაღობოდათ ბოროტების გზაზე, უდანაშაულო სამხედრო პირები, ოფიცრები, შტაბის უფროსები, ბატალიონების მეთაურები, ასმეთაურები, თადარიგის ოფიცრები, მფრინავები, (მიხეილ ცილიკიშვილი, ბეჟან დავითაძე, მამუკა შენგელია, ჯაჭვაზე ზვიადი, ლევან ამირიძე, ირაკლი თოფურიძე, ბიბილაშვილი ნიკოლოზი, ზურა მიქაძე, ზაზა მურჯიკნელი, ვანო საბაშვილი, ვაჟა და იმედა საგინაშვილები, კობა ოთანაძე, პაატა ხოხაშვილი, ზურა ბზიშვილი, კახა დვალი, ტარიელ აბაშიძე, ვიაჩესლავ პლუჟნიკოვი, გოჩა დიასამიძე,ვაჟა ხუცურაული, ჯიმშერ ჩიხლაძე, ალექსანდრე ჭუმბურიძე – ყველა არ მახსენდება უცბად, ზოგი ისევ აბსურდული ბრალდებითაა ციხეში) ქვეყნის პროფესიონალი სამხედრო ძალა სხვადასხვა ბრალდებებით აგვიყვანეს და ზოგი გამოგვამწყვდიეს ციხეებში, ზოგი ქუჩა-ქუჩა დახოცეს...

**პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, რომელმაც მიზნად დაისახა ქართული ერის გადაშენება-გადაგვარება, უნდა აიკრძალოს და გამოცხადდეს საქართველოს მტრად!“**

**მიხეილ ცილიკიშვილი, ყოფილი პოლიტპატიმარი:** – „სააკაშვილი არის „ნაცმოძრაობის“ და იმ რეჟიმის მამა, რის შედეგადაც მივიღეთ ათასობით უკანონო პატიმარი, დანგრეული ოჯახები, ათასობით ემიგრირებული ადამიანი, ქუჩაში დახვრეტილები და ციხეში გარდაცვლილები.

ეს რეჟიმი უნდა გასამართლდეს!

სააკაშვილისა და მისი ხროვის ნამოქმედარს უნდა დაერქვას თავისი სახელი. ეს უნდა გააკეთოს ამ ახალმა მთავრობამ, რომელსაც ჩვენ ციხიდან მივეცით ხმა, რომ ბიძინა ივანიშვილი და მისი მხარდამჭერები მოსულიყვნენ მთავრობაში. ახლა, უნდა მოგვხედოს ამ მთავრობამ და დაგვიდგეს გვერდში იმით, რომ გასამართლდეს რეჟიმი, თორემ მოგვიწევს უფრო მკაცრი ზომების მიღება...

არავითარი კოჰაბიტაცია!

არ შეიძლება, რომ მკვლელი ჯალათი და რეპრესირებული ერთად დადიოდნენ ერთ ქალაქში – ეს ვერ მოხდება...

რეჟიმის გასამართლება აუცილებლად უნდა მოხდეს, ეს არის ჩვენი მოთხოვნა.

**თამარ მჟავია**

## ჩვენი მიზანია, პარლამენტმა პოლიტიკური და იურიდიული შეფასება მისცეს „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ცხრაწლიან პერიოდს

# ქართული პოლიცია ახალი რაკურსით

## ნაციონალების პროგნოზი არ გამართლდა — დანაშაულმა კი არ იმატა, იკლო, რაც უდაოდ შსს-ს ახალი ხელმძღვანელობის დამსახურებაა

ეს ცარიელი სიტყვები არ გეგონოთ, არ გამართლდა ნაცების პროგნოზი, ჩვენი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ქვეყანა „ჩამოიშლებაო". მით უმეტეს, საყოველთაო ამნისტიის გამოცხადების შემდეგ, კრიმინალური სიტუაცია თურმე ისე დაიძაბებოდა, რომ მათ მიერ ცხრა წლის მანძილზე „რუდუნებით" აშენებული ქვეყანა თავზე დაგვენგრეოდა. მათი ჭკუით, „არაპროფესიონალი" ირაკლი ღარიბაშვილი აბა, როგორ შეინარჩუნებდა „დიდი" ჩეკისტის, ვანო მერაბიშვილისა და მისი „ღირსეული" მემკვიდრის ბაჩანა ახალაიას მიერ დამყარებულ „წესრიგსა" და „სტაბილურობას". ვადაგასული სააკაშვილის თქმისა



არ იყოს, ნურას უკაცრავად, საბედნიეროდ (თუმცა ნაცებისთვის სამწუხაროდ), ამგვარი არაფერი მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალები ყველანაირად ეცადნენ ვითარების არევას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყბადაღებული ამნისტია ჯერ ისევ შორეულ პერსპექტივაში იყო, როცა სააკაშვილი უცებ ძალზე გულმოწყალე გახდა, არჩევნებამდეც და შემდგომაც, სულ მოკლე ხანში იმდენი პატიმარი შეიწყალა, მათ შორის მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის მსჯავრდებულნიც, რამდენიც მთელი ცხრა წლის მანძილზე არ შეუწყალებია. „ავ ენებს" თუ დავუჯერებთ შეწყალებულთა „საიმედო" კონტინგენტმა მითითებებიც მიიღო, თუ როგორ უნდა დაეძაბათ ხელოვნურად კრიმონოგენური სიტუაცია.

ამ საყოველთაო შეწყალების ფონზე კრიმინოგენური სიტუაცია შედარებით მართლაც გართულდა, რაზეც ნაციონალურმა ტელევიზიებმა წივილ-კივილი ატეხეს, დანაშაულობებმა მკვეთრად იმატა, ვიღუპებითო, მაგრამ იმის თქმა რატომღაც ავიწყდებოდათ, რა იყო ამის რეალური მიზეზი. ეს აჟიოტაჟი გულუბრყვილო მოსახლეობაზე იყო გათვლილი, რომელიც შეწყალებასა და ამნისტიას ერთმანეთისგან ვერ არჩევს. ისე, ისიც საკითხავია, მართლაც თუ იმატა კრიმინალმა. ყველას ხომ კარგად მოგვეხსენება, მით უმეტეს ჟურნალისტებს, როგორ მალავდა ნაცხელისუფლების შსს დანაშაულის რეალურ სტატისტიკას და როგორ „ხსნიდნენ" გახმაურებულ დანაშაულობებს. ამ საკითხზე **„საერთო გაზეთიც"** არაერთხელ წერდა. შსს-ს ახალმა ხელმძღვანელობამ კი ამ მავნე ტრადიციაზე ხელი აიღო, მომხდარი დანაშაულობები აღარ იმალება და ალბათ ესეც გახდა დანაშაულის „მატების" რეალური მიზეზი.

ირაკლი ღარიბაშვილის უწყების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა დანაშული „ცხელ კვალზე" გაიხსნა. მინისტრის განცხადებით, ვადაზე ადრე გამოშვებულ პირთაგან, მხოლოდ 150-მა ჩაიდინა განმეორებით დანაშაული და აქედან 70 სააკაშვილის მიერ შეწყალებული გახლდათ. რაც მთავარია, ეს 150 ადამიანი ახლა მართლაც ობიექტურად იქნება გასამართლებული და საზოგადოება უკვე აღარ იტყვის, რომ პოლიციამ მათ თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით „შეუკერა" საქმეები, რადგან დღევანდელი პოლიცია, მართლაც დიდი ნდობით სარგებლობს. ეტყობა ბოლოს თავადაც მიხვდნენ ნაციონალებისგან მითითება მიღებული შეწყალებულები, რომ მათი დანაშაულებრივი ქმედებები დაუსჯელი არ დარჩებოდა, შსს-ს ახალი ხელმძღვანელობა ასე ვაგლახად ხელწამოსაკრავი არ არის, როგორც სააკაშვილი და მისი გუნდი გვიხატავს, შესაბამისად, დანაშაულმაც მკვეთრად იკლო.

მედიასთან შეხვედრისას **ირაკლი ღარიბაშვილმა** ისიც განაცხადა, რომ მხოლოდ წვრილმანი ხულიგნობის ფაქტებმა იმატა და თანაც მხოლოდ გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში, თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოკლე ხანში მკვეთრად იმატა დანაშაულის გახნის ფაქტებმა, რაც მთავარია პოლიციას ყურადღების მიღმა არ რჩება ადრე მომხდარი დანაშაულობებიც და მათ გახსნაზეც აქტიურად მუშაობს.

რამდენიმე დღის წინ შსს-მ მიმდინარე წლის სამი თვის შედეგები განიხილა. ამ შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ნაციონალების" პროგნოზი არ გამართლდა და დანაშაულობებმა ზრდის მაგიერ, იკლო.

**ამჯერად იმერეთის რეგიონის პოლიციის შედეგებზე შევჩერდებით. ეს რეგიონი იმერეთის გარდა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთსაც მოიცავს და მასშტაბებისა და სირთულის მხრივ, პირველ ადგილს იკავებს. სამხარეო პოლიციას გამოცდილი პროფესიონალი ზურაბ გამეზარდაშვილი ხელმძღვანელობს. როგორც შევიტყვეთ ამ რეგიონში არცერთი მძიმე დანაშაული გაუხსნელი არ დარჩენილა და რაც ყველაზე მთავარია, დანაშაულმა იკლო.**

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 650 ერთეულით ნაკლები დანაშაულია მომხდარი. რაც შეეხება ამნისტირებულებს, მათ მიერ ძალზე მცირე რაოდენობით დანაშაულია მომხდარი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ რეგიონში არასდროს ყოფილა ასეთი ჯანსაღი ოპერატიული მდგომარეობა.

მოგეხსენებათ ქუთაისს ყოველთვის უწოდებდნენ ე.წ. შავების ქალაქს. ნაციონალებმა თავიდან იმაზეც ატეხეს „განგაში", ხელისუფლების ცვლილების შემდეგ „კანონიერმა" ქურდებმა დაბრუნება დაიწყეს საქართველოში, მათ შორის ქუთაისშიც, სადაც „ნოყიერი" ნიადაგი დახვდებათო. გვერწმუნეთ, მათი ეს განცხადებაც სრული აბსურდია. რაც შეეხება იმერეთის პოლიციის ახალ შეფს, **ზურაბ გამეზარდაშვილს,** ის შეიძლება ძალზე მკაცრია, მაგრამ რაც მთავარია, ძალზე სამართლიანიცაა. მან ცოტა ხანს იმუშავა ნაციონალების პოლიციაში, მაგრამ, როცა დაინახა რა უსამართლო ბრძანებების შესრულება მოუწია, საერთოდ წავიდა შს სისტემიდან. სამაგიეროდ „ვარდების რევოლუციამდე" ძალზე საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. იგი გენერალ თამაზ თამაზაშვილის მიერ გამოზრდილი კადრია. აი, როგორი პოლიციელი იყო გენერალი თამაზაშვილი ეს კახელებმა ყველაზე კარგად იციან. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად.

მაშინ, როცა გენერალი თამაზაშვილი დაჟანგული ავტომატის „უკანონო ტარებისთვის" დააკავეს „ნაციონალებმა" და ათასი სიბინძურე აუგორეს, ერთ-ერთმა სერიოზულმა ექსპერტმა, „კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" თავმჯდომარემ, პოლიტოლოგმა **ზაალ კასრელიშვილმა** „საერთო გაზეთს" თავის საგაზეთო ინტერვიუში უთხრა,

**გენერალი თამაზაშვილი ის ადამიანია, რომელსაც ყველაზე რთულ პერიოდში ეკავა კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის პოსტი, მან კრიმინალური სამყარო წელში გადატეხა და „მხედრიონის" პარკაში ალკვეთა კახეთშიო.**

ასეთი პროფესიონალის გამოცდილი კადრიც ცხადია, ღირსეული იქნება. სწორედ პროფესიონალიზმისა და ერთგულებისთვის ანდეს ზურაბ გამეზარდაშვილს ესოდენ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პოსტი, რომელსაც ვფიქრობთ, თავს ღირსეულადართმევს.

არცერთ რეგიონში არ დაუკავებიათ და არ მიუციათ პასუხისგებაში სამოხელეო დანაშაულისთვის (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) იმდენი ბობოლა ჩინოსანი, რამდენიც იმერეთში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს,



მაგრამ რამდენიმეს მაინც დავასახელებთ - ზესტაფონის გამგებელი გია გეწაძე, ამავე რაიონის სამხედრო კომისარი თელია, ცნობილი ზონდერი, რომელიც ჟურნალისტებს დასდევდა და ფიზიკურად უსწორდებოდა. ვანის და ხონის რაიონების საკრებულოების თავმჯდომარეები, სამტრედიის პოლიციის უფროსი ობოლაძე და ა.შ. ყველას გვახსოვს იმერეთში მოქმედი ზონდერჟურნალისტებიც ალისტრახო როხვაძის მეთაურობით, რომლებიც ყველანაირად ხელს უშლიდნენ ინფო-9-ის ჟურნალისტებს და მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი არ ერიდებოდნენ. ამ ე.წ. ჟურნალისტთა გამოვლენა და მათი უმსგავსო საქციელის აღკვეთაც იმერელი ფორმიანების დამსახურებაა. მართალია, სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ, ხსენებულ სამოხელეო დანაშაულში მხილებული ექსჩინოსნები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა, მაგრამ ძიება გრძელდება და ყველას საკადრისი მიეზღვება. რაც მთავარია, პოლიციას ისეთი უტყუარი მტკიცებულებებით აქვს საქმეები გამაგრებული, რომ არცერთ დაკავებულს არ გამოუთქვამს ეჭვი, მართლაც დამნაშავე იყო თუ არა, ამ საკითხზე მათ პრეტენზია არ გასჩენიათ.

ქვეყანაში კრიმინოგენური ვითარების გაჯანსაღებასთან ერთად, ის „მითიც" დაინგრა, რომ ნაციონალების მიერ „ქვეყნის ხერხემლად" შერაცხული ვანო მერაბიშვილი ერთადერთი და განუმეორებელი შს მინისტრი იყო და თანამშრომლებს მისი სიყვარულით ღამეები არ ეძინათ. თურმე ნუ იტყვით, და ვანო სულ ხელქვეითებზე ფიქრობდა და მათი კეთილდღეობისთვის ყველაფერს აკეთებდა. არადა პრივილეგიებით მხოლოდ პოლიციის მაღალჩინოსნები რომ სარგებლობდნენ, ამას ნებისმიერი რიგითი პოლიციელი დაგიდასტურებთ. რაღაც დონეზე შეიძლება პოლიციელებსაც უწევდნენ გარკვეულ შეღავათებს, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ მათ განსხვავებულად მოაზროვნე უდანაშაულო ადამიანების დაჭერისას და საპროტესტო აქციების დარბევისას ხელი არ აკანკალებოდათ. მაღალი ხელფასებით, ყოველთვიური პრემიებითა და სხვა სიკეთეებით, მხოლოდ „უფროსობა" იყო განებივრებული. რიგითმა პოლიციელებმა ეს მოგვიანებით შეიტყვეს და სწორედ იმიტომ მიიღეს არჩევნების დროს ისეთი გადაწყვეტილება, რაც „ნაციონალებს" „ტახტის" დატოვების ფასად დაუჯდათ. მათ ის მიიღეს, რასაც იმსახურებდნენ, ამიტომ ის მოსაზრება, რომ თურმე პოლიცია მასიურად ისევ სააკაშვილსა და მის გუნდს უჭერს მხარს, რბილად რომ ვთქვათ, ლოგიკას მოკლებულია.

**დღეს, პოლიცია თავისუფლად შეიძლება ითქვას, სრულიად აპოლიტიკურია, რაც დღევანდელი შს მინისტრისა და ნაცების მიერ შერისხული იმ პროფესიონალი პოლიციელების დამსახურებაა, რომლებიც არჩევნების შემდეგ სამართალდაცავ სტრუქტურებში დაბრუნდნენ.**

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, ამ ახალგაზრდა კაცმა მოკლე ხანში მართლაც შეძლო, თანამშრომლების პატივისცემა და სიყვარული დაემსახურებინა. წესიერებას, პატიოსნებას, განათლებას და კარგ ოჯახიშვილობას საქართველოში ყოველთვის აფასებდნენ და ნაციონალების დიდი მცდელობის მიუხედავად ეს ღირებულებები კვლავაც ფასობს. მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით შს მინისტრმა თანამშრომელთა ახლად შექმნილ ოჯახებისთვის სერიოზული პრემიები დააწესა, ისინი პრემიებით დაჯილდოვდებიან შვილების შეძენის შემთხვევაშიც. ასეთი ყურადღება და დაფასება ცხადია, ყველა სამართალდამცავს სიამოვნებს, რომლებსაც დამნაშავეობასთან დაუნდობელი ბრძოლისას, სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვაც უწევთ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

იხილეთ „საერთო გაზეთი" ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# საქართველოს ექსპანსია ანუ ქართული მიწა კილოობით და ბითუმად

## ღ ი ა   წ ე რ ი ლ ი

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბ-ნ ბიძინა ივანიშვილს




**ბატონო ბიძინა!**

ეს არაა პირველი მცდელობა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან, რომ თქვენი ყურადღება მიეპყრო ეროვნული უსაფრთხოების რანგის საკითხებისადმი... გვინდა ვივარაუდოთ, რომ იმ წერილებს თქვენამდე არ მოუღწევია და ვინმემ ან თაროზე შემოდო, ანდა გადაეწერა რომელიმე უწყებას და იქ გაიყინა. საკითხი ეხება სასაოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელების საკუთრებაში გადასვლას. თქვენთვის ეს თემა ნაცნობია, ახლახანს რეგიონულ მედიასთან შეხვედრის დროსაც დაგისვეს კითხვა. თქვენი პასუხი იყო: ეს პრობლემა კანონით უნდა დარეგულირდესო. დღეს არსებული კანონები არაფერს არ არეგულირებს, ისინი მხოლოდ წაახალისებს უცხოელებს რომ დაეპატრონონ ჩვენს მიწა-წყალს. თუმცა სჯობია თანამიმდევრობით მივყვეთ...

ისტორიულად უცხოელთა ჩამოსახლებები, რომლებიც მაშინდელ ხელისუფალთა ინიციატივით მოხდა ვითომ სამეურნეო განვითარების მიზნით, არც ერთი კარგად არ დაგვჯდომია. ამის შედეგად სახეზე გვაქვს ჩამოჭრილი ტერიტორიები და კიდევ მრავლად ჩალაგებული ნაღმები სხვადასხვა კუთხეებში. რასაც ცარიზმისა თუ საბჭოთა რუსეთი იმპერიული ზრახვებით აკეთებდა, დღეს ჩვენ ნებაყოფლობით ვაკეთებთ.

### პრობლემების ჯაჭვი

**პრობლემა 1. მიწების ფრაგმენტაცია, ანუ დაქუცმაცება.**

უდიდესი დანაშაული სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით მოხდა შევარდნაძის მმართველობაში, როცა მოქალაქეთა კავშირმა წინასაარჩევნოდ დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილის სანაცვლოდ გასცა მილიონი მიწის ნაგლეჯი. მათ შორის ხალხზე, ვისაც სოფელთან არანაირი კავშირი აღარ ჰქონდათ. ბევრი ასეთი მესაკუთრე დღემდე არ მისულა თავის მიწის ნაკვეთზე, სად მდებარეობს ისიც არ იცის. სახეზე გვაქვს დაქუცმაცებული მიწის ნაკვეთები, რომლებზეც ფერმერული (ბაზარზე ორიენტირებული) მეურნეობის მოწყობა ძალიან ძნელია.

**პრობლემა 2. მიწების მიტაცება**

როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის პერიოდში უმსხვილეს და საუკეთესო მიწის ნაკვეთებს, როგორც პოტენციურ კაპიტალს, ეუფლებოდნენ ნომენკლატურული, ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები. რომელთაგან უმრავლესობას თავი არ შეუწუხებია მიწის დამუშავებით. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მათ იეჭვეს, რომ შეიძლება დამდგარიყო მათ მიერ მიწების ფლობის მართლზომიერების საკითხი, ამჟამად სწრაფი ტემპით ყიდიან და ვინაიდან მკვიდრ მოსახლეობას ყიდვის შესაძლებლობა არა აქვს, ეს მიწებიც უცხოელების ხელში ვარდება.

**პრობლემა 3. სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელთა ხელში გადასვლა**

"ნაციონალური" ხელისუფლების ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული პოლიტიკის შედეგად სასოფლო-სამეურნეო მიწების მნიშვნელოვან ნაწილს უცხოელები დაეპატრონენ, მათგან მხოლოდ მცირე ნაწილმა წამოიწყო სამეურნეო საქმიანობა. არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ ძალიან ბევრი უცხოური კომპანია თუ ფიზიკური პირი ყიდულობს მიწებს მხოლოდ ერთი მიზნით, მათივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველოში ახლა მიწა მუქთია, ვიყიდით და როცა გაძვირდება შემდეგ გავყიდითო", ამ კატეგორიის კლიენტები აუქციონებზე მიწებს ისე ყიდულობდნენ, რომ წარმოდგენაც არ ჰქონდათ არა თუ თავად მიწის ნაკვეთზე, საერთოდ მის მდებარეობაზეც კი. ერთადერთი მიმზიდველი ფაქტორი იყო ფასი. ანუ არავითარ ინვესტიციაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნაზე ლაპარაკიც არაა. ეს არის წმინდა წყლის სპეკულაცია და ევროპაში მსგავსი ქმედება კანონით ისჯება.

რა შედეგები გვაქვს დღემდე სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოელებზე გაცემით?

ისევე დაუმუშავებელი მიწები;

ისევე დაუსაქმებელი ჩვენი მოქალაქეები;

ბიუჯეტში შენატანი - ნული.

დღეს უცხოელები სოფელ-სოფელ, კარდაკარ დადიან გასაყიდი მიწების ძებნაში. ნაციონალურმა ხელისუფლებამ მთელ მსოფლიოში გაავრცელა მოპატიჟება: ჩვენთან მიწა მუქთია, მოდით და დაეპატრონეთო. ამჟამად მიწებს ძირითადად ყიდულობენ თურქები, ირანელები, არაბები, რუსები. ანუ ისინი, ვისგანაც საუკუნეების მანძილზე სისხლის ფასად ვიცავდით და შენარჩუნებას ვცდილობდით. ამიტომ არანაკლებ მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის მორალურ-ფსიქოლოგიური მხარე.

„ძველებს" ახალი კლიენტებიც აქტიურად ემატებიან: ინდოელები, ჩინელები, ევროპელები და სხვები, ანუ ვისაც არ ეზარება და ცოტა ფული უჩხავის ჯიბეში, საქართველოში მოიჩქარის.

### ინვესტიციების შუქ-ჩრდილები

ჩვენში უცხოური ინვესტიცია ლამის პანაცეადაა გამოცხადებული, მხოლოდ ამაზე იყო ლაპარაკი "ნაციონალურ" ხელისუფლებაში, ამაზეა ლაპარაკი დღესაც. რატომ ცოტა სიღრმეში არ ვაცნობიერებთ, რომ იმ ფორმით ინვესტირება, როგორც ჩვენთან ხდება, ეს ქვეყნის გაყიდვაა პირდაპირი მნიშვნელობით... რატომაა რომ ახლო თუ შორი მეზობელი სახელმწიფოები, სახელმწიფო კომპანიებისა თუ კერძო ინიციატივების წახალისებით ცდილობენ ჩვენი მიწა-წყლის, ქვეყნის ქონების დაპატრონებას და ჩვენ ეს ნორმალურ პროცესად მიგვაჩნია, ხოლო თავად იმ ქვეყნებში ჩვენ ცხვირსაც არ შეგვაყოფინებენ, უფრო მეტიც, იქაურ მკვიდრ ქართველებს აიძულებენ ან დატოვონ ქვეყანა, ანდა ეროვნება, რჯული, სახელი და გვარიც კი შეიცვალონ?

საინვესტიციო პოლიტიკა ძალიან ფაქიზი თემაა და დიდი სიფრთხილით უნდა მიდგომა, რათა ერთ დღეს არ დავდგეთ ფაქტის წინაშე, რომ საქართველო უკვე სხვისია. არ შეიძლება რომ სახელმწიფომ მართვისა და კონტროლის ბერკეტები ხელიდან გაუშვას.

* * *

იმგვარი განუკითხაობა, უყაირათო დამოკიდებულება, განიავება, დაკნინება, დაჩაგვრა, როგორიც აქამდე იყო ჩვენი მიწებისა და მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, არსად არ მომხდარა. „ნაციონალურმა" ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ქართველი კაცი თავის მარჩენალ მიწასთან არა თუ გაუცხოებულიყო, არამედ საერთოდ აყრილიყო და გადახვეწილიყო სამშობლოდან, სამაგიეროდ გზა გაუხსნა ყველა ჯურის უცხოელს ქართულ მიწა-წყალზე დასამკვიდრებლად.

**კითხვა: ხომ არაფერს ვამუქებთ, რა მდგომარეობაა ამ მხრივ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში?**

უცხოელებს მხოლოდ იჯარით შეუძლიათ მიწის აღება. უკრაინამ დაუშვა თავისუფალი გაყიდვა, მაგრამ მალევე შენიშნეს, თუ რა პრობლემის წინაშე დგებოდნენ და უკრაინის რადამ გამოაცხადა მორატორიუმი მიწების გაყიდვაზე 2016 წლამდე.

**რა ხდება ევროპაში?**

აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას ევროკავშირში შესვლისას წარმოექმნა გარკვეული ვალდებულებები, მათ შორის მიწების თავისუფალი გაყიდვის საკითხში, მაგრამ პრაქტიკულად ყველა ქვეყანამ გამოაცხადა გარდამავალი 7-12 წლიანი პერიოდი და აკრძალა უცხოელებზე მიწის გაყიდვა. ეს დრო მათ მოითხოვეს შიდა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, ადგილობრივი მეურნეების ფეხზე დასაყენებლად, რომ უცხოურ ინვესტიციებს არ გამოეწვია მკვიდრი მოსახლეობის დისკრიმინაცია. გარდა ამისა, თითოეულმა ქვეყანამ შემოიღო გარკვეული პირობები. მაგ. უცხოელმა ჯერ იჯარით უნდა აიღოს მიწა, 3-5 წლის განმავლობაში დაამუშაოს და როცა დაამტკიცებს, რომ წარმატებულ მეურნეობას ეწევა, მხოლოდ ამის შემდეგ აქვს შესყიდვის უფლება. ასევე შეზღუდულია მიწის ფართობის ოდენობა. ასევე ერთ წელზე მეტი ხნით არ შეიძლება დაუმუშავებლად მიწის დატოვება და სხვა.

მთელ ევროპაში მკაცრად კონტროლდება, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა არ გახდეს სპეკულაციის საგანი, ანუ ის, რაც ჩვენთან დიდ მასშტაბებში ხდება.

თითქმის ყველა ქვეყანაში სავალდებულოა, რომ მყიდველს ჰქონდეს გარანტირებული ფინანსური უზრუნველყოფა, რომ შეუძლია ყიდვის შემდეგ მიწის დამუშავება, ასევე აქვს სათანადო აგრო განათლება და ამ სფეროში მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება. ეს ეხება როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. ბევრგან ითხოვენ რომ მყიდველი მუდმივად ცხოვრობდეს ამ მიწაზე (მაგ. პოლონეთში მუდმივად ცხოვრების უფლების მიღებიდან მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ შეუძლია

პიროვნებას სასოფლო-სამეურნეო მიწის ყიდვა), ზოგან კი სახელმწიფო ენის ცოდნასაც ავალდებულებენ.

### რა რეალობის წინაშე ვდგავართ?

საქართველოში მიწას რამდენიმე დატვირთვა აქვს. ესაა: სამშობლო, მამული, ეროვნული მემკვიდრეობა, სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსი, ესაა აგროსასურსათო ეკონომიკის, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების გარანტი, ესაა ჩვენი სოფელი და ამიტომ მას განსაკუთრებული მოფრთხილება, მოვლა სჭირდება.

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა და გარკვეული რესურსების მობილიზების და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარებით სოფლის მეურნეობის განვითარება სიძნელეს არ წარმოადგენს.

მკვიდრი მოსახლეობა როცა რჩება მიწის გარეშე, ის უბრალოდ იძულებული ხდება აიყაროს სოფლიდან, რადგან აქ შემოსავლის სხვა წყარო არ არსებობს. ეს კი არსებულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს;

ეროვნული თვითმყოფადობა, რომელიც ძირითადად სოფელზეა დაშენებული, დგება საფრთხის ქვეშ.

**მოდით, ჯერ მკვიდრ მოსახლეობას მივცეთ სამეურნეო საქმიანობის განვითარების შესაძლებლობა, მერე დავიბრუნოთ ბოლო ოცწლეულში სამშობლოდან ნებაყოფლობითი იძულებით წასული ჩვენი თანამემამულეები, მერე დავიბრუნოთ ირანში ოთხასი წლის წინ იძულებით გადასახლებული ჩვენი სისხლი და ხორცი, ვისაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილი აქვს და ეროვნულ-პატრიოტული ცნობიერება გააჩნია, ხშირად უფრო მეტად გამძაფრებული, ვიდრე აქაურებს და ამის შემდეგ თუ კიდევ დაგვრჩება აუთვისებელი მიწები, მაშინ ვიფიქროთ უცხოების მოზიდვაზე.**

### როგორ მოვუაროთ ამ პრობლემას?

პირველ ნაბიჯად გთავაზობთ მრგვალი მაგიდის ფორმატში შეხვედრას და საქმიან მსჯელობას სათანადო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ერთად. ჩვენ მზადა გვაქვს წინადადებათა პაკეტი, რომლის განხორციელებით მთლიანად სამართლებრივ ჩარჩოებში ექცევა პროცესი და ეტაპობრივად რეგულირდება სრულიად ცივილიზებულად. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ხელისუფლების კეთილი ნება. საკითხი ერთი წუთით დაყოვნებას არ ითმენს... ჩვენ ოთხი თვეა ასეთ მნიშვნელოვან თემაზე სამსჯელოდ უშედეგოდ ვცდილობთ თქვენთან შეხვედრას...

**ინფორმაციისათვის:**

პარლამენტში ჯერ კიდევ დეკემბერში დავაყენეთ ეს საკითხი, მივაწოდეთ სათანადო დასაბუთება და დოკუმენტაცია, თითქოს იყო ერთგვარი მზაობაც, მაგრამ საქმემ ერთი ნაბიჯითაც ვერ წაიწია.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში საკითხების შეჯერებამაც ვერ გამოიღო შედეგი.. ანუ ამ საკითხის ვინმეზე გადაბარებას, მოკვლევას და სხვა, აზრი არა აქვს, ეს გზა უკვე გავლილია, სიტყვა მხოლოდ თქვენზეა...

**საქართველოს სამოქალაქო მოძრაობა**
**გადაარჩინე სიცოცხლე**
**მოძრაობა საქართველოს მდგრადი განვითარებისთვის**
**ქალთა ეთოვის ასოციაცია**
**პროფესორთა ლიგა**
**თავისუფლება და სამართალი**



# რას ნაციონალებმა ქართველ ხალხს გაუკეთეს, ეს უპატიებელი ცოდვაა!

**გვესაუბრება მსახიობი, ორგანიზაცია „სახალხო კრების“ წევრი გია ბურჯანაძე**

**— ბატონო გია, გარდა იმისა, რომ თქვენ ბრძანდებით ხელოვანი ადამიანი, აგრეთვე ხართ „სახალხო კრების“ აქტიური წევრი და პოლიტიკური პარტია „სახალხო დემოკრატების“ აქტიური მხარდამჭერი. მათ პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ მორატორიუმი გამოაცხადეს. გავიდა ეს ვადა, როგორ შეაფასებთ ამჟამინდელ ვითარებას?**

— „ნაციონალებმა“ ვერ გაიტანეს თავისი ხუშტურები და დამარცხდნენ. დამარცხდნენ სრულიად საქართველოსთან. პირადად მე მათ ყოველთვის ვთვლიდი და ვთვლი საქართველოს მოწინააღმდეგე ძალად. იმ არჩევნების შემდეგ ჩემთვის მთავარი და პოზიტიური მომენტი გახლდათ ის გარემოება, რომ გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები. ახლა ბევრს ლაპარაკობენ, თითქოს ვიღაცას არ ეკუთვნოდა ამ სტატუსით გათავისუფლება,



მაგრამ მშვენივრად განმარტეს თეა წულუკიანმა, ეკა ბესელიამ და სხვებმა, რომ ერთი უდანაშაულო ადამიანის ციხეში ყოფნა უფრო მეტი დანაშაულია, ვიდრე მრავალი დამნაშავის ციხეში ჯდომა. რაც შეეხება ჩემს თანამებრძოლებს, 46 ადამიანი იყო დაპატიმრებული, მათზე კითხვები თავად „ნაცმოძრაობის“ წევრებსაც არ ჰქონიათ. მიუხედავად ამისა, მათი გათავისუფლება ჩემთვის შვება იყო, რადგან ჩემი თანამოაზრეები ციხეში იჯდნენ და მე გარეთ. მომეხსნა დიდი ლოდი და დარდი.

როგორც ახლა ეძახიან, კოჰაბიტაცია, მიუღებელია არა მარტო ჩემთვის, არამედ ქართველი ხალხისთვის. ხშირად მებადება კითხვა და ხმამაღლა ვამბობ — ვიდრე ვანო მერაბიშვილი გისოსებს მიღმაა, საერთოდ, ვიდრე დამნაშავეთა ეს ხროვა ციხის გარეთაა, სახელმწიფოებრიობას დიდი საფრთხე ექმნება.

**— კი, თქვენ ამბობთ — სიმართლის აღდგენის პროცესი უნდა დაიწყოს, რომელ სამართლიანობაზეა საუბარი, როდესაც დამნაშავე ხელისუფლება 19 აპრილს ხალხს ეპატიჟება მიტინგზე იქ, სადაც თავად სისხლი აქვს დაღვრილი.**

— მიტინგს ვერ დავარქმევ იმ აქციას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ აანონსებს. ისიც გამიკვირდა, რატომ მოგვპარეს „სახალხო კრებას“ ლოზუნგები — “ძალა ხალხშია“ და „ძალა ერთობაშია“, ესენი ხომ ჩვენი ლოზუნგები იყო, რისთვისაც თვითონვე გვცემდნენ, გვარბევდნენ, გვხოცავდნენ... ახლა მოეწონათ ეს ლოზუნგები? ძალა ხალხში რომ არის, კარგად გამოჩნდა შარშან ოქტომბრის არჩევნებში.

**ესენი — „ნაცმოძრაობის“ წევრები — დაგვცინიან. არანაირი მიტინგი არ იქნება, აწყობენ პროვოკაციას, რომელზე დასასწრებად ბილეთები უკვე გაყიდული აქვთ უცხოელებზე. სწორედ ამ სპექტაკლზე დასასწრებად მოწვეული ჰყავთ უცხოელები თავიანთი მედიასაშუალებებით. ესენი ყოველთვის ვაჭრობდნენ საქართველოს ინტერესებით.**

ამას არ ჰქვია მიტინგი, გამოსვლა, ეს არის წინასწარ დაანონსებული პროვოკაცია, რომელიც იყიდება სანახაობრივი თვალსაზრისით.

**— გასაგებია, მაგრამ როგორ შეაფასებთ ვანო მერაბიშვილის დებატებს კულტურის საკითხებზე? მხედველობაში მაქვს რაბათის კომპლექსი.**

— ჩემთვის ეს კიდევ ერთი გაუგებარი საკითხია, რატომ დადის დღევანდელი ხელისუფლება ნაციონალების დადგმულ პიარაქციებზე. მათ ქვეყნის სათავეში ყოფნის პერიოდში ყოველთვის ჰქონდათ მექანიზმი — თუ მათ საწინააღმდეგოდ რაიმე ხდებოდა, რაღაცით უნდა გადაფარულიყო. თუნდაც ავიღოთ ფოტოგრაფების საქმე. აი, დაიწყო ლოპოტის ხეობაში მომხდარ ამბებთან დაკავშირებული საქმის გამოძიება. მე თუ მკითხავთ, აქამდეც უნდა ამოგვეღო ხმა საზოგადოებას. რას ვხედავთ? პრესა-ტელევიზიაში საუბარია ვანო მერაბიშვილის გემოვნებაზე. რატომღაც საზოგადოება პრესასთან ერთად აჰყვა მათ თამაშს. სამწუხაროდ, დღეს არსებული მარგინალი ნაციონალები გვთავაზობენ საკუთარ პოლიტიკურ თამაშის წესებს. სამწუხაროდ, ხელისუფლება და საზოგადოება ერთვება ამ თამაშში. ახალციხის რესტავრაციას შევადარებ იმ ქმედებას, სადმე ცარიელ ადგილზე რომ ავაშენოთ პირამიდები. ეს ხომ არ იქნება რეალური, ფაქტობრივად, მათ ახალციხეში დადგეს დეკორაციები, რომლებსაც არანაირი კავშირი ისტორიასთან არ აქვს. სამწუხაროდ, ააგორეს, როგორც მთავარი საკითხი. ვსაუბრობ იმაზე, რომ ყველაფერი ხელოვნურადაა მოწყობილი? სწორედ ეს გახლავთ ჩვენი საზოგადოების შეცდომა. ვანო მერაბიშვილთან საერთოდ არავინ უნდა საუბრობდეს, რადგან ეს წმინდა წყლის კრიმინალია. მას ისე უნდა ვესაუბროთ, როგორც დამნაშავეს. კულტურის მინისტრი კი არა, საერთოდ, ჩვენ ხალხი მას არ უნდა ვახსენებდეთ.

**— იყიდება ქვეყნის მიწები, ქონება. ვინ უნდა უპატრონოს ამას?**

— ვინ და ჩვენ, საქართველოს მოსახლეობა, ქართველებიც და არაქართველებიც, ვისაც უყვარს საქართველო, ვინც მხარს უჭერს ქვეყნის მთლიანობას, დამირეკეს და მკითხეს, რა აზრის ვარ ინდოელებს რომ არ აძლევენ მიწების დამუშავების საშუალებას. არც უნდა მისცენ, ვიდრე არ გაირკვევა, რა გზებით, საშუალებით მისცეს მათ ის მიწები. კიდევ ბევრი საქმე გამოაშკარავდება, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება, დამნაშავე პარტიის, მათი სათავეში მოსვლის დღიდან მოყოლებული ყოველდღიური მოქმედება გამოსაძიებია. არ ყოფილა თუნდაც ერთი დღე, პატარა ბოროტება მაინც არ ჩაედინოთ. საუბედუროდ, ამ ვითომ მცირე ბოროტების და დანაშაულის უკან იდგნენ ოჯახები, რომლებიც დაზარალდნენ. არ შეიძლება თუნდაც ერთი პიროვნების ტრაგედია დავტოვოთ უყურადღებოდ, აღარაფერს ვამბობ ახალი ტერიტორიების დაკარგვაზე და ახალი დევნილთა ნაკადზე. ყველა საკითხი გამოსაძიებელია. არა ვარ იმის მომხრე, ყველა ციხეში ჩავსვათ, მაგრამ თითოეულ საქმეს ჰყავს დამკვეთი, შემსრულებელი. პროკურორ-მოსამართლის გარდა ყველას გვავიწყდება ცრუ მოწმეები, რომელთა წყალობითაც უამრავი ადამიანი დავზარალდით. შეიძლება ისინი დღესაც მუშაობენ. ვიმეორებ, არ მინდა, ყველა ციხეში მოხვდეს, მაგრამ დამნაშავეს სახელი უნდა დაერქვას, უნდა გასამართლდნენ. სამართალი მაშინ დგება, როდესაც ყველაფერს საკუთარი სახელი ერქმევა.

**— სახალხო კრებას რა გეგმები აქვს, რას აპირებთ?**

— გვაქვს უახლოესი გეგმები, სხვათა შორის, გრძელვადიანი.



იწერება ყოველდღიური სამუშაო გეგმა. ჩვენთან შემომავალ პოლიტიკურ პარტიებს კიდევ აქვთ თავიანთი პროგრამები. ვფიქრობთ, რით დავეხმაროთ ახალ ხელისუფლებას. პოლიტიკური ოპონირება ცუდი როდია. პირიქით, ვფიქრობთ, რომ დღევანდელ მთავრობას გამოადგება. „ქართულ ოცნებაში“ ბევრი ჩემი მეგობარია, თანამებრძოლია, ერთად ვიდექით წლების მანძილზე, ამიტომ ჩემი ნათქვამი უნდა მიიღონ, როგორც საკუთარი ძმის რჩევა, ჩვენ ხომ ერთნაირად გვინდა ქვეყნის ბედნიერება. მომავალ არჩევნებში მივიღებთ მონაწილეობას, რათა დადგეს რეალური პოლიტიკა

**— როგორ მიგაჩნიათ, ჩვენს ქვეყანაში მალე გამოსწორდება ვითარება და დაიწყება აღორძინება?**

— ეს დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე. შეიძლებოდა პროცესები ერთ თვეში დაწყებულიყო, ან შორიდან შემოვუაროთ და მაინც მივიდეთ დასახულ მიზნამდე. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ჩვენთან ნორმალური არჩევნები არ ჩატარებულა. გავიხსენოთ ის დარღვევები, რომლებიც იყო ხმების დათვლის ჩათვლით. ქართველი მოსახლეობის 40 პროცენტს ნამდვილად არ მიუცია ხმა ნაცმოძრაობისთვის. ეს არ უნდა გადაეყლაპა დღევანდელ ხელისუფლებას, მერე მოგთხოვეს კოჰაბიტაცია, გაქცეულებმა დაიწყეს დაბრუნება. თუ ასე გაგრძელდა, მალე ადეიშვილიც ჩამოვა და კბილაშვილივ დაიწყებს ჭკუის სწავლებას. ამიტომ ვამბობ, ხალხმა არაფერი უნდა დავივიწყოთ, განსაკუთრებით სისხლიანი წარსული. როგორ შეიძლება, ასეთი დამნაშავეები კვლავ პოლიტიკაში იყვნენ.

**ქართველები მიმტევებლები ვართ, მაგრამ მე შემიძლია მივუტევო ჩემს პირად მტერს და არა ქვეყნის დამაქცევრებს. ახლაც ყურში ჩემესმის შეძახილები“: „ბადრის რა“, „ნინოს რა“, „ბიძინას რა“, მახსოვს, როგორ თელავდნენ ფეხით ხალხს. რომელი ერთი გავიხსენოთ?! ან რა საჭიროა, უამისოდაც ყველამ იცის. მათ ქართველ ხალხს გენოციდი მოუწყეს პირდაპირი მნიშვნელობით, რაც უპატიებელი ცოდვაა.**

**გია ბურდული**
551 71 27 07

## აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ – ვახტანგ ყოლბაია

**აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის ვახტანგ ყოლბაიას განცხადებით, აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურები ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ.**



როგორც დღეს გაზეთ პრაიმ-ტაიმში გამართულ პრესკონფერენციაზე ვახტანგ ყოლბაიამ განაცხადა, ,ბევრს მიაჩნია, რომ აფხაზეთის მთავრობის შიდა სტრუქტურები განზე დარჩნენ იმ პრობლემებისგან, რაც საზოგადოებას, კერძოდ აფხაზეთიდან დევნილებს აწუხებთ. მაგალითად, დევნილთა გამოსახლებების დროს აფხაზეთის მთავრობა გულხელდაკრეფილი იჯდა. „აფხაზეთის მთავრობის სტრუქტურებს არ აქვთ დიდი ბერკეტი, არც პოლიტიკური და არც ფინანსური. ამის მიუხედავად, ისინი ხალხს უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ, რათა ხალხმა მათი განწყობა და შრომა იგრძნოს. ამისათვის დახვეწილი მენეჯმენტი და გადაწყვეტილებების მობილიზაციაა საჭირო. რაც იყო, ეს წესიერად არ მუშაობს და სწორედ ამიტომაა ჩვენი სტრუქტურების მიმართ უნდობლობა“, — -აცხადებს ყოლბაია.

მისი თქმით, აფხაზეთის მთავრობაში რეორგანიზაცია საჭიროა და ეს განხორციელდება, თუმცა რაიმე დიდ ცვლილებას არ გეგმავს.

ყოლბაიას განცხადებით, ის ფაქტი, რომ პარალელურად „დემოკრატიული მოძრაობის“ წევრია რაიმე დაბრკოლებას არ ქმნის და ამის გამო, მას არც არანაირი დისკონფორტი არ უგრძვნია.

## მიხო მორჩილაძე:

# ზაქარეიშვილი შეშფოთებული რომ კითხულობს, ვინ მოკლა ბუთბაო, გადაეცით: მე მოვკალი!

*გვესაუბრება აფხაზეთის ომის მონაწილე, მწერალი მიხო მორჩილაძე*



— იმპერიას აქვს ასეთი თვისება, თუ მას ვერ განავრცობ და გააფართოვებ, ის იწყებს ჭკნობას, კვდომას. რუს ადამიანს, ნებისმიერს, მაღალი თუ დაბალი ზნეობისას, აქვს ასეთი თვისება: თავისუფლად დაგითმობს ფულს, თანამდებობას, ცოლს, შვილს, დედას. რუსი დაგითმობს ყველაფერს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ დაგითმობს მიწის იმ პატარა ნაგლეჯს, რომელზედაც თქვენი დახმარებით თქვენსავე მიწაზე დააყენეთ.

რუსეთთან მეგობრობამ საქართველოს მილიონზე მეტი ჯარისკაცი დააკარგინა მეორე მსოფლიო ომში თუ ნაპოლეონთან ომში, სადაც თორმეტი ქართველი გენერალი იბრძოდა. ვახტანგ მეექვსემ ჩაიდინა დიდი სისულელე, საქართველოს ნაღები საზოგადოება წაასხა რუსეთში, წაიღო აქედან ქართული კულტურული და მატერიალური მემკვიდრეობა, ოქრო-ვერცხლი და ყველაზე მნიშვნელოვანი — ქართული გენეტიკა. ჰუსართა პოლკებში ქართველები იყვნენ, წირვა-ლოცვა იქ ქართულად ტარდებოდა და ფულის მიღებაზეც ქართულად აწერდნენ ხელს. შემდგომ იგივე დავიდოვები, ბესტიევები, ტატიშევები აქეთ ლაშქრავდნენ საქართველოს და აფხაზეთში იბრძოდნენ, იმიტომ, რომ მათ დაავიწყდათ თავიანთი წარმომავლობა. ტატიშოვი ტატიშვილია, დავიდოვი — დავითაშვილი. მე იმ გვარებს გეუბნებით, ვინც ყველაზე მეტი სისასტიკე გამოიჩინეს აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ.

**— აფხაზეთის ომი ვახსენეთ და რა იყო მაშინ ქართველების ყველაზე დიდი შეცდომა?**

— ქართველების შეცდომა იყო ამ მოვლენის სახელმწიფო მიდგომა ისეთი, თითქოს ეს იყო ძმათამკვლელი ომი. ეს იყო პირველი სამამულო და არა ძმათამკვლელი ომი. ეშინოდა შევარდნაძეს იმის თქმის, რომ რუსეთი გვებრძოდა. თავის დროზე გია ყარყარაშვილმა თქვა ერთხელ, მე უნდა ვიცოდე, ვის ვებრძვი, ოს და აფხაზ სეპარატისტებს, თუ რუსეთის იმპერიასო და უნდა დავითვალოთ, იარაღის რა რაოდენობა გვჭირდებაო.

მეორე დანაშაული იყო ის, რომ საქართველოში ვერ ჩამოყალიბდა მტრის ხატი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

მესამე დანაშაული ის არის, რომ ხალხი არ წავიდა ომში. ათი ათასი კაციც რომ წასულიყო აფხაზეთის დასაცავად, არც აფხაზეთი დაიკარგებოდა და არც სამაჩაბლო. პოლიტიკაც არ იყო, არ მოხდა მობილიზაცია და ისეთი აზრი ჩამოყალიბდა, რომ ომში მიდიან მხოლოდ ყაჩაღები და მძარცველები. საინტერესოა და ხაზგასმულია ათასჯერ, ეს ყოველმა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ რუსეთის მხარდამხარ ბრძოლაში საქართველომ დაკარგა მილიონამდე ჯარისკაცი, ხოლო რუსეთის საწინააღმდეგო ომში დაიღუპა მაქსიმუმ ოთხი ათასი კაცი, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოვიდეთ შიშის სინდრომიდან და ვებრძოლოთ რუსეთს. შევარდნაძე პიროვნულად ერთ-ერთი ძლიერი პრეზიდენტი იყო, აფხაზეთსშიც, მე პირადად შევხვედრივარ, ძალიან ვაჟკაცურად იქცეოდა, არ იმალებოდა, მას ჰქონდა ერთი აქილევსის ქუსლი — პარტიულ-იდეოლოგიური წნეხიდან ვერ გამოვიდა. ის დამორჩილებული იყო რუსულ იდეოლოგიურ ძალმომეობას, ბრძოლისუნარიანობა აკლდა. როდესაც ეკატერინემ ერეკლეს სთხოვა, შენი შვილები ჩემს კარზე გამოაგზავნეო, ერეკლე წერილში სწერს მას, გამოვაგზავნი, მაგრამ იმედია, ისინი იმ ბედს არ გაიზიარებენ, რაც ხონთქრისა და შაჰის კარზე ხდება ხოლმეო. იცით, რა ხდებოდა ხონთქრისა და შაჰის კარზე? უფლისწულებს, პატარა ბიჭებს, მამათმავლური წესით აბახებდნენ და შემდგომ აგზავნიდნენ თავის სამშობლოში შაჰისა თუ ხონთქრის ნების უსიტყვო შემსრულებლებად.

**— მაინც, რა მოხდა სულ ბოლო თვეში აფხაზეთში? ამბობენ, თითქოს ომი მოგებული იყო და ბრძანება მოვიდაო უკან დახევის შესახებ.**

— ჩვენ უნდა გამოგვეცხადებინა, რომ ეს იყო სამამულო და არა ძმათამკვლელი ომი. ჩვენ ვინ გვებრძოდა? რუსეთის შეიარაღებული ძალები და რუსეთის მოხალისეები და სომხები. ტყუილია, რომ ჩვენ გვებრძოდნენ ჩეჩნები. ჩეჩნები, შეიძლება, ერთი მეასედი იყვნენ ამ ომში, აფხაზებიც ცოტა ძალიან. რუსეთს სჭირდებოდა, რომ გამოეცხადებინა, თითქოს ჩეჩნები არიან ჩვენი მტრები. ჩეჩნები არ არიან ჩვენი მტრები, არც აფხაზები არასდროს ყოფილან ჩვენი მტრები, ერთი-ორის გარდა, ვისაც პათოლოგიურად სძულდა ქართველები. ახლა რომ გამოდის ზაქარეიშვილი და შეშფოთებული ამბობს, ვინ მოკლა ბუთბა? შეგიძლიათ გადასცეთ, რომ მე მოვკალი. იმიტომ, რომ მე დავდიოდი აფხაზეთში, რომ ბუთბები მომეკლა, ყველაზე საზიზღარი მტრები საქართველოსი. ერთმა ჩემმა მეგობარმა მწერალმა თურმანაულმა თქვა, ავტომატი მომცეს ხელში, დავინახე მტერი და არ ვესროლე, მერე ის ცოდვა რას მიზამდაო. მე მივწერე მას, იდიოტი ხარ! შენ არ ესროლე იმას, ვინც დედაშენი გააუპატიურა და ძუძუები დააჭრა, ვინც შენი და ნაწილ-ნაწილ აკუწა, მამაშენს თვალები დასთხარა, იმას არ ესროლე, ნაგავი ხარ, ვუთხარი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ გარჩევა, ვინ მტერია და ვინ — მოყვარე. მტერს უნდა ებრძოლო სისხლის ბოლო წვეთამდე. ნუ შეგვეშინდება. რომ რუსეთი დიდია და მოგვერევა. ფეხებსაც ვერ მოგვჭამს...



მე ყოველ დღე ჩავდივარ წყალში, თქვენსავით მცივა, მაგრამ მაინც ჩავდივარ ყინულიან წყალში, ჩემს თავს ვჯობნი, ამოვდივარ და აღარ მცივა. ქართველებს გვჭირდება გამარჯვების შეგრძნება, თორემ დავიკარგებით, გავნადგურდებით. ძალიან დიდი ხანია, გამარჯვება არ გვინახავს. გამარჯვება არ იქნება, თუ რუსებს ტაკიმასხარაობასა და მოფერებას დავუწყებთ. „სიკვდილი თავად უფალსა, გაუჩენია მტრისადა“. მოდით, ამით დავამთავროთ!

**— დიდი მადლობა, ბატონო მიხო.**

**ნინო კობაიძე**




## xa l xis az r iT

19-ში რუსთაველზე ქვეწარმავლების გასაფანტად, გოგირდი რომ დავწვა, ცუდი ბიჭი ვიქნები?))))

ადრე ესე იყო: ქურდისთვის ხელის გარტყმა არ შეიძლებოდა. ეხლა საიასთვის არ შეიძლება.

19 აპრილს ნაციონალები რუსთაველზე კი არა რომელიმე მაღალ მთაზე შეიკრიბებიან. გამოექანებიან და..... ნატოს კარების შენგრევას ეცდებიან. გზად ევროკავშირის კარებსაც შეაზანზარებენ.

19 აპრილის დასაშლელად ირაკლი ღარიბაშვილი მხოლოდ სევანის წყალსა და სოკარის გაზს გამოიყენებს. დუბინკების ნაცვლად მარნეულის ცოცხებზე შეჩერდა არჩევანი. ბურჯანაძემ შეუთვალა ირაკლის მოლოტოვის კოქტეილს და რაგატკებსაც დაგახმარო, მაგრამ რესპუბლიკელებმა ჩაშალეს ეგ ამბავი

რამდენიც არ უნდა იტლიკინოს ევროპამ დღეს რუსეთზე... ერთი რამე ნუ დაავიწყდებათ, რა. ევროპა რუსეთმა გადაარჩინა ოსმალებისგან. მთელი ბალკანეთი, საბერძნეთი, პოლონეთი, ბულგარეთი, ოსმალების ხელში იყო და სრული პანთურქიზმი მიდიოდა... რუსეთი არ ყოფილიყო და... დასავლეთ ევროპა მარტო ონანიზმს უნდებოდა ამ დროს.

ჩინელსა და ინდოელს ქართული სოფელი მოსწონს საცხოვრებლად, ეგვიპტელი და აზერბაიჯანელი ტიფლისს ეტრფის და რუსთაველიდან ჭავჭავაძის ქუჩის მიმართულებით უძრავ ქონებას ყიდულობს ... ჰოდა, ჩვენ დავალოთ პირი და დაველოდოთ როდის გაგვიყიდიან სამშობლოს ... რა მაინც და მაინც სახლში სანამ არ შემოგივარდებიან, უნდა დაელოდო ? ... ამასაც იზამენ მალე.

საია სოროსის ძუძუნაწოვი ორგანიზაციაა ახლაც და რაა აქ გაუგებარი, რატომ უტევენ ღარიბაშვილს?! ამ ადგილზე, ალბათ, რესპბლიკელების კადრი ჰყავთ მოაზრებული... და ვის დაკვეთას ასრულებენ, არც ესაა გამოცანა...”

მოდი, ჯერ სამართლიანობის აღდგენა და მერე კოჰაბიტაცია! ასე უფრო სამართლიანიც იქნება და უფრო კოჰაბიტაციურიც.

ედ და სოფია მილიბენდები ერთმანეთს თარჯიმნის დახმარებით ელაპარაკებოდნენ. არც ერთმა იცოდა რუსული და არც მეორემ — ინგლისური. მიშამ ორივე ენა იცის, ეგ არის, რომ ქართველების ძახილი: «წადი, წადი!» არ ეყურება. იქნებ ამიტომაც შეუძახეს წინასაარჩევნოდ რუსულად: Äàâàé, äî ñâèäàí èÿ! არც ეს შეისმინა. ამიტომ უპრიანია, ახლა მილიბენდის მშობლიურ ენაზე მივაძახოთ: გო ჰომე, ფუცკინგ “უნატიც!!!

გინდა, რომ ქონება წაგართვან და თუ არ დათმობ, შვილი დაგიპატიმრონ, გიწამონ და დაგისახიჩრონ? გინდა, რომ საქართველოში პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი ისევ ყველაზე მაღალი იყოს მთელ მსოფლიოში? გინდა, რომ ყველა ტელევიზია ისევ ერთი პარტიის ხელში აღმოჩნდეს? გინდა, რომ ახალგაზრდები ისევ დახოცონ ქუჩაში და დამნაშავე არასდროს დაისაჯოს? გინდა, რომ განსხვავებული პოლიტიკური პოზიციისთვის ანგარიშები დაგიყადაღონ? გინდა, რომ შემთხვევათა 99,9 პროცენტში სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი გამოჰქონდეს? გინდა, რომ ისევ წაგართვან გაფიცვების, შეკრებების უფლება, შეგიზღუდონ გამოხატვის თავისუფლება? გინდა, რომ აღდგეს შავი სიები და სამსახურში არ მიგიღონ, თუ ნაცმოსადმი ლოიალური არა ხარ? გინდა, რომ მხოლოდ ადამიანთა ერთი, მცირე ჯგუფი გრძნობდეს თავს ბედნიერად და ყველანი დანარჩენი უუფლებონი ვიყოთ? მაშინ წადი 19 აპრილს!!

# დღეს უმაღლესი სასწავლებლის შესახებ რეფორმის შეჩერება დანაშაულის ტოლფასია

ქვეყანაში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ახალი საგანმანათლებლო რეფორმის შემუშავება, რომლის ავტორი უცხოეთში მყოფი ჩვენი თანამემამულე და სასიქადულო მეცნიერი — გია დვალი გახდა.

რეფორმა ისე იქნა მოწონებული და შეფასებული, რომ პარლამენტართა უმეტესობას ის არც წაუკითხავს და არც გასცნობია. სანთლით საძებნელი გაგვიხდა ისეთი ადამიანი, ვინც სრულად იცნობს როგორც ამ რეფორმას, არამედ იცის, თუ როგორ შეიძლება გარდამავალ პერიოდში მისი განხორციელება მოხდეს.

ვესაუბრებით „ქართული აკადემიის" წევრს, პროფესორ ბატონ **ჯემალ მეზონიას**



**— ბატონო ჯემალ, იქნებ აგვიხსნათ, რაში მდგომარეობს ახალი საგანმანათლებლო რეფორმის არსი, ცხადია, რომ მას საზოგადოება დიდი ინტერესით ელოდება, ისიც ცნობილია, რომ ამ რეფორმის პროექტი მოწონებული იქნა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მიერ?**

— დავიწყებ იმით, რომ ყოველივე ახალი, კარგად დავიწყებული ძველია, ამიტომ მე მასში ბევრი ისეთი რამ წავიკითხე, რაც ჩვენი განათლების სისტემაში მანამდე არსებობდა, ვიდრე ცხრა წლის წინ მას დაანგრევდნენ.

დღეს მე მინდა ვისაუბრო უმაღლესი განათლების ახალ რეფორმაზე. ეს არის განათლების გერმანული სისტემა, სხვა ტერმინოლოგიით, თავისუფლების მეტი ხარისხით, მაგრამ ის, რაც ჩვენში იყო. ძველს თუ შევადარებთ, ვიტყვი, რომ ქართული მათემატიკისა და ფიზიკის სკოლები მსოფლიოში ცნობილი იყო, რომელთაც მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერები მისცეს ქვეყანას.

ახალ კონცეფციაში ნათქვამია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უნდა იყვნენ მუდმივ პოზიციაზე მყოფი პროფესორები, ახალი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ტენუირებული პროფესორები, რომლებიც ხუთ წელიწადში ერთხელ გადაირჩევიან. ეს ადრეც ასე იყო. მთავარი ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ყველაფერს ფაკულტეტზე, ეს იქნება ტენუირებულ პროფესორთა კრება. ეს იგივეა, რაც ადრე მყოფი ფაკულტეტის საბჭო. კრებას უნდა ახლდეს ასევე კომიტეტები — საბაკალავრო, სამაგისტრო და ა. შ.

ძველადაც ასე არ იყო? ფაკულტეტის საბჭოს ახლდა სამეცნიერო კომისია, სტუდსაბჭოს კომისია და ა.შ. ერთი ერთზეა ყველაფერი, რაც იყო და გვქონდა — უბრალოდ, სახელწოდებებია შეცვლილი. ფაკულტეტის მაგივრად რეფორმაში მითითებულია დეპარტამენტი. დეკანს ჰქვია დეპარტამენტის თავმჯდომარე — აქაც სხვაობას ვერ ვხედავ. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელს რეფორმის მიხედვით ჰქვია პრეზიდენტი — იყო რექტორი, აზრობრივი სხვაობა აქაც არ არის.

სამეცნიერო ერთეულებზეც არის ნათქვამი, ახალ რეფორმაში. სამეცნიერო სექტორი ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში 1960 წლიდან ჩამოყალიბდა და ასეც იყო. მე იმის თქმა მინდა, რომ რეფორმაში იგივე სისტემაა, რაც გვქონდა, იგივე პრინციპებია — ცუდი ამაში არაფერია!

უმაღლეს სასწავლებლებში მოწვეული უნდა იქნას წარჩინებულ პროფესორთა დასი დროებით და იქნება დამსახურებულ ლექტორთა ჯგუფი, რომელნიც წლების განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში. ეს ფორმა ნამდვილად მისაღებია. ასევე იქნება პროფესორთა მოსამზადებელი ჯგუფები. ესაც ძველია ჩვენთვის — ადრე იყო ასპირანტურა ამისათვის.

რეფორმას აკლია ერთი მთავარი, რა ვუყოთ იმ ხალხს, რომელნიც დამსახურებულნი არიან, მაგრამ დღეს მუშაობა აღარ შეუძლიათ? მათ ხომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უმაღლეს სასწავლებელს მიუძღვნეს? ასეთ ადამიანებზე აქ არაფერი არ წერია — ეს სამწუხაროა ძალიან! ეს განსახილველი საკითხია, თუ სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, მათი სოციალური სტატუსი უნდა იქნას დაცული. ახალი ტერმინით ასეთ დამსახურებულ მეცნიერ მოღვაწეებს ემერიტუსის წოდება უნდა მიენიჭოთ და მათ ხელფასის 80 პროცენტი უნდა შეუნარჩუნდეთ — ასეა ევროპულ ქვეყნებში. ასეთ პროფესორებს შეუძლიათ ლექცია წაიკითხონ, შეუძლიათ არ არა, ფაქტობრივად, მათთვის არის აკადემიური თავისუფლება მინიჭებული.

დღეს რომ ლექტორი ლექციას აცდენს, ხელმძღვანელობას რეაქცია არ აქვს, ევროპაში ამაზე დიდი ჯარიმებია დაწესებული. ამიტომ დამსახურებული პროფესორები თავად წყვეტენ, ჩაატარონ თუ არა ლექცია, თუ დარჩნენ მხოლოდ ემერიტუსის ფარგლებში მყოფნი, რაც მათ მატერიალურ ზარალს არ მიაყენებს, მათ აქვთ გარანტირებული ხელფასი!

დღეს ჩვენი დამსახურებული პროფესორები ისე გაყარეს ქუჩაში, არავის უკითხავს მათი ბედი. ევროპას რომ არ შევეხოთ უკრაინაში დღესაც არის მეცნიერთათვის დამსახურებული პენსიები. ასევეა ამერიკაშიც, უბრალოდ იქ სხვა სახელი ჰქვია. ასევე, მისაღებია, რომ იყოს რეფორმაში მითითებული სამეცნიერო პენსია იმ მეცნიერთათვის, ვინც არ მუშაობს და არც საპენსიო ასაკის გახლავთ.

**— უმაღლეს სასწავლებლებს ამისი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ?**

— თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე თუ ვიტყვით, ამის ფინანსური შესაძლებლობები ნამდვილად არის.

58 მილიონი ლარი იყო შარშან უნივერსიტეტის ბიუჯეტი. აქედან 8-9 მილიონი იყო აკადემიურ სექტორზე, 27 მილიონი იხარჯებოდა ნივთების შესაძენად და 3,5 მილიონი განკუთვნილი იყო „სხვა ნივთების შესაძენად" და კიდევ „და სხვა ხარჯებისათვის" განკუთვნილი იყო 3 მილიონი ლარი!



**— რა არის ეს „და სხვა ხარჯები"?**

— ეს არავინ იცის. ასევე გაუგებარია ისიც, რომ ამ უნივერსიტეტში მოწვეულ ლექტორთა რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე ძირითად თანამშრომელ პროფესორ-მასწავლებელთა შტატი — ამას არ სჭირდება რეფორმა?

ახალ კონცეფციაში ასევე ნათქვამია, საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტების შექმნაზე, რაც დღევანდელ ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში ცოტა ძნელი განსახორციელებელია.

რაც შეეხება „ჩარეცხილ პროფესორებს", კარგი იქნება, თუ მათ ბედს გადაწყვეტენ ის მეცნიერები, რომელნიც მათ იცნობენ და არა გარედან მოწვეული პოლიტიკოსები. ვფიქრობ, ეს რეფორმაში უნდა ჩაიდოს.

პედაგოგიური კოლექტივის შერჩევა უმაღლეს სასწავლებელში ძალიან რთული და საპატიო საქმეა, ამიტომ რეფორმა ვერ გაითვალისწინებს ნებისმიერ წვრილმანს, ეს საქმე პროფესიონალებს უნდა მივანდოთ, რისი გამოცდილებაც ავტორიტეტულ უმაღლეს სასწავლებლებს გააჩნდათ და დღეა დაიკარგა. ადრე თუ წარუმატებელი მეცნიერი მიდიოდა პედაგოგად, დღეს ეს დაუშვებელია.

რეფორმაში მითითებულია, რომ სკოლებში არის უმძიმესი მდგომარეობაო, ამიტომ პედაგოგთა ის ნაწილი, რომელნიც არ არიან დღეს დაკავებულნი, უმაღლეს სასწავლებლებში გარკვეული მიზეზების გამო შეიძლება სკოლებში იქნან დაკავებულნიო. ეს თავისთავად კარგია, მთავარია, განხორციელების მექანიზმი როგორ ჩაიდება ამაში.

ეს ყველაფერი ვერ გაკეთდება, თუ არ მოხდება გარდამავალი ეტაპი, რომლის დროსაც სათანადო სტრუქტურა შემუშავდება და განხორციელდება.

სამწუხაროდ, გარდამავალ ეტაპზე რეფორმაში ნახსენები არ არის არაფერი, ეს დაუშვებელია. ამ საკითხზე „ქართულ აკადემიას" აქვს თავისი მოსაზრება და კონცეფცია.

უმაღლესი სასწავლებელი რომ ავტონომიური უნდა იყოს, აქ ორი აზრი არ არსებობს. ამაში ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ზოგიერთს მიაჩნია, რომ ავტონომია ნიშნავს იმას, რომ, რაც უნდა, იმას გააკეთებს, ეს ასე არ გახლავთ. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი ყოველთვის იქნება სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი, რომელიც კონტროლს გაუწევს, როგორც რექტორს, ისე სასწავლებელს. ამაში ვგულისხმობ შედეგს.

ქვეყანაში დღეს მოშლილია სისტემა, თუ რომელი სპეციალობის ადამიანები გვჭირდება და რა რაოდენობით, ეს უნდა აღდგეს და სწორედ ეს არის სახელმწიფოს ინტერესი, რომ მიუთითოს უმაღლეს სასწავლებელს, რა რაოდენობით სჭირდება სპეციალისტები, თუმცა, ასევე, საჭიროა მისი მხრიდან კონტროლი იმაზეც, თუ როგორი ხარისხისა და დონის სპეციალისტებს მოამზადებს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი. ქვეყნის განვითარების კონცეფცია განსხვავებული უნდა იყოს, სხვანაირად რატომ დააფინანსებს ხელისუფლება ისეთ დარგს და სპეციალისტს, რომელიც არ სჭირდება?

ეს სისტემა ქვეყანაში უნდა აღდგეს. მიმაჩნია, რომ ვიდრე ახალ საგანმანათლებლო კანონი შეიქმნება და ჩამოყალიბდება სრული სახით, უნდა გამოცხადდეს გარდამავალი ეტაპი, რომლის შესახებ დაიწერება დებულება, შეიქმნება გუნდი, რომელიც განახორციელებს გარდამავალ ეტაპს და ვინც იქნება ამის სათავეში, ის არ იქნება რომელიმე სასწავლებლის რექტორი, რომ არ იყოს მისი მხრიდან გარკვეული დაინტერესება.

დღეს ამ საქმის შეჩერება დანაშაულის ტოლფასია.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

იხილეთ „საერთო გაზეთი"
ინტერნეტში
www.saertogazeti.org
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობის „კოჟრები“ ნეიტრალური პასპორტებით საქართველოს ქალაქებში სამედიცინო დახმარებისთვის ჩამოდიოდნენ

**ბოლო ხუთი თვის განმავლობაში, აფხაზეთის 25-მა მოქალაქემ ნეიტრალური პირადობის მოწმობები მიიღო. საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სტატისტიკური მონაცემებით, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ნეიტრალურ პასპორტებზე მოთხოვნა თითქმის ორჯერ შემცირდა.**




ნეიტრალური პასპორტების შესახებ დებულება წელიწად-ნახევარია, არსებობს და ამ ხნის მანძილზე სამოქალაქო რეესტრმა ორასზე მეტი მოწმობა და პასპორტი გასცა. ამ დოკუმენტებს ძირითადად აფხაზეთის მცხოვრებნი იღებდნენ, სამხრეთ ოსეთიდან ამის მსურველი მხოლოდ რვა ადამიანი აღმოჩნდა.

მათი უმრავლესობა საქართველოს ქალაქებს სამედიცინო დახმარებისთვის სტუმრობდა. ბოლო პერიოდამდე, ნეიტრალური პასპორტის ქონა აუცილებელი პირობა იყო იმისა, რომ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების მცხოვრებთ საქართველოს კლინიკებში უფასოდ ემკურნალათ. ახლა ეს მოთხოვნა აღარ არსებობს და ამიტომაც ნეიტრალურ დოკუმენტებზე მოთხოვნაც შემცირდა — განმარტავენ საქართველოს შესაბამისი უწყების მაღალჩინოსნები.

ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი მთავრობა ფაქტობრივად დაჟინებით აღარ ითხოვს, თბილისსა და სხვა რაიონებში სამკურნალოდ ჩამოსულებმა სანაცვლოდ ასეთი დოკუმენტები იქონიონ.

ეს არც ისე შორეულ წარსულში ხდებოდა — კარგა ხნის განმავლობაში, პასპორტებთან დაკავშირებული ვითარება თბილისსა და სოხუმს შორის გამაღიზიანებელ ფაქტორს წარმოადგენდა. აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება სიფრთხილეს იჩენდა — ამ რესპუბლიკის მცხოვრებთ, ასეთი დოკუმენტების დამკვიდრებით, უცხოეთში წასვლისას ხომ არ გაუჩნდებოდათ დამატებითი შეზღუდვა.

წინა ხელისუფლების მმართველობისას, ეს ნეიტრალური პასპორტები თერთმეტმა ქვეყანამ აღიარა, მათ შორის — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, იაპონიამ, ისრაელმა და ევროპის კიდევ შვიდმა სახელმწიფომ. მთავრობის შეცვლის შემდგომ ხუთ თვეში მხოლოდ ესტონეთი შეუერთდა მათ რიცხვს, ისიც ნოემბერში, ანუ არჩევნებიდან ერთ თვეში. რამდენიმე ქვეყანამ ამაზე საერთოდ უარი განაცხადა. სახელმწიფოთა ერთი ნაწილი ამ საკითხს მხოლოდ განიხილავს.

წინა მთავრობისთვის ეს იყო ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი და მის მოგვარებას ერთბაშად რამდენიმე უწყება ცდილობდა. ახალი ხელისუფლებისთვის კი, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, მაგრამ არა ცენტრალური — იგი სხვა საკითხებთან თანაბრად განიხილება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ უნდა მიეცეთ არჩევნის თავისუფლება, უნდა არსებობდეს ალტერნატივა. თუ მათ არ სურთ ქართული დოკუმენტების ქონა, საქართველომ სხვა რამ უნდა შესთავაზოს, ისეთი, რაც ნაკლებად გააღიზიანებთ.

ნეიტრალური დოკუმენტების მსურველთა შემცირება საქართველოში ხელისუფლების ცვლას დაემთხვა. იმავდროულად, გამკაცრდა აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი. არადა, თუ საქართველოს საჯარო რეესტრის რეგიონულ ოფისში არ მიხვალ, დოკუმენტსაც ვერ მიიღებ.

ჯერჯერობით გაურკვეველია, როგორია ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ. სავარაუდოდ, იგი სიხარულით მოიცილებდა სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობაში არსებულ ამ „კოჟრებს“. მეორე მხრივ, ახალ მთავრობას ერთბაშად უამრავი პრობლემის მოგვარება უწევს და მისი ძალისხმევა ყველაფერს ერთდროულად ვერ გასწვდა.

იმავდროულად, ეს მეტისმეტად საფრთხილო თემაა და ნებისმიერი მკვეთრი ნაბიჯი კრიტიკოსებსა და მოწინააღმდეგეებს აღშფოთების საბაბს მისცემს. თანაც, ნეიტრალური პასპორტების შესახებ დებულების უეცარი გაუქმება იმ სახელმწიფოების უარყოფი რეაქციას გამოიწვევს, რომლებმაც უკვე აღიარეს ეს პასპორტები. ბიძინა ივანიშვილის მთავრობას ამ პრობლემის მოგვარებაზე ფიქრი მოუწევს.

# ქართველები რუსეთში სასმელთან ერთად მისაყოლებელსაც გზავნიან



**მოსკოვმა თანხმობა განაცხადა და თბილისი ბოსტნეულს, ხილსა და თხილს გაგზავნის რუსეთში. ამ შეთანხმებას რუსეთში საქართველოს დელეგაციისა და Đî ññåë üõî çí àäçî ð-ის წარმომადგენლებს შორის გამართული შეხვედრის შედეგად მიაღწიეს. მას წინ უსწრებდა ინსპექტირების რთული პროცესი, რომლის დროსაც 35 ორგანიზაცია და ორი სახელმწიფო ლაბორატორია კიდევ ერთხელ შემოწმდა.**

საინტერესოა, რომ ქართველები მხოლოდ ღვინით არ შემოიფარგლნენ და განიზრახეს, რუსულ ბაზარს ალკოჰოლური სასმელების რანგში ქართული ლუდიც შესთავაზონ. ქართველ მეწარმეთა აზრით, საქართველოში წარმოებული ლუდის ზოგიერთ სახეობაზე რუსეთში მოთხოვნილება არსებობს, მაგრამ საამისოდ ლუდის ქართულმა ქარხნებმა ისეთივე პროცედურები უნდა გაიარონ, როგორიც ღვინის მწარმოებლებმა. ქართული ლუდის მწარმოებლები **Đî ññåë üõî çí àäçî ð**-ის ინსპექციის წარმომადგენლებს მაისში ელიან. ექსპერტთა უმეტესობა ქართული ლუდის რუსეთის ბაზარზე დამკვიდრებას სკეპტიკურად აფასებენ — ფასით ვერ დააინტერესებენ რუსებს, რადგან წინასწარი გათვლებით და ყველა ხარჯის გათვალისწინებით, იგი რუსულ სამამულო ლუდის ფასს უტოლდება.

სამაგიეროდ, სულ მალე რუსეთის დახლებზე გაჩნდება ქართული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. პირველ ეტაპზე გაიგზავნება ბოსტნეული და მწვანილი, ხოლო შემოდგომაზე — ხილი (ვაშლი, მსხალი, ატამი, თხილი, ჩაი და ციტრუსი). საქართველო სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტს ეწევა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, უკრაინაშიც, ბელარუსშიც და ყაზახეთშიც. თითოეულ ქვეყანას თავისი პრეტენზიები გააჩნია და ქართველი სპეციალისტების შეფასებით **Đî ññåë üõî çí àäçî ð**-ი რაიმე განსაკუთრებულს არ ითხოვს.

ამასთან, საქართველოში არსებობს ხელსაყრელი საგადასახადო სისტემა: დღგ, რომელიც 13 პროცენტს შეადგენს, საექსპორტო საქონელს ეხსნება და მეწარმე-ექსპორტიორებს მხოლოდ მოგების გადასახადის — 12 პროცენტის გადახდა მოუწევთ.

2006 წლისთვის, როცა რუსეთმა ქართული ღვინისა და მინერალური წყლის, აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის რუსულ ბაზარზე შეტანა აკრძალა, საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 870 მილიონ დოლარს შეადგენდა.

# ევროპას ძლიერი ეროვნული სახელმწიფოები გადაარჩენენ

## ევროზონაში ახალი წევრების მიღება მათთვის სასურველი არ არის

ევროკავშირს ციებ-ცხელება შეჰყრია და ამ „მიწისძვრის“ ეპიცენტრი ერთბაშად რამდენიმეა. ევროპას მხოლოდ ძლიერი ეროვნული სახელმწიფოები დაუბრუნებენ სტაბილურობას... მაგრამ ისინი მეტისმეტად ჩაფლული არიან საკუთარ პრობლემებში. იტალიის პრემიერმა წააგო არჩევნები, თუმცა მაინც რჩება ხელისუფლებაში. ყოველი მეოთხე ესპანელი უმუშევარია, მადრიდის სამეფო ოჯახი ირყევა, რადგან კორუფციაში ადანაშაულებენ. რეფორმების სასწრაფოდ გატარება მართებს საფრანგეთის მთავრობას, რომელმაც ამომრჩეველთა ნდობის მარაგი ამოწურა. ბელგია ოფიციალურად ბრალს უყენებს გერმანიას და მას დემპინგური ხელფასების გამო ადანაშაულებს.

პორტუგალიაში საკონსტიტუცო სასამართლო ამოწმებს, რამდენად მართლზომიერია ეკონომიისთვის დაწესებული ზომები, რომელიც თავს ევროპის „სამეულმა“ მოახვია. ნიდერლანდებშიც ვერ ახერხებენ საბიუჯეტო სახსრები ეფექტიანად და ეკონომიურად ხარჯონ. კვიპროსს კი საერთოდ აღარ სურს ევროზონაში ყოფნა. როგორც ამბობენ, ევროპა ყანყალებს და ეს რყევები ბევრგან შეიმჩნევა.

საგადასახადო და სავალუტო კრიზისის შემდგომ სამი წელი გავიდა და ევროკავშირში ჯერაც არ გამოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელიც მოქალაქეებს რეალურ პერსპექტივას შესთავაზებს, დაარწმუნებს მათ, რომ საერთო გულგატეხვას სულ მალე ბოლო მოეღება. ჯერჯერობით, ევროპელები საგონებელში არიან ჩავარდნილი: ამაო ხომ არ იყო კრიზისის სამსხვერპლოზე მიტანილი ზვარაკი? რამეთი აინაზღაურებენ მას?



თუ ევროპული ინსტიტუტების სისუსტეს გავითვალისწინებთ, ევროპას სტაბილურობასა და სიმშვიდეს ძლიერი ეროვნული სახელმწიფოები მოუტანენ. საფრანგეთს თავისი პრობლემებიც ჰყოფნის. პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს ჯერაც არ გააჩნია მკაფიო სამოქმედო გეგმა. გერმანიაში მორიგი საარჩევნო კამპანია იწყება. კრიზისი კი, მოგეხსენებათ, არავის დაელოდება. ამ კრიზისის მოგვარებაზე მსჯელობის გადატანა საშემოდგომოდ, როცა ბუნდესტაგის არჩევნები უნდა გაიმართოს, გაუმართლებელია.

ევროკავშირის წევრი-ქვეყნები ამ ზონიდან გასვლის გზებზე ფიქრობენ და იმავდროულად, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა ქვეყანა (მაგალითად, საქართველო) ამ ევროსტრუქტურისკენ მიისწრაფვის. ასეთ ვითარებაში, ახალი წევრების მიღებით, ევროკავშირიც არ არის მზად, ახალი თავის ტკივილი შეჰმატოს იმ პრობლემებს, რომლებიც ისედაც უხვად დაუგროვდა და შესაძლოა, საფრთხესაც უქმნიდეს მის პერსპექტივას. ამიტომაც გაურკვეველია, რატომ უჩენენ სხვა სახელმწიფოებს იმედს, რომ ისინიც გახდებიან ამ ევროზონის წევრები?

**მიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ**

# „კრაზანების ბუდის“ დამანგრეველი პრეზიდენტი, ანუ რა მოხდა სინამდვილეში 2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საოლქო სასამართლოში?

დღეს, როცა საქართველოს უზენაესი სასამართლო ასეთი თავგამოდებით იცავს პირდაპირ ნაციონალური მოძრაობის ინტერესების დამკანონებელ, არჩევნებამდელი პერიოდის პროკურატურის ყურმოჭრილ, მონა-მორჩილ სასამართლო სისტემას, პარალელურ რეჟიმში რატომღაც ასეთივე გულმოდგინებით არავინ იხსენებს 2004-2005 წლების ე.წ. სასამართლო რეფორმას, რომელმაც ძალიან ბევრი ობიექტური და კანონმორჩილი მოსამართლე დატოვა უმუშევარი, უფლებაშელახული და დაუცველი.



როგორ, რა ფორმით გამახორციელა ქვეყნის პირველმა პირმა საოლქო სასამართლოების დანგრევა-გაცამტვერება? როგორ მოხდა, რომ 10 წლიანი უფლებამოსილების ვადით დანიშნული მოსამართლეები გაუშვა თითქმის შვიდ წელზე ადრე და რა საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა დასახული მიზნის მისაღწევად? ამ ცვლილებებს ერთმა ყოფილმა მოსამართლემ პრეზიდენტის მიერ საკუთარი მოქალაქის ზურგში მუხანათურად ჩაცემული ხანჯალი უწოდა...

2005 წლის 31 ოქტომბერი თბილისის საოლქო სასამართლოს უფლებააყრილი, ყოფილი მოსამართლეებისათვის მათი პროფესიული საქმიანობის მანძილზე ყველაზე შემზარავი თარიღია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ დღეს მოხდა თბილისის საოლქო სასამართლოს ე.წ. ლიკვიდაცია. კიდევ უფრო უარესი ყოფილა, როცა ყოველივე ამას ულირსი, დამამცირებელი ფორმითა და მიუღებელი მეთოდებით განახორციელებ...

იმ დღეს მოსამართლეები, ჩვეულებრივ, დაკავებულნი იყვნენ სამოსამართლეო საქმიანობით, როდესაც თითოეულ გასათავისუფლებლად გამიზნულ მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მობილურ ტელეფონზე შემოუვიდა ზარი იმის შესახებ, რომ სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ გამოცხადებულიყვნენ იუსტიციის საბჭოში. მათი დაბარება პრაქტიკულად შეღამებულზე მოხდა. მოსამართლეთა რიგი იდგა ერთ ჩაბნელებულ დერეფანში. დერეფნის ბოლოს, ერთ, ასეთივე ჩაბნელებულ კაბინეტში იჯდა ოთარ სიჭინავა - იუსტიციის საბჭოს მაშინდელი ერთ-ერთი წევრი, რომელიც თითოეულ მოსამართლეს წინასწარ გამზადებულ განცხადებაზე ხელს აწერინებდა. განცხადებაში ეწერა, რომ უნდა მომხდარიყო, საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მოსამართლის რეზერვში აყვანა. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ აწერდა მოსამართლე ამ განცხადებას ხელს? ან, საერთოდ, რომ არ მოეწერა ხელი, რა მოხდებოდა? კი, იყო ასეთი მოსამართლეც, რომელმაც ხელი არ მოაწერა ამ განცხადებას, მაგრამ შემდეგ, დისციპლინური წესით გამოუქექეს რაღაც და რეზერვში ჩარიცხვას ვიღა ჩიოდა, საერთოდ გაათავისუფლეს.

მოსამართლე აწერდა რა ხელს ამ განცხადებას, მისთვის ცნობილი იყო, რომ განხორციელდა საოლქოს სასამართლოს ლიკვიდაცია, რაც ნიშნავს სასამართლოს კვდომას, უკვე არარსებობას. აღნიშნულის გამო, იგი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან და წინასწარი წერილობითი თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ირიცხება რეზერვში მისის სამოსამართლეო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე. ამასთან, მოსამართლე, რომელიც გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან ზემოხსენებულ გარემოებათა გამო, არ ამორიცხულა რეზერვიდან, მისი სამოსამართლეო უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე იღებს თანამდებობრივ სარგოს კანონმდებლობით განსაზღვრული ოდენობით.... და ეს ოდენობა არის სრული ხელფასი. ასევე, მას წინასწარი წერილობითი თანხმობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება ნებისმიერ დროს დაეკისროს სხვა სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

სწორედ ამ კანონიერი მოტივაციით, უფრო სწორად კანონისადმი გულუბრყვილო მინდობით მოაწერა ყველა მოსამართლემ ხელი განცხადებას რეზერვში ჩარიცხვის შესახებ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მიიღებდნენ მონაწილეობას გამოცხადებულ კონკურსებში (ის ფუნქციები, რასაც თბილისის საოლქო სასამართლო ახორციელებდა ხომ უნდა განხორციელებულიყო ინსტანციური სასამართლო სისტემის მიერ) და კვლავ გააგრძელებდნენ სამოსამართლეო საქმიანობას, ყოველ შემთხვევაში, სამოსამართლეო უფლებამოსილების ვადის ფარგლებში მაინც.

მეორე დღეს სამსახურში მისულმა მოსამართლეებმა გაიგეს, რომ არ მომხდარა საოლქო სასამართლოს მთლიანი ლიკვიდაცია. რეალურად გაუქმდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლო კოლეგიები, ხოლო სააპელაციო ინსტანცია არ გაუქმებულა. შესაბამისად, არ მოხდა არც ყველა მოსამართლის გათავისუფლება, თქვენ წარმოიდგინეთ, არც პირველი ინსტანციის კოლეგიიდან. ამასთან, სააპელაციო პალატის მოსამართლეთა უმრავლესობაც აყვანილ იქნა რეზერვში, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ გაუქმებულა სააპელაციო ინსტანცია. თბილისის საოლქო სასამართლო გარდაიქმნა თბილისის სააპელაციო სასამართლოდ. შესაბამისად, ასე მოხდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს შემთხვევაშიც. აქედან გამომდინარე, არ მომხდარა ამ სასამართლოების ლიკვიდაცია. მოხდა რეორგანიზაცია. ყველა კანონის ენაზე რეორგანიზაცია ნიშნავს გარდაქმნას, შერწყმას, მიერთებას, შემცირებას და არა კვდომასა და სრულ გაუქმებას.

მოკლედ, არც ისე ძნელი ყოფილა, მოიფიქრო უკანონობაზე დაფუძნებული მუხანათური გეგმა და მოიშორო სამართლებრივი სივრციდან შენთვის არასასურველი ადამიანები, მითუმეტეს, როცა ქვეყნის პირველი პირი ხარ და გეხერხება კანონებით ფეხბურთის თამაში. ამგვარი მუხანათობის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენა კიდეც მიხეილ სააკაშვილმა, როდესაც რეალურად რეორგანიზებული საოლქო სასამართლო გამოაცხადა ლიკვიდირებულად. წლების განმავლობაში საოლქო სასამართლოში არსებობდა მრავალი ვაკანსია, სადაც თითქმის არცერთი რეზერვში ჩარიცხული მოსამართლე არ დანიშნულა, გასაგები მიზეზის გამო.

**მთვარისა კევლიშვილი - თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე:** ჩვენ შერჩეულები ვიყავით თავის დროზე თავად მიხეილ სააკაშვილის მიერ. მე, პირადად, ბოლომდე ვერ ვიჯერებდი იმას, რაც მოხდა. მეგონა, რაღაც გაუგებრობას ჰქონდა ადგილი და დროთა განმავლობაში ყველაფერი დალაგდებოდა. არაფერი შეიცვალა და არაფერი გამოსწორდა. სამი წლის შვილით დამტოვეს უმუშევარი. საშინელებაა, როცა უსამართლოდ გექცევიან. საშინელებაა, როცა ასე უღმერთოდ მოგწყვეტენ საყვარელ საქმეს, რომელიც მთელ ცხოვრებად გიღირს და რომლის მისაღწევად დიდი ჭაპან-წყვეტით, შრომითა და მხოლოდ შენი თავდაუზოგავი მცდელობით მიაღწიე. მას შემდეგ, რაც ჩვენს მიმართ, ასეთი უსამართლობა განახორციელეს, გამიჩნდა ძალიან ცუდი გრძნობა. თავი უსარგებლო და არაფრისმაქნის ნივთად ვიგრძენი. ფაქტიურად, სახელმწიფომ უარი მითხრა ჩემს შინაგან პროფესიულ პოტენციალზე, რომელიც მას არ სჭირდებოდა.ხშირად ვუსვამდი ჩემს თავს ასეთ შეკითხვას: უნდა მიყვარდეს თუ არა ქვეყანა, რომელსაც მე არ ვუყვარვარ?... ახლა საჯაროდ მინდა მოვიხადო ბოდიში ამგვარი ფიქრებისათვის. საბედნიეროდ, ჩემი სამშობლო სააკაშვილითა და მისი გუნდით არც იწყება და არც მთავრდება!

**ნაზი დოთიაშვილი - თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე:** იმხელა სიძულვილი გადმოინთხა ქვეყნის პირველი პირისაგან ჩვენი მისამართით, რომ მართლა გაოცებულები დავრჩით. როგორ შეიძლება, ასე გძულდეს საკუთარი მოქალაქეები? არასოდეს დამავიწყდება ის საშინელი, ჩაბნელებული დერეფანი... პირდაპირ სატანისტური რიტუალი მოგვიწყეს... სამართლებრივად, როგორც იურისტები, უქმად არ ვყოფილვართ. დღეისათვის ჩვენი სარჩელები სტრასბურგის სასამართლოს წარმოებაში აქვს მიღებული და განხილვის მოლოდინში ვიმყოფებით...



**მარინა გლოველი - თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე:** წარმატებით ჩავაბარეთ გამოცდები. სააკაშვილმა დიდი ზარ-ზეიმით მიგვიღო. მისთვის სამაგალითო მოსამართლეები ვიყავით. მაგრამ, როცა ჩვენი გადაწყვეტილებების შინაარსის გათვალისწინებით მიუღებლები აღმოვჩნდით მისთვის, მოგვიშორა კიდეც. ჩვენთვის იმ პერიოდში გაურკვეველი იყო, რატომ გაგვათავისუფლეს. თუმცა დღეს უკვე ყველაფერი გარკვეულია. ვიდრე საზოგადოებისათვის ნათელი არ გახდა, რა იყო ამ რეფორმის ნამდვილი მიზანი, თავს საშინლად შეურაცხყოფილად ვგრძნობდით და გვიჭირდა ადამიანებისათვის თვალებში შეხედვა. რეზერვში მყოფ მოსამართლეებს აგვიკრძალეს ანაზღაურებადი საქმიანობა უფლებამოსილების ვადაში. ფაქტიურად, წაგვართვეს შრომის უფლება.

**მარინა ჯიყაშვილი - თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე:**

რა მოხდა 2005 წელს თბილისის საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციის გამოცხადებით? ამ კითხვას ხშირად ვუსვამდი არა მხოლოდ ჩემს თავს. მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც აქტიური შემოქმედი იყო ამ სასამართლოსი, ხომ კარგად იცოდა, როგორი იყო ამ სასამართლოს თითოეული მოსამართლე, ხომ დარწმუნებული იყო, რომ რეალურად ისინი არ იყვნენ კორუმპირებულები, მაშ რას ემსახურებოდა ეს ლიკვიდაცია? პასუხი ამ კითხვას წლების შემდეგ გავეცი, მხოლოდ მას შემდეგ, როცა უკვე გამოიკვეთა ხელისუფლებაში აღმოჩენილი ძალის მიზნები. პასუხი საშინელი და გულისგასახეთქი აღმოჩნდა: საქართველომ შეიცვალა სახელმწიფოებრივი ორიენტაცია - დემოკრატიული განვითარების მიმართულებით დაწყებული სვლა, რომლის ერთ-ერთი პირველი და წარმატებული 1999-2005 წლის სასამართლო რეფორმა იყო, შეიცვალა დიქტატურით. დიქტატურას კი ნამდვილად არ სჭირდება ის ხელისუფლება, რომელიც მის მოქმედებას რაღაც დოზით მაინც შეაფერხებს. ამიტომ სასამართლო ხელისუფლებას დიქტატურამ ფორმალური სახე შესძინა. ყველაზე მეტად მე მტკივა ეს სიმახინჯე, მე ჩემს კოლეგებთან ერთად ვაშენებდი ერთ პატარა ფანჯარას ქვეყანაში, სადაც სამართილანობისა და კანონიერების სხივი შეიძლებოდა შემოსულიყო. ჩვენ კრაზანები კი არა, ბატონო მიხეილ სააკაშვილო, მერცხლები უნდა გვიწოდოს მადლიერმა და გონიერმა ადამიანმა, რადგან ჩვენი გადაწყვეტილებებით, რომელსაც არ შემრცხვება რომ ვთქვა, საქართველოს სახელით გამართული სინდისითა და სიამაყით ვაცხადებდი, მერცხლებივით დაუზარელად ვაშენებდით სამართლიანი და კანონიერი მართლმსაჯულების სასახლეს, დღეს კი თქვენი წყალობით ის ნაციონალური მოძრაობის დუქანს დაემსგავსა, დუქანს, სადაც პროკურორი, ადვოკატი და მოსამართლე გარიგებებს დებენ, სადაც ადამიანების თავისუფლება და ზოგჯერ სიცოცხლეც კი უზომოდ დიდ ფულზე, ძვირფას მანქანებზე, უძრავ ქონებებზე და ბიზნეს წილებზე იცვლება და ეს ყველაფერი დიქტატორის უახლოეს გარემოცვაში მოქცეულ პირთა ქონებებს ემატება.

**ლალი ჯანუყაშვილი - თბილისის საოლქო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე:** 2005 წლის 31 ოქტომბერს, როდესაც სამუშაო დღე დამთავრდა, იუსტიციის საბჭოდან გვაცნობეს, რომ გამოვცხადებულიყავით საბჭოში. თბილისის საოლქო სასამართლოს თითქმის ყველა მოსამართლე იქ ვიყავით. რაღაცა ლაბირინთებით შევედი ნახევრად ბნელ ოთახში და იუსტიციის საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დამიდო ნაბეჭდი განცხადება, რომლის მიხედვითაც მე ვითხოვდი რეზერვში გადასვლას.

გავიკვირვე და მოვითხოვე პასუხი, აეხსნა, რას ნიშნავდა ეს. მან მიპასუხა, რომ მომეწერა ხელი, თორემ შემექმნებოდა პრობლემები... ამ ქმედების დამკვეთებმა და შემსრულებლებმა თავიანთ თავზე უნდა გამოსცადონ ის, რაც ჩვენ დაგვატეხეს თავს უსამართლოდ და უსაფუძვლოდ. ასეთი ფაქტი კი უამრავი იყო იმ პერიოდში არა მარტო თბილისის საოლქო სასამართლოში, არამედ, მთლიანად საქართველოს მასშტაბით. ამიტომ საზოგადოების ძირითადი მესიჯი არის სამართლიანობის აღდგენა.

მაგრამ აქ არ დამთავრებულა მიხეილ სააკაშვილის მუხანათობა საძულველ მოსამართლეთა მიმართ. მან საკანონმდებლო ცვლილებებით კიდევ უფრო დაამძიმა პროფესიულ საქმიანობას მოწყვეტილ მოსამართლეთა ყოფითი მდგომარეობა.

მოხდა რა ე. წ. ლიკვიდაციის შემდეგ მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვა, კანონის მიედვით, ისინი კვლავ ითვლებოდნენ თანამდებობის პირებად - მოსამართლეებად და, შესაბამისად, მათ მიმართ უნდა განხორციელებულიყო ლიკვიდაციის დროს მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 541 მუხლის მოთხოვნები და არა შემდეგ, 2005 წლის 23 დეკემბერს მიღებული კანონი „საქართველოს მოსამართლეთა შრომითი ანაზღაურების შესახებ“, რომლითაც, მოქმედი მოსამართლეებისგან განსხვავებით, რეზერვში მყოფ მოსამართლეს დაენიშნა ხელფასი 500 ლარის ლარის ოდენობით.




დავაკონკრეტებ: კანონი „ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომითი ანაზღაურების შესახებ“ მიღებული იქნა 2005 წლის 23 დეკემბერს, თბილისის საოლქო სასამართლოს ლიკვიდაციიდან და, შესაბამისად, მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხვიდან თითქმის ორი თვის შემდეგ. ყოფილ მოსამართლეთა განცხადებით, ამ კანონის მიღებით უხეშად იქნა დარღვეული ევროპული კონვენციის მე-17 მუხლის მოთხოვნა. კერძოდ, ამ კანონის მიღებით საქართველოს სახელმწიფომ, ბოროტად გამოიყენა რა კანონის მიღების უფლება, ორგანული კანონის „ საერთო სასამართლოების შესახებ“ 541 მუხლის მოთხოვნათა იგნორირებით, შეასრულა მიზანმიმართული ქმედება რეზერვში მყოფი მოსამართლეების ეკონომიური მდგომარეობის გასაუარესებლად.

როგორც უკვე აღვნიშნე, რეზერვში მყოფი მოსამართლეეები, კანონის მიხედვით, ითვლებოდნენ თანამდებობის პირებად, რის გამოც უფლებამოსილების ვადის დამთავრებამდე მათ აეკრძალათ ანაზღაურებადი საქმიანობა / გარდა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისა/ და, ბუნებრივია, დღევანდელ სინამდვილეში 500 ლარით / მინუს- საშემოსავლო დაქვითვა. რეალურად ღებულობდნენ 400 ლარს/ იმ ოჯახების რჩენა, სადაც არასრულწლოვანი და მცირეწლოვანი შვილები ეზრდებოდათ, იყო ძალიან რთული. ფაქტიურად სახელმწიფომ კანონის მიღების უფლების ბოროტად გამოყენებით რეზერვში მყოფ მოსამართლეებს მოუსპო მათი უფლებების დაცვის ერთადერთი გარანტი - ორგანული კანონის „ საერთო სასამართლოების შესახებ“ 541 მუხლით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რეზერვში მყოფი მოსამართლეების სახელფასო დავალიანების ანაზღაურება უნდა მომხდარიყო „ საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით, ანუ რეზერვში მყოფ მოსამართლეს უნდა მიეღო სამოსამართლეო უფლებამოსილების განმავლობაში იგივე რაოდენოობის ხელფასი, რასაც ღებულობდა მოქმედი მოსამართლე.

მაგრამ, როგორც ჩანს, კანონი კანონად რჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე. „სახელმწიფო ეს მე ვარ!“-ის პრინციპით მიხეილ სააკაშვილი თავისი სურვილებისა და ზრახვების მიხედვით ქმნიდა და თხზავდა ახალ, უკანონო კანონებს... და არა მარტო სასამართლოებთან მიმართებაში!..

სააკაშვილის რისხვა მარტო მოსამართლეებს როდი დაატყდა. უამრავი თანაშემწე, სხდომის მდივანი და ტექნიკური თანამშრომელი დარჩა უმუშევარი. არავინ კითხულობდა, რა მდგომარეობაში აგდებდნენ მათ ოჯახებს, მათ შვილებს.

**ნანული ჩოხელი - თბილისის საოლქო სასამართლოს კანცელარიის ყოფილი თანამშრომელი:** დეკრეტულ შვებულებაში ვიმყოფებოდი. ტყუპი გოგონები გავაჩინე. გავლილი მქონდა არაერთი კონკურსი, ჩაბარებული - მრავალი გამოცდა. როდესაც მოვითხოვე სამსახურში დაბრუნება, თბილისის საოლქო სასამართლოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზაზა მეიშვილმა პირდაპირ მითხრა მიზეზი, რის გამოც ვერ დამაბრუნებდა სამსახურში: მისი განცხადებით, მე, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ვერ შევძლებდი მუშაობას... ანუ შვილები გახდა ჩემი უმუშევრობის მიზეზი...

ის, რაც დაანგრია მიხეილ სააკაშვილმა, იყო არა „ კრაზანების ბუდე“ არამედ, ადამიანთა ცხოვრება, პროფესიონალთა პოტენციალი, მათი სულები და რწმენა...და დღეს, რაც არ უნდა მოხდეს, აღარ გაცოცხლდება ნიჭიერი იურისტი იური გაბისონია, რომელიც დიდი დანაკლისია ქართული იურიდიული სამყაროსთვის. ამ თავმოყვარე ადამიანმა ვერ გადაიტანა ღირსების შელახვა და გული გაუსკდა...ღირსებისა, რომელიც ასეთი უცხო მცნებაა ჩვენი ვადაგასული პრეზიდენისათვის.

**ნაზი ხარჩილავა**

ხალხის ფსიქიკა ისეა გადაგვარებული, რომ ადამიანთა უმრავლესობას ჰგონია, თუ ძველი მთავრობა „გადააგდეს“, ახალი მთავრობა მხსნელად, მესიად მოევლინება. ეს ფუნდამენტურად მცდარი აზრია. როგორც ისტორია ადასტურებს, ხალხისთვის ჯერ არც ერთი მთავრობა არ შექმნილა, ისინი მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის ზრუნავენ. ეს ვაჟბატონები ინიშნავენ უდიდეს ხელფასებს, პრემიებს, ფლობენ დიდ სიმდიდრეს, ასიათასებსა და მილიონებზე ისე საუბრობენ, როგორც ას ლარზე და ამ ასი ან ორასი ლარით „კვებავენ“ ხალხს. ამიტომ ადამიანთა უმეტესობა სიღარიბის ზღვარს მიღმაა და შიმშილით განადგურება ემუქრება. **(ის ფაქტი, რომ საქართველო ევროპაში პირველ ადგილზეა ბავშვთა სიკვდილიანობის მიხედვით, ათასობით ბავშვი რომ შიმშილობს, ჩვენი მთავრობის უსუსურობის, გულგრილობის და ქვეყნის დაცემის მაჩვენებელია).** განა შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის ხელფასი 5000 ლარი იყოს, ხოლო პროფესორი პენსიონერი სულს ღაფავდეს გაჭირვების გამო? განა შეიძლება, პენსია არ ინიშნებოდეს სტაჟისა და დამსახურების მიხედვით? განა შეიძლება, პროფესორსა და აკადემიკოსს პენსია 150 ლარი ჰქონდეს? ყოველივე ეს „ბრმა პლუტოსობაა“ და სხვა არაფერი, ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა სიმდიდრის ღმერთი პლუტოსი ბრმად გამოსახეს, რადგან იგი სიმდიდრეს უსამართლოდ ანაწილებდა. იგივე ხდება დღესაც – XXI საუკუნეშიც და ყოველივე, რაც ხდება, ჩვენი საუკუნის სირცხვილია!



# „წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის, კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!“

გამოდის, რომ უძველესი დროიდან დღემდე, ადამიანის აზროვნებას, მორალს წინსვლა არ შეხებია. ადამიანი დარჩა დაუცველი, უფლებააყრილი სიცოცხლისთვის და ბედნიერებისთვის. მთავრობის ლოზუნგი, ყველაფერი ადამიანის ბედნიერებისთვის კეთდებაო, მხოლოდ ფარსი და ცინიზმია. სოციალური უთანასწორობა ისევ სახეზეა, როგორც ეს წინა საუკუნეებში იყო, მაგრამ ასეთი ჩაგვრა მასებისა, როგორც ახლაა, ისტორიას ძნელად მოეპოვება. ესაა თანამედროვე ეპოქის კულტურულ-კანონიერი ჩაგვრა, ექსპლუატაცია, განმტკიცებული კონსტიტუციით. აბა, თუ წერია კონსტიტუციაში რაიმე ხელფასების შესახებ? არა! მთავრობა თავის ხელს ხომ არ მოიკვეთავს; რომელი ჩინოვნიკი იტყვის უარს სიმდიდრეზეროგორი მთავრობა გსურსო, – მკითხავს, ალბათ, ცნობისმოყვარე ადამიანი. მე მსურს ისეთი მთავრობა, რომელიც ისე იცხოვრებს, როგორც ჩვეულებრივი, პატიოსანი ადამიანები ცხოვრობენ, როცა ჩინოვნიკები ავტობუსით ივლიან, სკანდინავიის ქვეყნების მსგავსად, როცა მთავრობის წევრები, პარლამენტარები ჩამოიჭრიან უდიდეს ხელფასებს და პენსიებს გაზრდიან. მართალია, მთავრობას უდავოდ მძიმე შრომა აქვს, მარტო ის რად ღირს, რასაც ჩინოვნიკები ლაპარაკობენ ერთმანეთს ეჯიბრებიან ლანძღვა-გინებაში. ყველაფერი ეს ძვირად უნდა შეფასდეს, მაგრამ არა იმ ოდენობით, რასაც ისინი იღებენ ხელფას-პრემიების სახით **(განა შეიძლება ამ სილატაკის ჟამს მინისტრებს გაუორმაგდეს ისედაც უდიდესი ხელფასები? ეს ხომ ხალხის სულში ჩაფურთხებაა).** ჩემი აზრით, მათი ხელფასი 1500 ლარს არ უნდა აღემატებოდეს (ეს პროფესორის პენსიაზე 10-ჯერ მეტი იქნება). მაგრამ ეს ჩემი სურვილია მხოლოდ. „განა შეიძლება ვეფხვს უთხრა, ლმობიერი იყავიო?“, – როგორც ამას სომერსეტ მოემი ამბობს. მიუხედავად გამეფებული უსამართლობისა, ფარ-ხმალი არ უნდა დავყაროთ და ვეცადოთ ჩვენი სურვილების განხორციელება, თუმცა ეს რთული შესაცვლელია. ადამიანი უნდა დაიბადოს ჯანსაღი ფსიქიკით და გახდეს ჰომო-ფსიქოსანუსი, მაშინ დაძლევს იგი მეშჩანურ-ობივატელურ ტენდენციებს და იბრძოლებს სამართლიანობის დასამკვიდრებლად. მაგრამ ასეთი ხელმძღვანელები ჯერ არ სჩანან, როგორც მუხრან მაჭავარიანი ამბობს:

„წუთისოფელი ამნაირად იმიტომ მიდის,
კაი ხანია, კაცი არ ჩანს ნამდვილად დიდი!“

იქნებ გამოჩნდნენ დიდი ადამიანებიც ჩვენს პოლიტიკურ ელიტაში.

**პროფესორი მამია მდინარაძე**
**ტელ.: 2 64 13 20, 597 82 11 02**

# ღია წერილი

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ბატონო ბიძინა!

მეოცე საუკუნის დაწყებიდან მეშვიდე წელს (1907 წლის 2 აგვისტო) მოკლეს ილია ჭავჭავაძე. მეოცე საუკუნის დამთავრებამდე შვიდი წლით ადრე (1993 წლის 31 დეკემბერი) მოკლეს ზვიად გამსახურდია“ ოცდამეერთე საუკუნის დაწყებიდან მეშვიდე წელს (2007 წლის 20 მაისი) მოკლეს გურამ შარაძე. თუ რა მოხდება 21-ე საუკუნის დასასრულს. შვიდი წლით ადრე ეს მხოლოდ უფალმა უწყის. რა არის ეს? შვიდიანი ხომ ქართველებისთვის საკრალური ციფრია(!)? ამ სამიდან ჯერჯერობით მხოლოდ ილიაა წმინდანად შერაცხული. ალბათ, შორს არ არის ის დღეც, როცა ქართული ეკლესია ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასთან ერთად და გურამ შარაძეს წმინდანად შერაცხავს. მათ ხომ თავისი მუხლჩაუხრელი შრომით ყველაფერი გააკეთეს მართლმადიდებლობის, საქართველოსა და ქართველი ერის სადიდებლად დიდი შრომა გასწიეს. მათი ვინაობა ხომ ყველა ჭეშმარიტი ქართველისათვის დღესავით ნათელია. არ დავიწყებ მათ შესახებ ბევრ ლაპარაკს. თითოეულ მათგანზეა ნათქვამი: „საქმემან შენმა წარმოგაჩინოს“!

ბატონო ბიძინა, ვიცი რა თქვენი მამულიშვილური დამოკიდებულება ყოველგვარი მართლმადიდებლურისა და ჭეშმარიტი ქართულისადმი, იქ, სადაც ნაცისტმა გარეწრებმა გურამ შარაძე დახვრიტეს (მელიქიშვილის ქუჩაზე, № 16 სახლთან) გამოიჩენთ გულისხმიერებას და დაავალებთ შესაბამის სამსახურებს, რათა დახვრეტის დღისათვის (20 მაისი) გააკეთონ მემორიალური დაფა. აგრეთვე დაჩქარდეს საქმის გამოძიება, რათა, რაც შეიძლება მალე გაიგოს ხალხმა ამ მკვლელობის დამკვეთებისა და ნამდვილი შემსრულებლების ვინაობა.

გფარავდეთ მამაზეციერი და დედა ღვთისმშობელი, სრულიად საქართველოსთან ერთად!

წინასწარ გიხდით მადლობას.

**პატივისცემით და კეთილი სურვილებით**
**ანზორ დანელია**

# რამდენად უსაფრთხოა შაქრის შემცვლელები

დიაბეტიანებს ექიმები ურჩევენ, შეზღუდონ ან საერთოდ უარი თქვან შაქრის მიღებაზე. ბევრისთვის ძნელი და ზოგჯერ შეუძლებელიც კი არის ტკბილზე უარის თქმა, სწორედ ასეთი ადამიანებისთვის გამოიგონეს შაქრის შემცვლელები.

შაქრის შემცვლელები შესაძლოა იყოს ბუნებრივი და ხელოვნური.

## ბუნებრივი შაქრის შემცვლელები

ბუნებრივ შაქრის შემცვლელებს, რომლებსაც ხშირად საკვებ დამატკბობლებსაც უწოდებენ, შეიცავს ზოგიერთი მცენარე, ხილი, კენკრა, ბოსტნეული; მათ მიეკუთვნება ფრუქტოზა, ქსილიტი, სორბიტი, მალტიტი, იზომატი.

ბუნებრივი შაქრის შემცვლელები სისხლში შაქრის დონეს გაცილებით ნაკლები ხარისხით ზრდის, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი. ამასთან, მათ ათვისებას არ სჭირდება ინსულინი.

## გაითვალისწინეთ:

– როდესაც დიაბეტი არაკომპენსირებულია და სისხლში შაქრის დონე მაღალია, არ შეიძლება სორბიტის მიღება.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ პაციენტებს, რომლებიც რეგულარულად იყენებდნენ სორბიტს, ადრეულად უვითარდებათ პოლინეიროპათიები, ასე რომ, სორბიტისა და ქსილიტის მიღება მხოლოდ მაშინნარის დაშვებული, როდესაც დიაბეტი კომპენსირებულია.

– სორბიტი დიდი დოზებით (ერთჯერადად 30 გრამზე მეტი) იწვევს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობას.

– ბუნებრივ შაქრის შემცვლელებში არის კალორიები (1გ=4კკალ), ამიტომ დღე-ღამეში მხოლოდ 30 გრამის მიღებაა დაშვებული.

– დიაბეტიანებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყოველი პროდუქტის შეძენისას აუცილებელია, ეტიკეტის მეშვეობით შეამოწმონ, ხომ არ აღემატება პროდუქტში გამოყენებული საკვები დამატკბობლები დაშვებულ დონეს (30 გრამზე მეტი).

## ხელოვნური შაქრის შემცვლელები

ხელოვნური შაქრის შემცვლელი ბევრია, მათ მეორენაირად ინტენსიურ დამატკბობელებსაც უწოდებენ. ესენია: ასპარტამი, ციკლამატი, საქარინი, სუკრალოზი, სტევია.

ხელოვნური შაქრის, შემცვლელები ბუნებრივი შაქრის შემცვლელებისგან განსხვავებით, სისხლში შაქრის დონეს არ ზრდის, შესაბამისად, მათი გამოყენება შეიძლება არაკომპენსირებული დიაბეტის დროსაც. გარდა ამისა, ისინი არ შეიცავს კალორიებს და ჭარბ წონასთან ბრძოლაშიც გამოსადეგია.



დასახელება „ინტენსიური“ იმაზე მიუთითებს, რომ შაქარზე ბევრად უფრო ტკბილია და სწორედ ამიტომ გამოიყენება ძალზედ მცირე დოზებით.

ინტენსიური დამატკბობლის სახე ყოველთვის მითითებულია პროდუქტის ეტიკეტზე.

ყველაზე გავრცელებული ინტენსიური დამატკბობლებია:

ასპარტამი – **E 951**, კომერციული დასახელებებია სვიტლი, სლასტილინი, სუკრაზიდი, ნუტრისვიტი. 200-ჯერ ტკბილია შაქარზე. რეკომენდებული არ არის ფენილკეტონურიით (თანდაყოლილი დაავადება, რომელიც ნივთიერებათა ცვლის მოშლას გულისხმობს და მემკვიდრეობით გადაეცემა) დაავადებულთათვის.

ციკლამატი – **E 952** (ცუკლი), არარეკომენდებულია 1,5-დან 4-წლამდე ბავშვებისათვის დღეში სამ ულუფაზე მეტი სასმელი ან ფაფა, რომლებიც მას შეიცავს;

საქარინი – **E 954**, დაშვებულია ბევრ ქვეყანაში, თუმცა მისი გამოყენება მაშინ, როდესაც ადამიანს დიაბეტი არ აქვს, სასურველი არ არის.

ასევე არ შეიძლება მისი გამოყენება ბავშვებისთვის და მათთვის, ვისაც თირკმლის ან ღვიძლის პათოლოგია აქვს.

კალიუმის აცესულფატი – **E 950**, შაქარზე 200-ჯერ ტკბილია, არ არის რეკომენდებული იმ დაავადებების დროს, რომელთა მიმდინარეობისას კალიუმის მიღებაა შეზღუდული;

## გაითვალისწინეთ:

– ციკლამატი ჩვეულებრივ შაქარზე 30-ჯერ, საქარინი კი 300-ჯერ უფრო ტკბილია, თუმცა ხელოვნური ნიშნავს ქიმიურს, ნებისმიერი ქიმია კი დიდი დოზებით ტოქსიკურია. ამიტომ ხელოვნური შაქრის შემცვლელების მიღება შეიძლება მხოლოდ ასეთი სქემით – 2,5 მგ სხეულის 1 კგ-ზე.

– არარეკომენდებულია ორსულებისა და მეძუძური დედებისთვის;

– ნებისმიერი მათგანი ვერ უძლებს თერმულ დამუშავებას და მწარე ხდება.

– ნებისმიერი მათგანი უნდა მიიღოთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით, რადგანაც ისინი მხოლოდ კვებითი დანამატები არ არის;

– შაქრის ყველა შემცვლელს ახასიათებს ძლიერი ნაღვლმდენი ეფექტი, ამიტომ სანაღვლე გზების დაავადების მქონეებთ, შესაძლოა დაავადება გაუმწვავდეთ.

– შაქრის შემცვლელებს არ შეუძლია სისხლში შაქრის დონის დაქვეითება და არც დიაბეტის სამკურნალო წამლებია.

– წესად გაიხადეთ და პროდუქტის შეძენისას მის ეტიკეტზე მითითებულ ინფორმაცის გაეცანით;

– ადამიანის მოთხოვნილება შაქრრის მიმართ ინდივიდუალურია, ამიტომ შაქრის შემცვლელის არჩევისას დიდი დაფიქრება გვმართებს.

# ჩვენი სხეულის არომატები, ანუ ერთი შესუნთქვით შეყვარება

ფერომონები – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებია, რომლებსაც ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმის სპეციალური უჯრედები და ენდოკრინული ჯირკვლები გამოიმუშავებს. მათ შედარებით მცირე მოლეკულური მასა გააჩნია და მაღალ აქტიურობას ამჟღავნებს ჰაერში ყველაზე დაბალი კონცენტრაციით მოხვედრისასაც კი.

ქიმიური შედგენილობის მიხედვით, არსებობს ფერომონთა საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფი. ცნობილია შიშისა და განგაშის, სქესობრივი სიმწიფის, ქცევის, სიხარულის, სიყვარულისა და ვნების ფერომონები; ყველა მათგანი მფრინავი არომატია, ადვილად გამოიყოფა ჰაერში და სწრაფადვე იშლება.

## იაკობსის ორგანო

ფერომონების მოქმედება მთლიანად ადამიანის ვომერონაზალურ ორგანოზეა დამოკიდებული. იგი პირველად მე-18 საუკუნის დასაწყისში ჰოლანდიელმა ექიმმა იაკობსმა ცხვირში დაჭრილი ჯარისკაცის მკურნალობისას აღმოაჩინა. მანამდე ფიქრობდნენ, რომ ვომერონაზალური ორგანო მხოლოდ ემბრიონს ჰქონდა და დაბადებისთანავე ქრებოდა.

300 წლის შემდეგ, სულ რამდენიმე წლის წინათ კი, ამერიკელმა ფიზიოლოგებმა ეს ორგანო ხელახლა აღმოაჩინეს. იგი ყველას აქვს, ეს არის თითოეულ ნესტოში მოთავსებული პატარა, 1 მმ დიამეტრის ჩაღრმავება, რომელიც ორი ასანთის ჩხირის ზომის მილში გრძელდება, ჩაღრმავებაცა და მილის კედლებიც მთლიანად დაფარულია რეცეპტორებით, რომლებიც სიგნალს ყნოსვის ცენტრის გვერდის ავლით, პირდაპირ თავის ტვინს უგზავნის.



სწორედ იაკობსის ორგანოს დამსახურებაა, რომ ფერომონები ასე მოქმედებს ადამიანზე და ბოლომდე გაუცნობიერებელ ემოციებს იწვევს, მათ შორის – სექსუალურსაც.

იაკობსის ორგანო სპეციფიკურად არის აწყობილი ფერომონებზე და შეუძლია ჰაერში ამ ნივთიერების მილიგრამის მემილიარდე ნაწილიც კი ამოიცნოს.

დღეისთვის ადამიანის 30-მდე ფერომონია ამოცნობილი. მათი უმრავლესობა ცხვირის ნესტოების კანში, კისრის, შორისისა და საზარდულის არეში გამოიყოფა.

ამოცნობილია ის ფერომონებიც, რომლებიც გარკვეულ ურთიერთობებს იწვევს ახლო ნათესავებში, მაგალითად დის, დედის ფერომონები მამაკაცში თრგუნავს სექსუალურ აქტივობას. არსებობს მეძუძური დედის ფერომონი, რომელსაც ახალშობილი ყველაზე უკეთ განსაზღვრავს და პატარა არსება ხვდება, სად წევს დედიკო.

ცნობილია ბიოლოგიურად აქტიური ისეთი ფერომონები, რომლებიც ამშვიდებს ადამიანს, უქვეითებს არტერიულ წნევას და უმცირებს გულისცემას.

## სასქესო ფერომონები – ატრაქტანტები

მეცნიერთათვის განსაკუთრებით საინტერესოა სასქესო ფერომონები – ატრაქტანტები: ანდროსტენორი და კოპულინი.

ანდროსტენორი მამაკაცის საოფლე ჯირკვალში წარმოიქმნება, კოპულინი კი ქალის ვაგინალური ჯირკვლების სეკრეტია. სწორედ ეს ორი ფერომონია, რომლებიც ადამიანებს საპირისპირო სქესის ყურადღების მიპყრობაში ეხმარებიან.

მამაკაცთა 10 პროცენტი ოფლთან ერთად გამოყოფს განსაკუთრებულ ფერომონებს, რომლებიც მათ ქალბატონებისთვის გაცილებით მიმზიდველებს ხდიან. მათი კანი და თმა შეიცავს განსაკუთრებული სახის ანდროსტერონს, რომელიც ჰაერში მოხვედრის შემდეგ ქალს დასაახლოებლად უჩინარ, შეუცნობელ მოწოდებას უგზავნის, ქალები კი ამ მოწოდებას ისე ემორჩილებიან, თავადაც არ იციან, რატომ ამჯობინეს ესა თუ ის მამაკაცი დანარჩენებს. ისინი უბრალოდ გრძნობენ, რომ სწორედ მისი გაცნობის, მასთან დაახლოების სურვილი აქვთ.

მამაკაცის სასქესო ფერომონები ასტიმულირებს მდედრობითი სასქესო ჰორმონების სინთეზს და ზრდიან შვილოსნობის ვადას.

ქალების ვაგინალური ჯირკვლების სეკრეტსაც პირობითად შეიძლება „ახლოს მოდი“ დაარქვა, რადგან ანდროსტენორის მსგავსად, მასაც შეუძლია მოწინააღმდეგე სქესში გაუცნობიერებელი სიმპათიის აღძვრა. სასურველი ქალის სურნელი აუმჯობესებს მამაკაცის განწყობას და მას სტრესებთან და პრობლემებთან ბრძოლაში ეხმარება.

ატრაქტანტებს თავად სუნი არ აქვს, მაგრამ იაკობსის ორგანოზე მოქმედების შემდეგ, სწორედ ისინი წყვეტს, ვინ სჭირდება ადამიანს ყველაზე მეტად და ვინ – არა. რა თქმა უნდა, მხედველობა და სმენა აუცილებელია, მაგრამ სწორედ ატრაქტანტები თამაშობს მთავარ როლს ერთი ნახვით შეყვარებაში, რომელსაც უფრო ლოგიკური იქნებოდა, თუ ერთი შესუნთქვით შეყვარებას დავარქმევდით.

## ქალები ფერომონებს უკეთ გრძნობენ

გაირკვა, რომ ქალბატონები გაცილებით მგრძნობიარენი არიან ფერომონებისადმი; ანატომიურადაც, იაკობსის ორგანო მამაკაცებისაზე ოდნავ დიდი აქვთ. ფიზიოლოგები დარწმუნებული არიან, რომ ქალისთვის საკმარისია, მამაკაცთან ერთად 15 წამი იცეკვოს, რომ მიხვდეს, რამდენად საინტერესოა სექსუალურად იგი.

სუსტი სქესის წარმომადგენლებს ფერომონების ამოცნობის უნარი 1000-ჯერ მეტად აქვთ განვითარებული და განსაკუთრებით დიდ მგრძნობელობას ამჟღავნებელ ძვირადღირებულ პარფიუმერიაში გამოყენებული არომატებისადმი.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ როდესაც პოლიციელები ბოროტმოქმედებს უსაფრდებიან, პოლიციელი-ქალბატონები მათ მოახლოებას კოლეგა-მამაკაცებზე გაცილებით ადრე გრძნობენ.

მოამზადა
ზვიად ღონღაძემ

# საქორწინო ტრადიციები

**დიდ ბრიტანეთში** - საქორწინო პროცესიას აუცილებლად წინ უნდა მიუძღოდეს ანგელოზის სამოსში გამოწყობილი პატარა ბავშვი, რომელიც ახალდაქორწინებულების ფეხებთან ვარდის ფურცლებს დააბნევს.

**საბერძნეთში** - პატარძლის ხელთათმანის, ან კაბის კიდეებში შაქარს გამოაკერებენ ხოლმე, რათა მისი ოჯახური ცხოვრება ტკბილი იყოს.

**ჩეხეთში** - ქორწილის წინ პატარძლის მეგობრებმა პატარა ვარდებისგან საკუთარი ხელით უნდა დაწნან გვირგვინი და საპატარძლოს აჩუქონ, სიყვარულის, ოჯახური სიბრძნისა და ერთგულების სიმბოლოდ.

**კორეაში** - საქორწინო პროცესიას წინ უნდა მიუძღოდნენ იხვები. მნიშვნელობა არ აქვს, ცოცხლები იქნებიან ეს ლამაზი ფრინველები, პლასტმასისგან გაკეთებული თუ დახატული, მაგრამ იხვი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს სადღესასწაულო სუფრაზე. ცნობილია, რომ იხვი და წერო საკუთარი მეწყვილეების ერთგულნი არიან სიცოცხლის ბოლომდე.

**პორტუგალიაში** - ეკლესიიდან საზეიმო სუფრისკენ მიმავალთ მთელ გზაზე ფერად ლენტს აბამენ, რომელზეც ერთ მხარეს ლიმონები კიდია, მეორე მხარეს კი- ვაშლები. ამ ლიმონს კრეფს პატარძალი, ვაშლებს-სიძე. ლიმონი მარადიულობის სიმბოლოა, ვაშლი კი, ყოველთვის შეახსენებს პატარძალს ევას დანაშაულისა და მისი მძიმე ხვედრის შესახებ და ურჩევს, არასოდეს დანებდეს ცდუნებას.

**უნგრეთში** - საქორწინო ცეკვების დროს სტუმრები, რომლებსაც პატარძალთან ცეკვის სურვილი აქვთ, ვალდებულნი არიან, ფეხსაცმელში ოქროს ან ვერცხლის მონეტები ჩაუყარონ მას.

**შვეიცარიაში** - ქორწილის დღეს ახალგაზრდა წყვილი თავისი სახლის ეზოში პატარა ნაძვს რგავს– ბედნიერების, სიმდიდრისა და წარმატების სიმბოლოდ. რაც უფრო დიდხანს იცოცხლებს ხე, მით უფრო მყარი იქნება ოჯახი.

**იემენში** - ყველაზე დიდი მნიშვნელობა მუსიკას ენიჭება. ცერემონიალზე მუსიკოსების განუსაზღვრელი რაოდენობა იყრის თავს, რომლებიც შეუსვენებლად უკრავენ, რათა პატარძალმა არ მოიწყინოს.

**ტიბეტში** - სტუმრები ფერად-ფერად შარფებს აბამენ. თუ მიწვეულთა რაოდენობა დიდია, რაც ჩვეულებრივი ამბავია, წყვილი ცერემონიალის ბოლომდე საშობაო ნაძვის ხესავით აბრდღვიალებული ზის.

**გერმანიაში** - სტუმრები თეფშებს ამსხვრევენ. ახალდაქორწინებულები კი ნამსხვრევებით მოფენილ იატაკს გვიან, რათა მათ სახლში მეტი აღარაფერი გატყდეს. დაქორწინებულ პატარძალს მეფის მეჯვარე ,,იტაცებს'' და ლუდხანაში მიჰყავს. იქამდე ასმევს ლუდს, ვიდრე მას ქმარი არ იპოვნის და არ გადაიხდის იმ ლუდის საფასურს, რომელიც მისმა ახალშერთულმა ცოლმა დალია.

**იაპონიაში** - პატარძალი ცერემონიალის დროს მინიმუმ, სამჯერ მაინც იცვლის საქორწინო სამოსს: ჯერ იცვამს თეთრ კიმონოს, მერე — წითელს და ბოლოს — ევროპულ საქორწინო კაბას.

**უნგრეთში** - ყველა სტუმარი-მამაკაცი ვალდებულია, იცეკვოს პატარძალთან, ცეკვისას შეუძლია პატარძალს ფულიც აჩუქოს ამის სანაცვლოდ კი დედოფალმა უნდა აკოცოს.

**იამაიკაზე** - ქორწილისთვის სპეციალურად აცხობენ ხილის უზარმაზარ ღვეზელს. სტუმარი, რომელიც საქორწინო ცერემონიალზე მისვლას ვერ შეძლებს, ღვეზელის ნაჭერს ფოსტით მიიღებს.

**მაროკოში** - ქორწილი 4-დან 7 დღემდე გრძელდება. ვიდრე პატარძალი ახალ სახლში შეადგამს ფეხს, ვალდებულია სამჯერ შემოუაროს მას. ქორწინების ღამის წინ ის რძის აბაზანას იღებს.

**ტაილანდში** - ახალდაქორწინებულებს ერთმანეთზე ყვავილწნულებით გადააბამენ. წყვილი მიწაზე ფეხმორთხმით ზის და ერთმანეთის ხელები უჭირავთ. ცერემონიის ბოლოს ნეფის ყველაზე უხუცესი ნათესავი წყვილს ხელებზე სურნელოვან წყალს გადაასხამს და მათ ცოლქმრად აცხადებს.



**ირანში** - საპატარძლოს კაბას საქმროს ოჯახი ყიდულობს. ეს არის ქსოვილის დიდი ნაჭერი, რომელშიც საპატარძლოს ფაქიზად ახვევენ. ცერემონიალის ბოლოს კი წყვილს თავზე დანაყილ შაქარს აყრიან.

**ჩინეთში** - სარძლოც და სასიძოც წითელ ტანსაცმელს იცვამენ და ოთახსაც წითლად რთავენ, იმიტომ, რომ ჩინელებისთვის წითელი ფერი ბედნიერების მომტანია. ჩინელებს ისევე, როგორც ქართველებს, ჰყავთ თამადა, რომელიც, ფაქტობრივად, არ ჩუმდება და უშუალოდ ხელმძღვანელობს უშველებელი ტორტის გაჭრას. ის აუცილებლად ქვემოდან ზემოთ უნდა გაიჭრას (და არა პირიქით), ახალდაქორწინებულები საქორწინო ბეჭდებს ცვლიან, მაგრამ ჯერ იკეთებენ მარჯვენა ხელზე. ერთი თვის შემდეგ კი, მარცხენაზე გადააქვთ.

**ფილიპინებზე** - სასიძო იმ სახლის კედელში არჭობს შუბს, სადაც მისი საცოლე ცხოვრობს. ცერემონიალზე საპატარძლომ თავისი კაბის შლეიფზე მაგრად უნდა მიიბას საქმრო. კაცმა კი ქალს ყელზე ერთი წყება მარგალიტი უნდა შეაბას. ახალდაქორწინებულები ერთად ანთებენ სანთლებს. პატარძლის დედას მათთან მიაქვს მტრედებით სავსე გალია. ცოლ-ქმარი ფრინველებს ერთად ათავისუფლებს ტყვეობიდან.

**ვენესუელაში** - დაქორწინების უფლება საქმროს თავისმა ნათლიამ უნდა მისცეს. სხვანაირად წყვილი ბედნიერი ვერ იქნება. პირველად ეწყობა დაქორწინების სამოქალაქო ცერემონია. ორი კვირის შემდეგ კი ჯვარს ეკლესიაში იწერენ. იგივე ცერემონია წვეულებით მთავრდება: მაგრამ მეორე გაცილებით გრანდიოზულია. ახალდაქორწინებულები ქორწილიდან ჩუმად უნდა გაიპარონ, ისე, რომ ვერავინ შენიშნოს. მაშინ აუცილებლად იქნებიან ბედნიერები.

**ირლანდიაში** - წყვილი ცდილობს წმინდა პეტრეს (პატრიკის) დღეს იქორწინოს. პატარძალმა საკუთარი ხელით უნდა დაიბანოს თმა და ვარცხნილობა გაიკეთოს, რათა ქალური ენერგია გათხოვების მერეც შეინარჩუნოს. თაფლობის თვე წყვილმა სახლიდან შორს, ისეთ ადგილას უნდა გაატაროს, სადაც მათ ვერავინ იპოვის და დააშორებს.

***საუბარია უცხოურ ციხეებზე, უჩვეულო მიზეზები, რის გამოც მოხდა სისხლის სამართლის და ადმინისტარიციული კანონებით საქმის აღძვრა, სტაბილურ, დემოკრატიულ და ჰუმანურ სახელმწიფოებში. მაშ, ასე...***

## ris gamo SeiZ l eba moxvdeT cixeSi?!

### ციხეში შეიძლება მოხვდე ცნობისმოყვარეობის გამო

ახალი წელი — ნათელი და მხიარული დღესასწაულია. ასეთ დღეს ყველა ბავშვი და უფროსი იღებს საჩუქარს და ყველას განსაკუთრებით აინტერესებს თუ რა იმალება ლამაზად შეფუთულ-ჩაკრულ-ჩაბანტულ-ჭყეტელა ყუთში. ''ნეტავ რას მაჩუქებენ''?!. ბავშვები ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ეძებენ მშობლების მიერ დამალულ საჩუქრებს კარადებში, სავარძლების ქვემოთ, ხოლო თუ საჩუქარი უკვე დევს ნაძვისხის ქვემოთ, მაშინ ყუთს წონას უმოწმებენ და შემდეგ კი ანჯღრევენ და განსაზღვრავენ, მიახლოებით რა დევს შიგ.



12 წლის ბიჭუნამ სამხრეთ კაროლინიდან ვერ მოითმინა და გახსნა მისთვის ნაყიდი საჩუქარი საჭიროზე ადრე. იქ მან პორტაბელური სათამაშო აპარატი აღმოაჩინა და თამაშის ციფრულ სამყაროში გადაეშვა. ის 27 წლის დედის ზარმა გამოაფხიზლა, რომელიც პოლიციაში რეკავდა. პოლიციელები მოვიდნენ, ბიჭუნაც აიყვანეს და წვრილმან ქურდობაში დადეს ბრალი. დედა კი არც შეწინაღმდეგებია, პირიქით, სურდა, რომ ბავშვს კარგი გაკვეთილი მიეღო.

ახლა კი ყველა ამერიკელი ბავშვი ძალიან რისკავს აღმოჩნდეს გისოსებს მიღმა, საახალწლოდ თუ თავის ცნობისმოყვარეობას არ დაიშოშმინებს.

თუ დავითვლით, აღმოჩნდება, რომ დედამ ბავშვი 15 წლის ასაკში გააჩინა. საინტერესოა, ვინ გადაიხადა გირაო, ვინ დაფარა ბავშვის ციხეში ჯდომის დროს დახარჯული თანხა და პოლიციის გამოძახება?

### ციხეში შეიძლება მოხვდე ბუნებრივი მოთხოვნილებების გამო

საჩუქრის ყუთის არასანქციონალური გახსნა კიდევ არაფერია.

ფლორიდის, უბრალო სკოლის მოსწავლეს დაადეს ხელბორკილები, იმიტომ რომ ვერ მოითმინა და ,,გაზი გაუშვა‘‘ საკლასო ოთახში. არავინ იცის, რა ჭამა მანამდე ბიჭუნამ, მაგრამ პოლიციამ მას სკოლის ფუნქციონირების დარღვევაში დასდო ბრალი. ასევე არავინ იცის, ვინ გამოიძახა პოლიცია?! ან იქნებ მანდატური ყარაულობდა კარებთან და იგრძნო მოახლოებული ,,ფუნქციონირების დარღვევა‘‘?

### ციხეში შეიძლება მოხვდე სახელის გამო

ყოველთვის არ მოაქვს უბედურება ადამიანის არასასურველ დროსა და არასასურველ ადგილას აღმოჩენას...

ზოგჯერ მხოლოდ სახელი ურთულებს ადამიანს სიცოცხლეს.

37 წლის მაიკლ ტერი ძალიან გაოცდა, როდესაც ის დააპატიმრეს და ციხეში აყურყუტეს 28 დღის განმავლობაში იმიტომ, რომ მისი სახელი და ძებნაში მყოფი დამნაშავის სახელი იდენტური იყო. ერთი თვის ჯდომის შემდეგ ის გამოუშვეს, ბოდიშიც მოუხადეს და 120.000 დოლარიც გადაუხადეს მორალური ზიანის მიყენებისათვის.

და გგონიათ, ამით დამთავრდა ყველაფერი?! არა! რამოდენიმე დღის შემდეგ ის ისევ დააკავეს და ისევ იგივე მიზეზის გამო. ამჯერად პოლიციამ საკუთარი დანაშაული რამდენიმე დღეშივე აღიარა. ახალგაზრდას მოუწევს კარგად მოიქცეს, იმიტომ, რომ პოლიციელები მხოლოდ ელოდებიან, რომ არასწორ საქციელზე დაიჭირონ, და თავისივე შეცდომის რეაბილიტაცია მოახდინონ.

### ციხეში შეიძლება მოხვდე გუნდაობის გამო

ა.შ.შ-ს ზოგიერთ რაიონში ზამთრობით დიდი რაოდენობით თოვლი მოდის(ალიასკა არ ითვლება. ზოგჯერ კი ისეთ ადგილებში, სადაც ეს მოვლენა იშვიათია, მაგალითად, ვირჯინიის შტატში. ზუსტად ერთი ასეთი თოვლის დროს ვირჯინიის შტატის მცხოვრები კალათბურთის მოთამაშე ახალგაზრდებმა და გუნდაობა დაიწყეს.

ერთ-ერთი ახალგაზრდის ნასროლი გუნდა კი პოლიციის მანქანას მოხვდა. პოლიციელმა დააპატიმრა ისინი და დააბრალა, რომ დაუცველ მანქანას ესროდნენ. რის მიხედვითაც მათ ემუქრებოდა ხუთწლიანი სასჯელი. (უეჭველია, პოლიციელს შურდა, ის იჯდა მანქანაში, ესენი კიდე გარეთ გულაობდნენ. მაგრამ ახალგაზრდები სასჯელს გადაურჩნენ და მხოლოდ მცირეოდენი გადასახადი დააკისრეს, როგორც ჩანს, სასამართლოს რეალობის გრძნობა არ დაუკარგავს, პოლიციელისაგან განსხვავებით.

## 10 საინტერესო ფაქტი

1) ფუტკარი დაფრინავს 15 კმ/სთ. სიჩქარით.

2) კანადას უფრო მეტი ტბა აქვს, ვიდრე მსოფლიოს სხვა ტურისტულ ქვეყნებს ერთად.

3) 170,000,000,000,000,000,000,000, 000 გზა არსებობს, რომ ჭადრაკის თამაშის მსვლელობა შენს სასარგებლოდ წარმართო.



4) კაცს შეუძლია მცირე შრიფტით ნაწერი უფრო კარგად წაიკითხოს, ვიდრე ქალს, მაგრამ ქალს უკეთესი სმენა აქვს, იმიტომ რომ ჭორებს კარგად მოუსმინოს.

5) კატას შეუძლია ყბა ზევით ქვევით ამოძრაოს, გვერდით კი არა.

6) 41,806 განსხვავებულ ენაზე საუბრობენ მსოფლიოში.

7) ტარაკანა 9 დღეს ცოცხლობს თავის მოკვეთის შემდეგ.

8) ბრაზილიაში არსებობს ტარაკნების ისეთი სახეობა, რომლებიც იკვებებიან ადამიანის წამწამებით, ყველაზე ხშირად ეს ტარაკნები მძინარე ბავშვებს ესხმიან თავს.

9) უდაბნოს, აფრიკის ტერიტორიის 28% უკავია, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის 38%

10) ფუტკრებს არასოდეს სძინავთ.

# მირონ ხერგიანი – 70



70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მირონ ბუჯას ძე ხერგიანი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო მირონ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, ერისკაცს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პირველი ლექსები 1962 წელს გამოქვეყნდა თსუ გაზეთ ,,თბილისის უნივერსიტეტში‘‘, პირველი მოთხრობა ,,თეთრი მწვერვალი‘‘ კი – 1963 წელს ჟურნალ ,,პიონერში‘‘. მას შემდეგ ნაყოფიერ ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევით. თქვენი მოთხრობები, რომანები, ლექსები, პუბლიცისტური სტატიები, მხატვრული ნარკვევები და თარგმანები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მშვენიერი პროზაიკოსი ბრძანდებით. ქართველი მკითხველი მუდამ ცხოველი ინტერესით ეცნობა თქვენი რომანებისა და მოთხრობების ისეთ კრებულებს, როგორიცაა ,,პირველი ღამისთევა‘‘, ,,თეთრი საზურავები‘‘, ,,გადასასვლელი‘‘, ,,ცხელი იანვარი‘‘, ,,ღრუბლები შენ გქონდეს‘‘, ,,ოქროსფერი რიყე‘‘, ,,დამრჩომნი‘‘, ,,კლდის ვეფხვი‘‘. ამ ნაწარმოებების მთავარ ღირსებას დიდი ადამიანური სიმართლე წარმოადგენს. წერთ იმაზე, რაც ცხოვლად დასჩენია თქვენს სულსა და გულს, რაც თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს აწმყოსა და მომავალს სჭირდება, წერთ ნათლად, ხატოვნად, მწერლური ოსტატობით... ცალკე აღნიშვნის ღირსია რომანი ,,კლდის ვეფხვი‘‘, რომელიც დიდ ქართველ მთასვლელს მიხეილ ხერგიანს უძღვენით. ამ რომანის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ის რუსულად ითარგმნა და მოსკოვში ასი ათასიანი ტირაჟით გამოიცა.

ბრწყინვალე პუბლიცისტი ბრძანდებით. თქვენს პუბლიცისტურ წიგნებში (,,სადამდე ივლის ქარავანი‘‘, ,,დღეს ღამე უთენებია‘‘, ,,წიწამურიდან ჩვენამდე‘‘, ,,პირმზითნი‘‘, ,,წეროების პოლიგონი‘‘, ,,კარგ ყმად ვინა ვთქვათ‘‘) ქვეყნის სატკივარით გულგასენილი მამულიშვილის ნააზრევია დაუნჯებული, მამულიშვილისა, რომელიც ჯიუტად ეძებს ერის ხსნის გზას...

თქვენმა ტკივილიანმა, ფიქრიანმა ლექსებმა ცალკე წიგნად გამოცემულ კრებულში დაივანა (,,ფიქრის მურყვამი ავაგე‘‘) და კიდევ ერთხელ შეგვახსენა, თუ რა მშვენიერი შემოქმედი ბრძანდებით.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები ითარგმნა ესტონურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე.

ქართულად თარგმნეთ კიპრიან ეკვენსისა და ლეოპოლდ ზახერ-მაზოხის რომანები, უკრაინელი, რუსი, აზერბაიჯანელი, ოსი და დაღესტნელი მწერლების ნაწარმოებები. თქვენი კინოსცენარის მიხედვით შეიქმნა სამეცნიერო-პოპულარული ფილმი ,,უშბაზე ძლიერნი‘‘.

ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ ,,პიონერის‘‘ ლიტერატურისა და ჟურნალ ,,მნათობის‘‘ კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილებების გამგედ, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩევლად, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოადგილედ. არჩეული იყავით საქართველოს მწერალთა კავშირის პუბლიცისტიკის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ და მთელ ძალასა და ენერგიას ქართული მწერლობის, ქართული სულიერების წინსვლასა და განვითარებას ახმარდით.

თქვენი ღვაწლი საქართველოს სახელმწიფო პრემიით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ აგრეთვე საქართველოს მწერალთა კავშირისა (3) და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიები, ქართული კულტურის ამაგდარის საპატიო წოდება. დაჯილდოებული ბრძანდებით ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო ჯილდოთი – ღირსების ორდენით.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ თქვენ სასიამოვნოდ გააოცეთ თქვენი კოლეგები, როდესაც გამოეცით წიგნი ,,ოქროს ჭედილა ანუ სვანური აზმანი‘‘ (მინდორში ნიავს გაკიდებულო...). ამ წიგნში დიდი ადამიანური ვნებები, ტკივილები, ახდენილი თუ აუხდენელი ოცნებები ბობოქრობენ. ამ წიგნში ძალუმად აისახა სვანეთის – საქართველოს უმკაცრესი და, ამავე დროს, უმშვენიერესი კუთხის ავკარგიანი ყოფა, რომელიც უხილავი ძაფებით გადაჯაჭვია თქვენს ცხოვრებას და დღემდე უზუსტეს ორიენტირებს გისახავთ. დიახ, სვანური მურყვამები და მაჩუბები, საგვარეულო ეკლესია თუ აკლდამა – სამაროვანნი, სვანური მთები დღესაც გამაღლებენ, გიხმობენ და თავისკენ გეძახიან...

ჩვენო მირონ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ძვირფას ძმასა და მეგობარს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ თქვენი სათაყვანებელი მამულის სასიკეთოდ.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

## იმედი ხსნისა და გადარჩენისა...

შენს ოცნებას, უნაზესს,
მწარე ფითრი ახლავს,
მაგრამ ჟინი გაფრენის
რკინის ლვედებს დახრავს...

ეჰ, ლომების მარულა,
ჭიხვინებდა რაში!..
იმ დღეებზე ფიქრები
ფთილა ღრუბლებს აშლის.

ჩემო ფთილა ღრუბლებო,
რაღამ გაგაცრიატათ?
ნუთუ დარდმა-ტიალმა
თქვენს გულშიაც იანთა?!

ნუთუ ასე დაგვშორდა
ზღვის მწვანე ნაპირები?
გახსოვთ, ლურჯა ცხენებით
ალურს რომ ვაპირებდით?!

თქვენ, გზადაგზა, კარგებო,
მზისგან მომიჩრდილავდით,
და ფერადი ოცნების
ქედებს გადავსერავდით...

მაგრამ თურმე ვბჭობდით და
დუშმანი ხარხარებდა,
დანამ გაიელვარა
მობუღრავე ხარებთან...

შემოდგომა ჩამოწვა,
უამური ჩრდილებით,
გაჩხნაკული ალვები
თვლემენ აწოწილები...

ვხვდები, ფთილა ღრუბლებო,
რამაც გაგაცრიატათ,
გულში დარდმა-ტიალმა
რაღატომღაც იანთა!..

შენს ოცნებას, უნაზესს,
მწარე ფითრი ახლავს,
მაგრამ ჟინი გაფრენის,
მძიმე ლვედებს დახრავს...

**მირონ ხერგიანი**

## სამაშველო სამსახურში პრემიებს მხოლოდ თემურ გიორგაძის ნათესავები იღებენ – სამსახურის თანამშრომლები

თბილისი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პროფკავშირის წევრები სამსახურის უფროსს, თემურ გიორგაძე ცრუ ინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებენ და სამსახურში შექმნილი პრობლემების გამო ხვალ, 12.00 საათზე აქციის გამართვას გეგმავენ.



როგორც დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე მეხანძრეთა პროფკავშირის თავმჯდომარე გიორგი დიასამიძემ განაცხადა, თემურ გიორგაძე ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ მეხანძრეთა ხელფასი 1000 ლარია, სინამდვილეში, 480 ლარია. ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ არ ხორციელდება ზეწოლა სამსახურის თანამშრომლებზე, რადგან ზეწოლა დღესაც მიმდინარეობს განსხვავებული აზრის გამო.

მისი თქმით, თემურ გიორგაძე საკუთარ სახლში ხშირად იბარებს მეხანძრეებს კანალიზაციის გასაწმენდად და ცრუობს, როდესაც ამბობს, რომ მას მეხანძრეები საკუთარ სახლში 3–ზე მეტჯერ არ გამოუძახია.

დიასამიძის განცხადებით, თემურ გიორგაძის დისშვილი ლევან ჩხიკვაძე სასახურიდან სამი ადამიანის გათავისუფლებას აპირებდა იმის გამო, რომ ისინი ,,ქართული ოცნების‘‘ წევრები არიან, თუმცა სამსახურის სხვა თანამშრომლების მხარდაჭერის გამო ეს ვერ მოახერხა.

,,გაფიცვას არ დავუშვებთ იმის გამო, რომ მოსახლეობის სიცოცხლეს არ დაემუქროს საფრთხე. ხვალ, 12.00 საათზე სამმართველოს წინ გავმართავთ საპროტესტო აქციას და უარს გამოვუცხადებთ იმ დანაშაულებრივ ქმედებებს, რომელიც სამაშველო სამსახურში ხდება‘‘, – განაცხადა დიასამიძემ.

მისი მოადგილის, ლევან როსტიაშვილის თქმით, სამაშველო სამსახურში პრემიებს მხოლოდ თემურ გიორგაძის ნათესავები იღებენ, ხოლო სხვა ადამიანებს, პრემიას ურიცხავენ, შემდეგ კი უკან ართმევენ.

მეხანძრეების პროფკავშირების წარმომადგენლები პრემიების დანიშვნის პრინციპის გამჭვირვალობას და მის სამართლიანად გადანაწილებას ითხოვენ.

როგორც მათ აღნიშნეს, 22 აპრილს დაგეგმილია ნორმატივების ჩაბარება და აქვთ ეჭვი, რომ ნორმატივებს მხოლოდ ისინი ,,ვერ ჩააბარებე‘‘ ვინც პროფკავშირის წევრები არიან. სწორედ ამიტომ ისინი ნორმატივების კომისიაში ჩართვას ითხოვენ.







[illegible]

# თავსატეხი

ვ … ა
ი … ც
ღ … ა
რ … ვ ე ს ტ ი … ნ
ა … ა
ც ე ი ს ი … ე
… ვ
… ო
… ქ უ ფ რ ი … ქ
… ა
ხ … ი
ა … ნ ი გ ნ ი … ხ
თ … ა
რ … რ
ი … ე

ჰორიზონტალურად: [illegible]

ვერტიკალურად: [illegible]

# სამიდან ერთი

ჰორიზონტალურად: 1. [illegible] 2. [illegible] 3. [illegible] 4. [illegible] 5. [illegible] 6. [illegible] 11. [illegible] 12. [illegible] 13. [illegible] 14. [illegible] 15. [illegible] 16 [illegible]

ვერტიკალურად: 3. [illegible] 7. [illegible] 8. [illegible] 9. [illegible] 10. [illegible] 13. [illegible] 17. [illegible] 18. [illegible] 19. [illegible] 20. [illegible] 21. [illegible]

# შიფრვორდი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ■ | 17 | ■ | 30 | ■ | 19 | 3 | 10 | 28 | 13 | 25 | ■ |
| 33 | 25 | 16 | 25 | 1 | 3 | ■ | 3 | ■ | 14 | ■ | 5 |
| ■ | 19 | ■ | 24 | ■ | 14 | 3 | 24 | 12 | 29 | 19 | 3 |
| ■ | 12 | ■ | 26 | ■ | 3 | ■ | 9 | ■ | 14 | ■ | 24 |
| ■ | 3 | 24 | 31 | 3 | 24 | 9 | ■ | ■ | 24 | ■ | 6 |
| ■ | 31 | ■ | 14 | ■ | 12 | ■ | 2 | 11 | 9 | 1 | 9 |
| 14 | 9 | 7 | 9 | 11 | 9 | ■ | 3 | ■ | ■ | 3 | ■ |
| 3 | ■ | 28 | ■ | 24 | ■ | ■ | 23 | ■ | ■ | 30 | ■ |
| 24 | 3 | 30 | 20 | 3 | ■ | 21 | 29 | 12 | 9 | 3 | ■ |
| 19 | ■ | 18 | ■ | 20 | ■ | ■ | 19 | ■ | ■ | ■ | 8 |
| 3 | 12 | 3 | 30 | 9 | 3 | 19 | 9 | ■ | 22 | ■ | 14 |
| ■ | 3 | ■ | 3 | ■ | 19 | ■ | ■ | ■ | 3 | ■ | 24 |
| ■ | 16 | ■ | 9 | ■ | 27 | 3 | 31 | 14 | 29 | 1 | 9 |
| 32 | 14 | 9 | 19 | 9 | 3 | ■ | 30 | ■ | 24 | ■ | 1 |
| ■ | 9 | ■ | 3 | ■ | ■ | 18 | 3 | 30 | 9 | 18 | 9 |

ა-3, ბ-, გ-, დ-, ე-29, ვ-, ზ-, თ-, ი-9, კ-17, ლ-, მ-, ნ-, ო-25, პ-, ჟ-, რ-24, ს-2, ტ-, უ-28, ფ-, ქ-, ღ-, ყ-, შ-, ჩ-, ც-, ძ-, წ-, ჭ-, ხ-, ჯ-33, ჰ-

## 30-იანი წლების გოგონები მობილურებს იყენებდნენ



30-იანი წლების ფოტოსურათზე გამოსახულია გოგონა, რომელსაც ზუსტად ისეთი მოწყობილობა უჭირავს ხელში, როგორიც თანამედროვე მობილური ტელეფონია. ფოტო 1938 წელსაა გადაღებული ერთ-ერთ ამერიკულ გიგანტურ საწარმოო კომპანიის **Dupont**-ის თანამშრომლების გამოსახულებით. ფოტო-ფირზე გამოსახულია ქალბატონი, რომელიც 30-იანი წლების მოდაზეა გამოწყობილი, ყურთან კი ტელეფონი აქვს მიდებული და მხიარულად ლაპარაკობს.

სურათზე აღბეჭდილი აღმოჩნდა ჰერტრუდა ჯონსი, რომელიც იმხანად 17 წლისა ყოფილა. ქალბატონი ჰერტრუდა დღემდე ცოცხალია.

იგი ყვება, რომ **Dupont**-ი იმდროიდანვე იყო დაინტერესებული ტელეფონების აპარატების განვითარებით. ტარდებოდა ექსპერიმენტი უსადენო ტელეფონებზე. მანამდე 1928 წლის ფოტოსურათია შემონახული, სადაც შავცილინდრიანი ქალი შავი მოსასხამით ქუჩაში სეირნობს, თან ტელეფონზე ლაპარაკობს.

## 5 აპრილს ტუტანხამონს 90 წელი შეუსრულდა

1923 წელს 5 აპრილს 57 წლის ლორდმა კარნარვონმა ფინანსური დახმარება გაუწია ეგვიპტოლოგ ჰოვარდ კარტერს, რომელიც ტუტანხამონის სამარხის გახსნაზე მუშაობდა. მალე ჰოვარდ კარტერი კოღოს ნაკბენისაგან გარდაიცვალა. კოღომ ჰოვარდ კარტერს პირის პარსვის დროს უკბინა. მას შემდეგ საერთაშორისო მედიით ინფორმაცია გავრცელდა დაწყევლილი მუმიის შესახებ. შეგახსენებთ, რომ ტუტანხამონი ჩვ.წ. აღ.-მდე 1332 გარდაიცვალა. მისი სამარხი ოქროთი და ძვირფასეულობით იყო სავსე. სარკოფაგი 1922 წელს გახსნეს და ეს მოვლენა მსოფლიო სენსაციად იქცა. ნაკლებადცნობილი და ნაკლებადმნიშვნელოვანი ფარაონი ძველი ეგვიპტის სიმბოლოდ იქცა. მუმიის შესწავლა დღემდე მიმდინარეობს. გარკვეული დროის შემდეგ რომანისტმა მწერალმა მარია კორელიმ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს სამარხიდან „მფრინავი სიკვდილი ბრმად მიდის მისკენ, ვინც სამარხს გახსნის“. 1923 წელს ეგვიპტის პრინცი ალი ქემალ ფახმი ბეი, მას შემდეგ, რაც სამარხში შევიდა, გარკვეული დროის შემდეგ საკუთარმა ცოლმა რევოლვერით გამოასალმა სიცოცხლეს. სამარხის კიდევ ერთმა ვიზიტორი, ფრანგი ეგვიპტოლოგი ჟორჟ ბენედიტი, ლუვრის კურატორი 1926 წელს, 69 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. ალბერტ ლიტგოუ ნოუ-იორკის მეტროპოლიტენ მუზეუმის მთავარი ეგვიპტოლოგი 1934 წელს გარდაიცვალა, როცა 66 წლისა იყო. მასაც აკავშირებენ წყევლასთან, რადგან ალბერტ ლიტგოუ 10 წლით ადრე სწავლობდა სარკოფაგს. 2008 წელს ცნობილი გახდა, რომ სარკოფაგში, ორი მიცვალებული იწვა. ისინი ჯერ კიდევ 1922 წელს იქნენ აღმოჩენილნი. ორივე მუმია დღემდე ინახება კაიროს უნივესიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ლაბორატორიაში. მუმიები ემბრიონის სახით არის ნაპოვნი, ესენი არიან ტყუპი გოგონები, დაახლოებით, 30 სანტიმეტრის სიგრძისა. მათ შენარჩუნებული აქვთ ტვინი, შინაგანი ორგანოები, რომლებსაც, როგორც წესი, აცლიდნენ მუმიფიცირების დროს. ლივერპულის უნისვერსიტეტში ჩატარებულმა ლაბორატორიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გოგონები ნამდვილად ტუტანხამონის შთამომავლები იყვნენ. სისხლის ანალიზი ფარაონისას დაემთხვა.



## რკინის ლედის გარდაცვალების მიზეზები



დიდი ბრიტანეთის ექს-პრემიერი მარგარეტ ტეტჩერი 87 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა. რკინის ლედის ჯანმრთელობა ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გაუარესდა. შობის დღეებში ის საავადმყოფოში დააწვინეს, სადაც ოპერაცია გაუკეთეს. ოჯახის წევრების ინფორმაციით, მარგარეტ ტეტჩერი 8 აპრილს დილით გარდაიცვალა.

ტეტჩერი იყო ერთადერთი ქალი პრემიერ-მინისტრი დიდი ბრიტანეთის ისტორიაში. მისი გარდაცვალების სამძიმარს მსოფლიოს ცნობილ პოლიტიკოსებთან ერთად დედოფალი ელიზავეტ II უერთდება.

მოამზადა **ანა ვადაჭკორიამ**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** – ბევრ დროს დაუთმობთ დისკუსიას. ეს კვირა თქვენგან სრულ მობილიზებასა და პროფესიონალიზმს მოითხოვს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

**კურო** – მიზანდასახულობა თქვენი მთავარი კოზირი იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა სიამოვნებას მოგანიჭებთ. ოჯახურ ვახშამზე, გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მართლება მოგიწევთ.

**ტყუპები** – ფრთხილად იყავით, უადგილო ადგილას წუწუნით კარიერას საფრთხეს ნუ შეუქმნით. შესაძლოა, მიიღოთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის წყალობითაც, თქვენ წინაშე ახალი პერსპექტივა გადაიშლება.

**კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებები გელით. უარი თქვით ისეთ ურთიერთობაზე, რომელიც დიდი ხანია, სიამოვნებას აღარ განიჭებთ და ახალი რომანი გააბით.

**ლომი** – საუკეთესო კვირაა შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად და დიპლომატიური შესაძლებლობების გამოსავლენად. ძვირად ღირებული ნივთების შეძენისას თავშეკავება გმართებთ.

**ქალწული** – წარმატება გელით ყველა იმ საქმეში, რაც შემოქმედებით მოღვაწეობასთან, ლიტერატურასა ან ვაჭრობასთან იქნება დაკავშირებული.

**სასწორი** – სასიყვარულო ურთიერთობები გაგირთულდებათ და შეიძლება, ინტრიგაშიც გაეხვითო. პარტნიორს ეჭვიანობის საფუძველს ნუ მისცემთ. გამოიჩინეთ წინდახედულობა და ემოციებს არ აჰყვეთ.

**მორიელი** – თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა, წინ სიურპრიზებით სავსე კვირა გელით. ეცადეთ, მაქსიმალურად იაქტიუროთ და ცხოვრება უკეთესობისაკენ შეცვალოთ.

**მშვილდოსანი** – დროა, იმიჯის შეცვლაზე იზრუნოთ და ახალი ტანისამოსი შეიძინოთ. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი საყვარელ ადამიანს დაუთმეთ. უქმე დღეებში ქალაქგარეთ წადით და დაისვენეთ.

**თხის რქა** – ეს კვირა იდეალურია კარიერაში წინსვლისთვის. საშუალება მოგეცემათ, ახალი, მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვოთ. კარგი კვირაა შოპინგებისათვის და გარდერობის გაასახლებლად.

**მერწყული** – სამსახურში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოსალოდნელი არაა. თუ რაიმე შეიცვლება, მხოლოდ სასიკეთოდ კვირის მეორე ნახევარი საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ და მას სიურპრიზი მოუწყვეთ.

**თევზები** – ამ კვირაში თავგადასავლებს, ფულს და საჩუქრებს ელოდეთ. ახალი ნაცნობობა ხანგრძლივ და მნიშვნელოვან ურთიერთობაში ნადაიზრდება, ამიტომ შეეცადეთ, ეს კვირა მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოიყენოთ.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ტუკანი. 2. პლაფონი. 3. პინგვინი. 4. ფელიცია. 5. აეროსტატი. 6. ნაკრძალი. 7. გალიერა. 8. ვენერა. 9. ძირმაგარა. 10. ანატომია. 11. ვერე. 12. სიმდიდრე. 13. არაი. 14. ლობი. 15. დიკლო. 16. სატინი. 17. აგარა. 18. ავიამზიდი. 19. სატევარი. 20. კარტოთეკა. 21. ვარტა. 22. რაკვერე. 23. გოდერძი 25. ბულა. 26. ბამპერი. 26. ბუთი. 27. მაზანდა. 28. მანე. 29. კომანდოსი. 30. ზიდი. 31. სინი. 32. პლაგიატი. 33. კავკასია. 34. ოვალი. 35. აჟურული. 36. აგონია. 37. აბუსალათინი. 38. ტეფალი. 39. აბასთუმანი. 40. რიჰანა. 41. რეცეპტი. 42. ბუხჰალტერია. 43. ერთი. 44. რაფინადი. 45. სეფე. 46. ბარკალი. 47. ალთე. 48. კოპიტი. 49. პიტი. 50. ნავთლუღი. 51. ბარისახო. 52. ეთილი. 53. ფანტელი. 54. თეო. 55. პატე. 56. ნავარდი. 57. ბრაილი. 58. ოლეინა. 59. ვარდი. 60. მულინე. 61. მიასთენია. 62. ალხი. 63. ლავი. 64. ავი. 65. ოღროჩოღრო. 66. ოია. 67. იასპი. 68. გუმანი. 69. კოლინა.


## ირმა სიხარულიძე – უებარი მკურნალი



ქალბატონ ირმა სიხარულიძეს მაშინ მივმართეთ, როცა განკურნების იმედი გადაწურული გვქონდა ათასგვარი მკურნალობით და პროცედურით თავმობეზრებულებმა ეს ბოლო ცდად მივიჩნიეთ და ამან გაამართლა. ქალბატონი ირმა სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს ხალხური მეთოდით მკურნალობს. საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამლით იგი კურნავს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, პოლიართრიტს, რადიკულიტს, კისრის, მხრის, მენჯ-ბარძაყისა და მუხლ-სახსრის ართროზებს. ქუსლზე წანაზარდს და პოდაგრას.

წამალი მცენარეულია და უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირებით და საფენებით. ბუნებისგან ბოძებული ამ პანაცეით ქალბატონმა ირმამ ბევრი პაციენტი დაგვაყენა ფეხზე, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

მადლიერი პაციენტები.

**ქალბატონი ირმას კოორდინატები:**

**მის: თბილისი, ფოთის ქ.№2, (მეტრო წერეთელთან)**

**ტელეფონები: 2 34 21 63, 557 35 89 00**